ხუთწლედის შედეგები და 1933 წლის გეგმა

წლიწადი მეცამეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ამ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—22—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—3—81.

პარასკევი, 27 იანვარი 1933 წ. № 22 (3578)

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ვ. მ. მოლოტოვის (სკრიაბინის) მოხსენება

საკავშირო ცაკის მესამე სესიაზე 1933 წლის 23 იანვარს

I

ხუთწლედის შედეგების პოლიტიკური მნიშვნელობა

1. ჩვენი შედეგები—შემდგომი ზრდის საფუძველია

ამხანაგებო! 1933 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა არის პირველი ხუთწლედის საქმის გაგრძელება. ამიტომ მე მომიხდება შეჩერება პირველი ხუთწლედის შედეგებზედაც. მე არ ვფიქრობ გავაკეთო ვრცელი მოხსენება ამ საკითხის შესახებ. ყველა ძირითადი პირველი ხუთწლედის შედეგებს შესაფასებლად ნათქვამია ამხ. სტალინის მოხსენებაში. უკეთესს ვერ იტყვი. მე მომიხდება შეჩერება პირველი ხუთწლედის შედეგებზე უმთავრესად მიმდინარე წლის ამოცანებთან დაკავშირებით, საშინაო და საგარეო საერთო მდგომარეობასთან დაკავშირებით.

პირველი ხუთწლედის შესრულება წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის და მშრომელი მასების უდიდეს გამარჯვებას. შესრულებულია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უდიდესი პროგრამა, რომლის მნიშვნელობის შეფასება მთლიანად ჯერ კიდევ შეუძლებელია.

თქვენ ალბად მოიგონებთ, რომ პირველი ხუთწლიანი გეგმის პროექტის გარჩევის დროს განხილული იქნა ხუთწლედის ორი ვარიანტი: პირველი — დასაყრდენი და მეორე — ოპტიმალური. ეგრედწოდებული „დასაყრდენი“ ვარიანტი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის აზრით გათვალისწინებული იყო საშუალო პირობებისათვის, ხოლო მეორე, „ოპტიმალური“ ვარიანტი — შესაძლებელი უფრო ხელსაყრელი პირობებისათვის. იმ დროს საგეგმო ორგანოები აყენებდენ პირველს, უფრო მცირე ვარიანტს. მაგრამ პარტიამ და შემდეგ საბჭოების მეხუთე ყრილობამ ძირითადად მიიღეს ოპტიმალური ვარიანტი, ესე იგი ვარიანტი გადიდებული დავალებებით.

ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ განვლილი 4 წლიწადი, საგარეო, ობიექტური პირობებით — ყოველ მხრივ და სავსებით იყო ხელსაყრელი სოციალისტური მშენებლობისათვის საბჭოთა კავშირში. და ჩვენი მშენებლობისათვის დიდი მნიშვნელობა ქონდა მსოფლიო ეკონომიური მნიშვნელობის ფაქტს, რომელმაც მიგვიყვანა მსოფლიო ფასების კოლოსალურ დაცემამდე, რამაც შექმნა საკმაო სიძნელეები ჩვენი ექსპორტისათვის. მეორეს მხრივ 1931 წელს ჩრდილოეთ - აღმოსავლეთის მარცვლეულის მთელ რიგ უდიდეს რაიონებში ჩვენ გვქონდა საგრძნობი მოუსავლიანობა, და, როგორც თქვენ იცით, პურზე ჩვენში ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული. და ყველა ამის მიუხედავად, ჩვენ შევასრულეთ ხუთწლედი ოთხ წელიწადში, ხუთწლედის ოპტიმალური (მაქსიმალური) ვარიანტი.

ხუთწლედის მაქსიმალური ვარიანტის ოთხ წელიწადში შესრულებით — ასეთი გამარჯვებით ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასს უფლება აქვს იამაყოს.

ხუთწლედის ყველა შედეგებიდან მე შევჩერდები ორ ძირითადზე: პირველი, — ინდუსტრიალიზაციაზე, და, მეორე, — საბჭოთა კავშირში არსებული სოციალისტურ ფორმებზე.

საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის ცენტრში მთელი განვლილი პერიოდის განმავლობაში იდგა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანა. ჩვენს მიღწევებს ამ ამოცანების განხორციელებაში ქონდა გადამჭრელი მნიშვნელობა.

ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკამ, რომლის მთავარი აზრი მდგომარეობს მძიმე მრეწველობის მაქსიმალურ განვითარებაში, მაშასადამე, საწარმოო საშუალებათა წარმოების მაქსიმალურ გაშლაში, უკვე მოგვცა თავისი შედეგები. ამ პოლიტიკის გატარებას ჩვენს პირობებში თან ხლდა უდიდესი სიძნელეები, ძალების უდიდესი დაძაბვით. მაგრამ ყველა და ყოველგვარი სიძნელეების გადალახვით ჩვენ მივაღწიეთ ძირითადს: ჩვენი ქვეყანა აგრარულიდან გადაიქცა ინდუსტრიალურად. ჯერ კიდევ გუშინ სახალხო მეურნეობაში უმთავრეს როლს თამაშობდა სოფლის მეურნეობა მისი ჩამორჩენილი ტეხნიკით, და მთელი ჩვენი მეურნეობის პროდუქციის ნახევარზე გაცილებით მეტს იძლეოდა ის. ხუთწლედის წლებში საგრძნობლად გაიზარდა არა მარტო მრეწველობის პროდუქცია, არამედ სოფლის მეურნეობის პროდუქციაც. და მაინც ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის თანამიმდევრობითი გატარებამ ჩვენ მიგვიყვანა იქამდე, რომ ამჟამად ინდუსტრიალიზაცია მისი მოწინავე ტეხნიკით წარმოადგენს უმთავრეს ძალას ჩვენს მეურნეობაში, რომ ეხლა მთელი სახალხო მეურნეობის პროდუქციის ნახევარზე გაცილებით მეტს იძლევა სოციალისტური მრეწველობა. ვანვითარებდით რა ჩვენს მრეწველობას და განსაკუთრებით ვანვითარებდით მძიმე მრეწველობას, ჩვენ მივაღწიეთ საბჭოთა კავშირის გადაქცევას მოწინავე ინდუსტრიალურ ქვეყნად.

მაგრამ ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა ჩვენ გვჭირდებოდა არა მარტო მრეწველობის განვითარებისათვის. ეს პოლიტიკა წარმოადგენს სოციალიზმის მშენებლობის საფუძველს, რომლის აზრი მდგომარეობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობაში. მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება სოციალისტურად გარდავქმნათ მთელი სახალხო მეურნეობა, როცა გვაქვთ ამასთანავე ისეთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა, როგორც საბჭოები, ესე იგი მუშათა კლასის ხელისუფლება.

და ნამდვილად ხუთწლედის პერიოდის განმავლობაში ჩვენში მოხდა ძირითადი ცვლილებანი სოციალისტურ მშენებლობის ხაზით. სოციალისტურმა ფორმამ გაიმარჯვა იქ, სადაც საუკუნეებით მეფობდა სამეურნეო თვალსაზრისით უაღრესად ჩამორჩენილი წვრილ-მესაკუთრული, გლეხური მეურნეობის ინდივიდუალური ფორმა. კოლექტივიზაციის და კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის პოლიტიკის წარმატებებმა, საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის უდიდეს გაშლასთან ერთად, უკანასკნელ წლებში შესაძლებელი გახდა ძირითადი გარდატეხა სოფლად.

სოციალიზმმა, ბოლოს, გაიმარჯვა სოფლის მეურნეობაშიაც, საკოლმეურნეო წყობილება გაბატონებული წყობილებაა სოფლად. ურიცხვ წვრილ ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა ნაცვლად, რომელთა არსებობის დროს აუცილებლად იზრდებიან სოფლის წურბელები — კულაკები, მცირერიცხოვან საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების ნაცვლად, ხუთწლედის განმავლობაში შეიქმნა მრავალი ათეული ათასი ახალი კოლმეურნეობა და რამდენიმე ათასი საბჭოთა მეურნეობა. ამის შედეგად ნათესის 4 მეხუთედი უკვე გასულ წელს კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების წილად მოდიოდა. მიუხედავად საკოლმეურნეო წყობილების ყველა ნაკლისა, კოლმეურნეობებიდან უკვე აღარ გადიან. საკოლმეურნეო ფორმამ საბოლოოდ გაიმარჯვა. ეხლა საჭიროა პრაქტიკული მუშაობა კოლმეურნეობათა განსამტკიცებლად.

ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ჩვენი ქვეყანა ძლიერ მომაგრდა სამრეწველო მხრით და ამიტომ მან შესძლო სოციალისტური ფორმების განვითარებისათვის სოფლად შექმნა მტკიცე სამანქანო - სატრაქტორო ბაზა. სოფლის მეურნეობის წინაშე დაისახა ახალი პერსპექტივები. სწორედ ახლა დაიწყო სოფლის მეურნეობის ნამდვილი განვითარება.

სოციალისტურმა ფორმებმა ამჟამად გაბატონებული მდგომარეობა დაიჭირეს მრეწველობაშიაც, სოფლის მეურნეობაშიაც და საქონლის ბრუნვაშიაც. არ არის მეურნეობის ისეთი დარგი ჩვენს ქვეყანაში, სადაც არ იყოს გაბატონებული სოციალისტური ფორმები, სადაც მათ არ ჰქონდეთ გადამწყვეტი მნიშვნელობა. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა მეურნეობის სოციალისტური ფორმების განვითარების გაცილებით უფრო ნელ ტემპებს. აქ ხუთწლედის დავალებანი დიდი გადაჭარბებით შესრულდა. ამავე დროს ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის საქმის საბოლოო გამარჯვებისათვის. ჩვენს ამოცანას შეადგენდა არა მარტო ის, რომ 100 პროცენტით შეგვესრულებია ხუთწლედის საგეგმო დავალებანი, ვთქვათ, მრეწველობაში, როგორც იცით, ამ მხრით მრეწველობაში გეგმა რამდენიმე პროცენტით არ შესრულებულა. 5 წ. გეგმა მრეწველობაში შესრულებულია მხოლოდ 94 პრ. (რაც გამოწვეული იყო თქვენთვის ცნობილი მიზეზებით, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით). მაგრამ მძიმე მრეწველობაში გეგმა შესრულდა არა 100 პროცენტით, არამედ 108 პროცენტით, ე. ი. მძიმე მრეწველობაში ხუთწლიანი გეგმა საგრძნობი გადაჭარბებით შესრულდა. საბჭოთა ხელისუფლების მთავარ ამოცანას შეადგენდა სოციალისტური ფორმების გამარჯვების უზრუნველყოფა სახალხო მეურნეობაში. ეს მთავარი ამოცანა ჩვენ გადავწყვიტეთ წარმატებით, ისეთი წარმატებით, რაზედაც ჩვენ ოცნებაც კი არ შეგვეძლო, როცა ამ ოთხი წლის წინად ვღებულობდით ხუთწლიან გეგმას. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკამ თავისი ნაყოფი გამოიღო: სოციალიზმის საქმემ ჩვენს ქვეყანაში მტკიცედ და საბოლოოდ გაიმარჯვა.

მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს იმის დასახასიათებლად, თუ რა სახე მიიღო ჩვენმა მშენებლობამ ხუთწლედის განვლილ პერიოდში.

ამ პერიოდის ერთ-ერთ დამახასიათებელ მომენტს წარმოადგენს ახალი ინდუსტრიალური ცენტრების შექმნა და ზრდა ჩვენს ქვეყანაში. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინად ზოგიერთი ეხლანდელი მსხვილი ინდუსტრიალური კერა ძნელი შესამჩნევი იყო საბჭოთა კავშირის რუკაზე. ახლა კი ხუთწლედის შედეგად ჩვენ თვითეულ რესპუბლიკაში და თვითეულ ოლქში უკვე გვაქვს ან ჩამოყალიბებული მსხვილი ინდუსტრიალური ცენტრი, ან ჩაყრილია საძირკველი ახალი ინდუსტრიალური კერის განვითარებისათვის.

მართლაც, განა რამდენიმე წლის წინად ბევრი იცნობდა ისეთ პუნქტებს, როგორიცაა ბერეზნიაკი, ბობრიკი, კარაგანდა, ხიბინოგორსკი და მაგნიტოგორსკი? ახლა კი სულ რამდენიმე წელიწადში შეიქმნა ბერეზნიაკი და ბობრიკი—ქიმიური მრეწველობის უდიდესი ცენტრები და თვითეულ ამ ცენტრში 40 ათასი მცხოვრებია. რამდენიმე წელიწადში შეიქმნა ხიბინოგორსკი, სამთო ქიმიური მრეწველობის ეს დიდი ცენტრი, რომელიც სწრაფად იზრდება, იქ ამჟამად 35 ათასზე მეტი მცხოვრებია. კარაგანდაში, ქვანახშირის ამ მძლავრ რაიონში (ყაზაკსტანი) უკვე 100,000 მცხოვრებია, მაგნიტოგორსკში, რომლის მნიშვნელობაც მსხვილი მეტალურგ. ახლა ყველასათვის ცნობილია, 200 ათასზე მეტი მცხოვრებია, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინად ციმბირის ნაკლებად ცნობილი დაბები ეხლა სამრეწველო ქალაქებია. მაგალითად, ლენინსკ-კუზნეცკი (ქვანახშირის რაიონი) 65 ათასი მცხოვრებით, სტალინსკი (ციმბირის მეტალურგიის ცენტრი) 181 ათასი მცხოვრებით, კემეროვო (ქვანახშირის და მეტალურგიის რაიონი) 110 ათასი მოსახლეობით. ციმბირის პატარა ქალაქები ანჟერო-სუდჟენსკი (ქვანახშირის რაიონი), პროკოპიევსკი (ქვანახშირის რაიონი) და ურალის ნიჟნი-ტაგილი (მეტალურგიული რაიონი) გადაიქცნენ მსხვილ სამრეწველო ქალაქებად და თვითეულ ამ ქალაქში უკვე ასი ათასი და უფრო მეტი მცხოვრებია. ისეთი ქალაქები, როგორიცაა ზაპოროჟიე თავისი დნეპროშესით, ლუგანსკი, სტალინო და მაკეევკა უკრაინაში, ნოვოსიბირსკი დასავლეთ ციმბირში, ჩელიაბინსკი, პერმი, სვერდლოვსკი ურალში, სტალინგრადი — ვოლგაზე რაღაც ოთხიოდე წლის განმავლობაში ორჯერ გაიზარდნენ, ზოგიერთი მათგანი კი (მაგალითად სვერდლოვსკი)—სამჯერ და უფრო მეტად. შეიძლება დავასახელოთ კიდევ რამდენიმე ათეული ქალაქი და სამრეწველო ცენტრები, რომლებიც უკანასკნელ წლებში სწრაფად ანვითარებენ თავიანთ მრეწველობას და პირდაპირ ჩვენ თვალწინ იცვლებიან.

ბოლოს, სწრაფი ტემპებით იზრდებიან და სულ სხვა სახეს ღებულობენ ბაქო, ხარკოვი, ლენინგრადი და მოსკოვი, სადაც ფართოდაა გაშლილი მშენებლობა. მე აღარ ვილაპარაკებ ისეთ ფაქტებზე, რომლებიც ცნობილია ყველასათვის და განსაკუთრებით მოსკოველებისათვის.

დამახასიათებელია აგრეთვე საბჭოთა კავშირის ცალკე რესპუბლიკების სამეურნეო და კულტურული ზრდა. ამ ზრდას ადგილი აქვს ყველა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში და ნაციონალურ ოლქებში. მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე ციფრს ჩვენი მოკავშირე რესპუბლიკების შესახებ.

აი ცნობები ბიუჯეტების შესახებ. ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკის, უკრაინის და ამიერკავკასიის ფედერაციის ბიუჯეტები გაიზარდა ორჯერ უფრო მეტად. ბელორუსიის ბიუჯეტი გაიზარდა თითქმის სამჯერ, უზბეკისტანის და თურქმენისტანის ბიუჯეტები გაიზარდა სამჯერ და უფრო მეტად, ხოლო ტაჯიკისტანის ბიუჯეტი გაიზარდა ექვსჯერ. ამ ციფრებში გამოხატულებას პოულობს საბჭოთა კავშირის ყველა რაიონების სამეურნეო და კულტურული ზრდა.

აღვნიშნავ კიდევ ერთ მომენტს, სახელდობრ იმ მომენტს, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ ახასიათებს **ნაციონალური კულტურების** ზრდას. მე მხედველობაში მაქვს წერა-კითხვის მცოდნეობის საკითხი. ძველ რუსეთში მოსახლეობის მხოლოდ ერთმა მესამედმა 8 წლის ასაკიდან იცოდა წერა-კითხვა, ხოლო შუა-აზიის ეხლანდელი რესპუბლიკების მოსახლეობიდან 2 პროცენტზე მეტმა არ იცოდა წერა-კითხვა. საბჭოთა ხელისუფლებამ პირველ წლებიდანვე გაშალა უდიდესი კულტურული მუშაობა და პირველ ყოვლისა ყურადღება მიაქცია წერა-კითხვის გავრცელებას. ამჟამად უკრაინასა და ბელორუსიაში მოსახლეობის თითქმის 100 პროცენტმა იცის წერა-კითხვა, რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკასა და ამიერ-კავკასიაში დაახლოებით 90 პროცენტმა, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ შუა-აზიაში მივაღწიეთ უდიდეს გარდატეხას: ტაჯიკისტანში წერა-კითხვა იცის 80 პროცენტამდე, თურქმენისტანში—60 პროცენტზე მეტმა, უზბეკისტანში—70 პროცენტზე მეტმა. ნაციონალური კულტურების შემდგომი განვითარებისათვის, როგორც ხედავთ, დიდი მუშაობა ჩატარდა.

ბოლოს, საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობის ზრდის მხრითაც მეტად დამახასიათებელი მაჩვენებლები გვაქვს. კაპიტალისტურ ქვეყნებში უკვე დიდი ხანია დაისახა მოსახლეობის ზრდის შემცირების პროცესი. ეს კი იმის სერიოზული მაჩვენებელია, რომ არა მარტო უარესდება მასების ცხოვრების პირობები, არამედ აგრეთვე ახლოვდება ბურჟუაზიულ - კაპიტალისტური რეჟიმის დასასრული. საბჭოთა კავშირში კი სწრაფად იზრდება მოსახლეობა. უკვე 1932 წლის დამლევს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას შეადგენდა 165,7 მილიონი კაცი, ხუთწლედის განმავლობაში, უფრო სწორად ოთხი წლის განმავლობაში მოსახლეობა გაიზარდა 11,5 მილიონი კაცით. საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ამ გიგანტურ ზრდაში აშკარავდება საბჭოთა წყობილების ასიცოცხლო ძალა. მილიონთა ამ ზრდაშია საბჭოთა კავშირის მომავალი.

ეხლა მოვიგონოთ, რას გვიწინასწარმეტყველებდენ ჩვენი მტრები ხუთწლედის დასაწყისში, რას ამბობდენ ისინი მაშინ, როცა პირველი ხუთწლიანი გეგმა მივიღეთ.

აი მაგალითად, რას ამბობდა **წვრილი ბურჟუაზიის** ცნობილი იდეოლოგი, მხდალი სოციალ - დემოკრატიის იდეოლოგი კარლ კაუცკი ბროშურაში — „ბოლშევიზმი ჩიხში“, რომელიც დაწერილია 1930 წლის დასაწყისს.

„ეს უგუნური ექსპერიმენტი არ შეიძლება სხვანაირად დამთავრდეს, თუ არა საშინელი დამარცხებით... საქმე ისე კი არაა, რომ ექსპერიმენტი **ალბად** არ გამართლდება, არამედ ისე, რომ **სრული რწმენით** შეიძლება ითქვას, რომ იგი დამარცხდება და აუცილებლად უნდა დამარცხდეს“ (ხაზი კაუცკისაა—ვ. მ.).

მაგრამ საქმე ისეთ უკბილო ბებრუხანებში კი არაა, როგორიცაა კარლ კაუცკი.

ავიღოთ მეორე მაგალითი. მე მოგაგონებთ, თუ რას სწერდა ერთ-ერთი თვალსაჩინო ბურჟუაზიული ჟურნალისტი 1929 წელს, საბჭოების ყრილობის მიერ ხუთწლიანი გეგმის მიღების შემდეგ. როგორც ჭეშმარიტმა **ბურჟუამ**, რომელსაც აზრადაც არ მოსდის სოციალიზმის გამარჯვება, მოურიდებლად სთქვა ისეთი რამ, რაც ეხლა ბურჟუასათვის რაღაც სულთათანად უნდა გაისმას.

მომყავს გ. შეფერის სიტყვები ცნობილ გერმანულ ბურჟუაზიულ გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატ“-ის 1929 წლის 25 ივნისის ნომრიდან. აი რა ეწერა იქ დაახლოებით ოთხი წლის წინად:

„თუ ექსპერიმენტი წარმატებით დამთავრდა, თუნდაც სამმეოთხედით, მაშინ, ეჭვი აღარ უნდა იყოს საბოლოო გამარჯვებაში. ეს იქნებოდა მაშინ, **სოციალისტური მეთოდის** [illegible] მიღწეული ახალგაზრდა, რწმენის მქონე, ნიჭიერი ხალხის ძალებით“. (ხაზი ჩემია—ვ. მ.).

რას იტყვიან ახლა ვაჟბატონი შეფერები. ხუთწლიანი გეგმა ხომ შესრულდა არა სამმეოთხედით, არამედ შესრულდა მთლიანად და მასთან ოთხ წელიწადში. ეხლა იქნებ თქვენ, მშვენიერო ვაჟბატონებო, აღიაროთ თქვენი დამარცხება და მუშათა კლასის გამარჯვება. მაგრამ ჩვენ არ ველით ამას. მუშათა კლასის გამარჯვების აღიარება, საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვების აღიარება ხომ ბატონ ბურჟუებისათვის ნიშნავს იმას, რომ მათ საკუთარი ხელით მოაწერონ თავიანთ სასიკვდილო განაჩენზე.

2. კაპიტალიზმის კრიზისი და პერსპექტივები

ვნახოთ რა ხდებოდა ამ წლების მანძილზე **კაპიტალისტურ ქვეყნებში.**

იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირი ამაგრებდა თავის მეურნეობას და წლითიწლობით წინ მიდიოდა, კაპიტალისტურ ქვეყნებში ეკონომიური კრიზისი სწრაფი ტემპით ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა. ერთ მხარეზე — ბოლშევიკური ხუთწლედის, მეურნეობის განუხრელი ზრდისა და აღორძინების ხუთწლედის 4 წელიწადში განხორციელება, მეორე მხარეზე — სწორედ ამ ოთხი წლის განმავლობაში, 1929-1932 წლებში — თავი იჩინა ისეთმა ეკონომიურმა კრიზისმა, რომლის მსგავსი კაპიტალიზმის ისტორიას არ ახსოვს.

საბჭოთა კავშირის განვითარების შედეგების შედარება მთელ მსოფლიოს კაპიტალისტური მეურნეობის შედეგებთან უკანასკნელი წლების განმავლობაში მეტად საგულისხმო სურათს იძლევა.

შევეცდები ეს ამოცანა გავიადვილო სრულიად უბრალო წესით.

მოვიყვან ამონაწერებს ინგლისის უაღრესად გავლენიან ბურჟუაზიულ გაზეთ „ტაიმს“-იდან იმის შესახებ, თუ როგორ აფასებდა ეს გაზეთი ინგლისის და მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოს ეკონომიურ მდგომარეობას ამ ოთხი წლის განმავლობაში. პირველ ყოვლისა მე მოვიყვან ამონაწერს ამ გაზეთის 1929 წლის 1 იანვრის ნომრიდან. მაშინ წერილში „უკეთესი პერსპექტივები“ გაზეთი „ტაიმს“-ი ასე აფასებდა 1929 წლის პერსპექტივებს:

„თუ ბრიტანეთის ვაჭრობის პერსპექტივებს მომავალი 1929 წლისათვის განვიხილავთ ფართო მიდგომით, შეიძლება ითქვას, რომ ეს პერსპექტივები საერთოდ უკეთესია, ვიდრე გასული წლის დასაწყისში. ამ მხრივ ისინი საფუძველს იძლევიან იმედისათვის „ბუმ“-ი არ არის მოსალოდნელი და არც სასურველია, მაგრამ, თუ გადავათვალიერებთ იმ სპეციალურ კორესპონდენტების ანგარიშებს, რომლებიც „ტაიმს“-ის დავალებით ეცნობოდენ ჩვენს ინდუსტრიალურ ცენტრებში შექმნილ მდგომარეობას, დავინახავთ, რომ მრეწველთა და კომერსანტთა უმრავლესობას შორის არსებობს კარგი წლის **საერთო ღრმა წინაგრძნობა**“ (ხაზგასმულია ჩემ მიერ—ვ. მ.).

ამგვარად, კრიზისის დაწყების წინ „ტაიმს“-ის ღრმააზროვანი ეკონომისტები აღნიშნავდენ „კარგი წლის საერთო ღრმა წინაგრძნობას“.

ეხლა ავიღოთ, რას სწერდა „ტაიმს“-ი ერთი წლის შემდეგ. მომყავს ციტატა წერილიდან „მომავლისაკენ გახედვა“, რომელიც ამ გაზეთში მოთავსებული იყო 1930 წლის 1 **იანვარს.**

„...ყველაზე უკეთესი არახელსაყრელი სურვილი, რომელიც ჩვენ შეგვიძლია გამოვსთქვათ, მდგომარეობს იმაში, რომ მომავალ თვეებში ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო გარკვევით ითვალისწინებდენ ნაციონალური ხასიათის დიდ მნიშვნელობას. ისტორიაში საერთო მიღებულ შეხედულებად ითვლება, რომ ნაციონალური სიდიადე არასოდეს არ შეიძლება შენარჩუნებულ იქნას მარტო მატერიალურ უპირატესობათა საფუძველზე და, რომ მორალური დაცემა წარმოადგენს სრული კატასტროფის აუცილებელ პრელიუდიას“.

აქ, როგორც ხედავთ, იწყება ახალი ჰანგები. იმის გამო, რომ კაპიტალისტურ მეურნეობაში კრიზისის დაწყებასთან დაკავშირებით ნათელი გახდა საგრძნობი დაქვეითება, „ტაიმს“-ი იწყებს ზიათებს იმის შესახებ, რომ საქმე არის არა მარტო „მატერიალურ უპირატესობაში“, არამედ მთავარია არ დაუშვათ „მორალური დაცემა“, რომელიც „წარმოადგენს კატასტროფის აუცილებელ პრელიუდიას“. ეს საკმაოდ დამახასიათებელია.

კიდევ ერთი წლის შემდეგ 1931 **წლის 2 იანვარს**, „ტაიმს“-ი უკვე იძულებულია მეტად შეშფოთებული ტონით ილაპარაკოს. აი რას სწერდა მაშინ ეს გაზეთი სტატიაში „ევროპა გზაჯვარედინზე“:

„იმ მომენტში, როცა 1930 წელი გადადის 1931-ში, კონტინენტზე გამეფებულია შიშის და მოლოდინის საერთო გრძნობა, ცვლილებათა ნერვიული წინაგრძნობა და მათი აუცილებლობისადმი რწმენა“.

უნდა ითქვას, რომ „ტაიმსი“-ს ბურჟუაზიული მესვეურები ტყუილად არ შეშფოთდენ.

კიდევ ერთი წლის შემდეგ ისინი ცდილობენ მოიკრიბონ მთელი ძალღონე იმისთვის, რომ როგორმე ჯერ კიდევ შეინარჩუნონ ავტორიტეტი მკითხველთა შორის.

სტატიაში „შესაძლებლობებით მდიდარი წელიწადი“ „ტაიმს“-ი **1932 წლის 2 იანვარს** სწერდა:

„მთელი საქმე, რომ მხოლოდ დიაგნოზს შეეხებოდეს. მაშინ გარდატეხა საერთაშორისო სიტუაციაში ხვალვე მოხდებოდა. საბედნიეროდ ინგლისისათვის იგი უკვე **გადავიდა დიაგნოზიდან მკურნალობაზე**“. (ხაზგასმა ჩემია—ვ. მ.).

ამგვარად, ერთი წლის წინად „ტაიმს“-მა განაცხადა, რომ ინგლისი „დიაგნოზიდან მკურნალობაზე გადავიდა“. მაშასადამე, ეხლა 1933 წლის იანვარში უკვე შეიძლება ერთგვარი ჯამი გაუკეთოთ ამ მკურნალობას.

ეხლა ვნახოთ რას სწერს „ტაიმს“-ი ა. წ. იანვარში:

1933 **წლის 2 იანვარს** სტატიაში „გისურვებთ ბედნიერ ახალ წელს“ „ტაიმს“-ი ღებულობს რა სახის მხიარულ გამომეტყველებას, აცხადებს:

„რაც ყოველგვარ ეჭვს გარეშეა 1933 წლის მიმართ, ეს არის ის, რომ მოსალოდნელია მრავალი სიძნელე: მიუხედავად ამისა, შეიძლება სალი გონებით ვილოცოთ „ბედნიერ ახალ წელიწადს“ იმ მხრით, რომ მის დასასრულს შეიძლება მოვჰყვეს გარკვეული პროგრესი მშვიდობიანობის სტაბილიზაციისა და აღორძინების საქმეში“, — მაგრამ ამავე სტატიაში „ტაიმს“-ის ბატონ რედაქტორებს არ შეუძლიათ თავი შეიკავონ და ისინი ნერვიულად აცხადებენ:

„ადვილია ბოდიში მოვუხადოთ ადამიანებს, რომელნიც განიცდიან არა კმაყოფილებას, არამედ გაბრაზებას, როცა მათ არწმუნებენ, რომ ჩვენ დაბოლოს გამოვედით ჩიხიდან“ ან „უკუქცევა შეწყდა“. ასეთი ლაპარაკი მათ, მათი სიტყვით, უკვე რამოდენიმე წელიწადია ესმით, და მეტაფორების სიმდიდრე არ წარმოადგენს ნამდვილი სასტიკი შეცდომების კომპენსაციას“.

„ტაიმს“-ის ვაჟბატონებმა უკვე სავსებით აიშვეს ენა და ამტკიცებენ, რომ მიმდინარე წელი „მართლაც შეიძლება იყოს განსაკუთრებით ბედნიერი წელი, თუ იგი შესძლებს მოგვცეს ჩვენ და ჩვენს მახლობლებს ცოტად თუ ბევრად ნათელი წარმოდგენა ღმერთზე“, საიდანაც „ტაიმს“-ს, ბოლოს, გამოყავს შემდეგი დასკვნა:

„ჩვენი ხსნა არ ყოფილა გამოწვეული მარტო ადამიანის სიბრძნით, ხოლო მისი ახსნა ბედნიერ შემთხვევათა უმაგალითო სერიით ისეთი თეორიაა, რომელსაც მოაზროვნე ადამიანები ვერ მიიღებენ. „დღემდე ღმერთი გვეხმარებოდა“ — ეს ფრაზა წარმოადგენს იმის უფრო სწორ ახსნას, რასაც ადგილი ჰქონდა“.

აზრი ამ მსჯელობის, ღმერთზე, რომელიც „დღემდე ეხმარებოდა“, ცხადზე უცხადესია. ამ ადამიანებს არ სწამთ თავისი საქმეების ახლო მომავალში გაუმჯობესება და ამიტომ „ღმერთზე“ მითითებით ცდილობენ მიაძინონ თავისი მკითხველები. ეს მით უფრო იოლი საქმეა მათთვის, რომ მაღალ ჯამაგირს ღებულობენ ბურჟუაზიისაგან, რომელიც აგრეთვე, რათქმა უნდა, ახლაც არ ცხოვრობს ცუდათ, მიუხედავად მოსახლეობის საშუალო და დაბალი ფენების უდიდესი გაჭირვებისა და მიუხედავად მუშათა უმაგალითო უმუშევრობისა.

მაგრამ საკმარისია დააკვირდეთ ამ ვაჟბატონებს — ინგლისის ბურჟუაზიის ცენტრალურ ორგანო „ტაიმს“-ის რედაქტორების — ნაწერებიდან ზემოთ მოყვანილ ციტატებს, რომ ამ ელემენტარული ფაქტებიდან მიიღოთ წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა ღირებულება აქვს მათ ძირითად შეფასებას, წინასწარმეტყველებას და მსჯელობას თემაზე ინგლისის და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური განვითარების შესახებ. აქედან სჩანს, რომ ცუდია კაპიტალიზმის ბატონ **დამცველთა** საქმეები, მაგრამ ამ საქმეთა მდგომარეობა სავსებით შეესაბამება **თვით** კაპიტალისტური წყობილების მდგომარეობას, რომელმაც გამოიწვია უმაგალითო კრიზისი და სამეურნეო ნგრევა.

იმის პარალელურად, თუ რას ამბობდა ინგლისური გაზეთი „ტაიმს“-ი მოვიყვან შეერთებული შტატების სამეურნეო მდგომარეობის შეფასებას, რომელსაც იძლეოდა გასული ოთხი წლის განმავლობაში არა რომელიმე „უპასუხისმგებლო“ ჟურნალისტი, არამედ შეერთებული შტატების პასუხისმგებელი პირი. მართლაც საგულისხმოა შევადაროთ საბჭოთა კავშირის სამეურნეო მშენებლობის მარქსისტული შეფასება, რომელსაც იძლეოდენ ბოლშევიკები განვლილი ხუთწლედის მანძილზე, და ბოლშევიკების მიერ ამ ხნის განმავლობაში წარმოებული მუშაობის შედეგები საბჭოთა კავშირში,— შევადაროთ იმას, თუ რას ამბობდენ და რას მიაღწიეს თავის კაპიტალისტურ ქვეყნებში ბატონ ბურჟუებმა და მათმა მმართველებმა, რომლებისთვის ასე უცხოა მარქსისტული მეცნიერება. განსაკუთრებით საინტერესოა მოუსმინოთ ყველაზე მდიდარი კაპიტალისტური ქვეყნის ბურჟუაზიის წარმომადგენელს და კაპიტალისტური აყვავების („პროსპერიტი“) ასე ცნობილ წინასწარმეტყველს.

დავიწყებ იქიდან, თუ რას ლაპარაკობდა ეს პირი ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების საქმეებზე ჩვენი პირველი ხუთწლედის დასაწყისში. სწორედ მაშინ ადგილი ჰქონდა პრეზიდენტის არჩევნებს ამერიკაში და საპრეზიდენტო კანდიდატები, გასაგები მოტივებით, უხვათ იძლეოდენ დაპირებებს და მიმართავდენ თვითქებას. იგივე პირი 1928 წლის სექტემბერში ამბობდა შემდეგს:

„...როდესაც ჩვენ (რესპუბლიკანური პარტია) 1921 წელს სათავეში ჩაუდექით მთავრობას, ჩვენს ქვეყანაში იყო ხუთიდან ექვს მილიონამდე უმუშევარი... ერთი წლის განმავლობაში ჩვენ სამუშაო მივეცით ყველა ამ ხუთ მილიონს...

თუ არ მთავრობის გონივრული პოლიტიკა და უნარიანი ხელმძღვანელობა, შრომის მდგომარეობა ამჟამად ისეთივე იქნებოდა, როგორიცაა დედამიწის ბევრ სხვა ნაწილში“.

დაახლოებით 1 წლის შემდეგ როცა დაწყებული კრიზისი უკვე მრისხანედ თავს დაატყდა ჩრდილოეთ ამერიკის ბურჟუებს, იგივე პირი, თითქო ვერაფერს ამჩნევს, **1929 წლის 25 ოქტომბერს** პრესის წარმომადგენლებს ეუბნებოდა შემდეგს:

„ამ ქვეყნის (ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატები) ძირითადი ეკონომიური ცხოვრება — პროდუქცია და განაწილება — დამყარებულია სალ და **აყვავების** პროცესში მყოფ საძირკველზე“ (ხაზი ჩემია — ვ. მ.). იგი თავის ერთგული რჩებოდა და განაგრძობდა სიტყვებს „პროსპერიტის“ შესახებ, თითქოს არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარიყოს.

მაგრამ 1929 წლის დამლევს ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებში რაღაცა რომ მაინც მოხდა, ამას ჩვენ ცოტა შემდეგ გავიგებთ.

1930 წლის 1 მაისს იგი უკვე ლაპარაკობდა იმის შესახებ, თუ სახელდობრ რა მოხდა ამერიკაში წინა წლის შემოდგომაზე. მაგრამ როგორც „პროსპერიტის“ წარმომადგენელი ის განაგრძობდა:

„მხოლოდ ექვსმა თვემ განვლო **კრახის** დასაწყისიდან, და მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველაზე ცუდი უკან მოვიტოვეთ და რომ, გავაერთიანებთ ჩვენს ძალღონეს, ჩვენ შევძლებთ მეურნეობის სწრაფად აღდგენას“ (ხაზი ჩემია — ვ. მ.).

როგორც ხედავთ, იგი უკვე იძულებულია ილაპარაკოს ეკონომიურ კრიზისზე, როგორც „კრახზე“, მაგრამ მაინც აცხადებს: „ჩვენ შეგვიძლია **სწრაფად** აღვადგინოთ მეურნეობა“-ო.

თუ რა გამოვიდა აქედან, ეხლა უკეთ ვხედავთ, მაგრამ, სანამ ამაზე შევჩერდებით კიდევ მოვიყვან ერთ ციტატას იმავე პირის გამოსვლიდან, რომელსაც ადგილი ჰქონდა ერთი წლის შემდეგ.

ზემოთ აღნიშნულ სიტყვაში 1931 წლის 15 ივნისს ის ანვითარებდა ასეთ „ამერიკულ გეგმას“.

„მე შემიძლია მოგაწოდოთ თქვენ ამერიკული გეგმა. ეს გეგმა შეიცავს დასვენების გადიდებას მამაკაცებისა და ქალებისათვის. ჩვენ განზრახული გვაქვს მეცნიერებისა და გამოგონებათა საშუალებით ავსწიოთ მთელი ხალხის საარსებო დონე და უზრუნველყოფის საქმე. ამ გეგმამ უნდა უზრუნველყოს სიმდიდრის უკეთ განაწილება, სიღარიბის შემცირება და დანაშაულთა საგრძნობი შემცირება“. რა არ იყო ამ „ამერიკულ გეგმაში“ დაპირებული წლინახევრის წინ—„დასვენების გადიდებაც კაცებისა და ქალებისათვის“, „სიმდიდრეთა უკეთ განაწილება“, „სიღარიბის შემცირებაც“. სხვა რაღა ისურვოს კაცმა რა გამოვიდა სინამდვილეში! რა ნაირი შედეგები.

ამის შესახებ ვალაპარაკოთ იმავე ინგლისური „ტაიმსი“, რომელმაც ამ მოკლე ხნის წინ 1933 წლის 5 იანვარს მოწინავე წერილში „ამერიკის პრობლემები“ ახალი შეფასება მისცა ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილ მდგომარეობას.

„მიუხედავად იმისა, რომ ნიუ-იორკის ბანკების საწყობებში დაგროვილია აურაცხელი ოქროს განძეულობა (ამერიკაში ამჟამად თავმოყრილია მსოფლიოს 29 მთავარი ქვეყნის მთელი ოქროს მარაგის 38 პროცენტი) იქ მეფობს ისეთი **სიღატაკე და სიღარიბე, რომლის პარალელს ვერ მოვძებნით შეერთებული შტატების ისტორიაში**“ (ხაზი ჩემია—ვ. მ.).

და შემდეგ იმავე წერილში სპეციალურად ნიუ-იორკის შესახებ: „ნიუ-იორკის ერთ მილიონზე მეტი მცხოვრები, რაც შეადგენს ქალაქის ნორმალური მუშური მოსახლეობის ერთ მესამედს და მთელი მისი მოსახლეობის ერთ მეექვსედს, დარჩენილია სამუშაოს გარეშე და დამოკიდებულია იმ მომენტზე, როცა საზოგადო და კერძო ქველმოქმედება ამოიწურება. თუ კმაყოფაზე მყოფთ ჩავთვლით, გამოდის, რომ **ქალაქის მთელი მოსახლეობის ერთი მესამედი უმუშევრობის წყალდიდობით არის მოცული**“ (ხაზი ჩემია ვ. მ.).

დაბოლოს, იმავე წერილში მოცემულია ჩრდ.-ამ. შეერთებულ შტატების მდგომარეობის ასეთი საერთო დახასიათება. 1930—31 წლის ზამთარში ქალ. ნიუ-იორკში უმუშევართა საერთო რიცხვი აღწევდა 300 ათას კაცს, 1931—32 წლის ზამთარში 750 ათას კაცს, ხოლო ეხლა კი ეს რაოდენობა უდრის 1.150 ათას კაცს. მდგომარეობა კიდევ უფრო შემაძრწუნებელი ხდება ყველა სახსრების ამოწურვის, საყოველთაო გაღატაკების და ქალაქის ფინანსების მდგომარეობის გაუარესების გამო. ამერიკის სხვა მსხვილი ქალაქებიც ასეთსავე დუხჭირ მდგომარეობაში არიან. სოფლები, შესაძლოა, კიდევ უარეს დღეში არიან, ვინაიდან ფერმერთა მთელი მოსახლეობა მისულია სასოწარკვეთილებამდე, ხოლო ქვეყნის ბევრ კუთხეში—ფაქტიურ გაღატაკებამდე საქონლის ფასების შეუჩერებლად დაცემის გამო. ათასობით და ასი ათასობით ხალხი ხდება უსახლკარო მაწანწალებად, რომლებიც დაეხეტებიან ქვეყანაში სამუშაოს, საკვების და თავშესაფარის საძებნად, არ არის საიმედო ციფრი, რომელიც ახასიათებდეს უმუშევართა ამ არმიას. ერთი კორესპონდენტი, რომელიც განსაკუთრებით კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდა იმისათვის, რომ ემსჯელა ამ საკითხზე, ამას წინად სწერდა, რომ გადაუჭარბებლად ითქვას, რომ დღეს **იმ მშიერ და სასოწარკვეთილებამდე მისული ხალხის რიცხვი**, რომელიც დაძრწის შეერთებულ შტატების მიწა-წყალზე, შეიძლება განისაზღვროს ნახევარი მილიონით. ამ რიცხვში **ბევრი ქალი შედის**“.

(ხაზგასმა ყველგან ჩემია—ვ. მ.).

რასაკვირველია, ამ წერილში ყველაფერი არ არის ნათქვამი. ვაჟბატონებს „ტაიმს“-იდან აქვთ იმის მიჩქმალვის უნარი, რაც მათთვის არ არის ხელსაყრელი. მდგომარეობა ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებში გაცილებით უარესია, ვინემ ეს მოყვანილია „ტაიმ“-სში. მაგრამ მოყვანილი ფაქტებიც საკმარისია იმისათვის, რომ სათანადოთ შევაფასოთ ზემოდ ჩამოთვლილი განცხადებები და დაპირებები. მოყვანილი ფაქტები ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ—ეს ხომ ერთგვარი შეჯამებაა **ყველაზე მდიდარი** კაპიტალისტური ქვეყნის განვითარებისა სწორედ იმ პერიოდში, რომელიც საბჭოთა კავშირში წარმოადგენდა პირველი ხუთწლედის პერიოდს. შეადარეთ ერთის შედეგები მეორის,—დასკვნები თავისთავად გამომდინარეობენ.

ყოველივე ეს მოწმობს, თუ რა მდგომარეობაში არიან მშრომელთა მასები არა მარტო ჩრდილოეთ-ამერიკაში და არა მარტო დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე, — ეს ქვეყნები ხომ ყველაზე მძლავრ კაპიტალისტურ ქვეყნებს წარმოადგენენ,—არამედ სხვა სახელმწიფოებშიაც, სადაც კაპიტალი ბატონობს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ამ ფაქტების შესახებ და პირველ ყოვლისა უნდა ვიცოდეთ მუშების მდგომარეობის შესახებ, ვინაიდან ყველა ქვეყნის მუშები—ჩვენი კლასობრივი ძმები არიან. მაგრამ ყველაზე უარესი მდგომარეობს იმაში, რომ ეხლა არავის არ შეუძლია სთქვას, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელი მასების მდგომარეობა კიდევ უფრო არ გაუარესდება. ყველაფერი საწინააღმდეგოს მოწმობს. უმუშევრობა არა თუ არ მცირდება, არამედ უფრო ძლიერდება. გლეხების და ფერმერების გაღატაკებას არა თუ საზღვარი არ ედება, არამედ ის კიდევ უფრო ძლიერდება და ყოველდღე უფრო აუტანელი ხდება.

ასეთ შეჯამებასთან ერთად, ჩვენ არ შეიძლება არ გვაინტერესებდეს კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების **პერსპექტივები.**

არ გამოუდგებით მკითხაობას ამის შესახებ, გადავხედოთ მდგომარეობას, როგორია გარემოებანი, რომ ვიქონიოთ წარმოდგენა კაპიტალისტური მსოფლიოს განვითარების შესაძლებელი პერსპექტივების შესახებ ეხლანდელ მომენტში ძალიან სასარგებლო იქნება იმის გაცნობა, თუ როგორ აფასებენ თვით ბურჟუაზიული კლასების წარმომადგენლები 1933 წლის დასაწყისში შექმნილ მდგომარეობას. მე მხედველობაში მაქვს არა მარტო ცალკე პირების და ბეჭდვითი ორგანოების გამოსვლები. შევეხები იმას, რაც ამას წინად ამის შესახებ სთქვა ინგლისის მთავრობამ თავის ნოტაში, რომელიც მიმართული იყო შეერთებული შტატების მთავრობისადმი და შეეხებოდა ვალებს. აი ზოგიერთი ამონაწერი ამ ნოტიდან, რომელიც გამოქვეყნდა „ტაიმს“-ში 1932 წ. 2 დეკემბერს.

პირველი ამონაწერი:

„ომმა გამოიწვია დიდი არევ-დარევა საერთაშორისო ვაჭრობაში და 14 წლის გასვლის შემდეგ ამ არევ-დარევამ მოგვცა არაჩვეულებრივად მწვავე კრიზისი. ეს გამოიხატა იმაში, რომ საერთო დამბლა დაეცა ვაჭრობას მთელს განათლებულ მსოფლიოში, ფართოდ გავრცელდა უმუშევრობა და საშინლად შემცირდა ეროვნული შემოსავალი ყველა ქვეყნებში, მათ შორის ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატებში და დიდ ბრიტანეთში.

დეპრესიის მიზეზები შეიძლება მრავალგვარი იყოს, მაგრამ საერთოდ აღიარებულია, რომ სამხედრო ვალები (სხვათა შორის, აქედან კიდევ ზედმეტჯერ სჩანს, თუ რა კარგ დროზე დავახწიეთ ჩვენ მათ თავი ვ. მ.) და რეპარაციები წარმოადგენდენ ერთ-ერთ მთავარ მიზეზს და რომ ამ ვალების მოგვარება, რაც მსოფლიოს გაანთავისუფლებს მთელ რიგ მათთან დაკავშირებულ საშიშროებებისაგან, წარმოადგენს საყოველთაო აღორძინების აღდგენის აუცილებელ პირობას“.

მეორე ამონაწერი ინგლისის ნოტიდან:

„მას შემდეგ მსოფლიო განიცდის დარტყმებს, რომლებიც ზედიზედ მეორდება და რომლებმაც საბოლოოდ შეარყიეს ის ნდობა, რასაც ემყარებოდა კერძო ინვესტაციის სისტემა. გახრწნის პროცესი მივიდა იმ წერტილამდე, როცა ის იქცა არა მარტო კერძო კაპიტალების და საწარმოების, არამედ მთელი ქვეყნების ლიკვიდაციის ცდად. ნაციონალურ ვალიუტებს ემუქრება არა სიმყარე, თუ არა სრული კრახი. რეგისტრაციის და კონტროლის ზომებმა კი, რომელთა მიზანი იყო სიძნელეთა შემსუბუქება, კიდევ უფრო მეტი გაჭირვება გამოიწვიეს. ყოველგან დაუზოგავად გაიზარდა საგადასახადო ბეგარა, ხოლო ხარჯები კი სასტიკად მცირდება და მიუხედავად ამისა ბიუჯეტები იძლევიან დეფიციტს, ან კიდევ დიდი, გაჭირვებით იფარება. ყველა მიმართულებით მოსჩანს ვაჭრობის დაშლის ნიშნები და გაკოტრების და ფინანსიური კრახის საშიშროება.

ფულის საერთაშორისო მექანიზმი, ურომლისოდაც თანამედროვე ქვეყნიერებას არ შეუძლია ეფექტიურად არსებობა, ნაწილობრივ არის დამსხვრეული, რაც იწვევს გაჭირვების და უბედურების სხვადასხვა ფორმებს. მსოფლიოს ყველა ქვეყნებს ისიც კი არ შეუძლიათ, რომ დაიწყონ საკითხის განხილვა ამ მექანიზმის აღდგენის შესახებ იმ დრომდე, სანამ აღმოფხვრილი არ იქნება მიზეზები, რომლებიც ძირს უთხრიან ამ ნდობას“.

მესამე ამონაწერი იმავე ნოტიდან:

„წინა მუხლებში აღნიშნულ მიზეზების გამო, მისი უდიდებულესობის მთავრობა თავის თხოვნას მთელი შექმნილი მდგომარეობის გადასინჯვის შესახებ ამყარებს იმ ფაქტზე, რომ სამხ. ვალების გადახდა, მისი აზრით, შეუფარდებელი აღმოჩნდა მსოფლიოს არსებულ ეკონომიურ ორგანიზაციასთან, და რომ ყოველგვარი განახლება ამ გადასახადებისა გაამწვავებს არსებულ კრიზისს და სახელს გაუტეხს კრიზისის საწინააღმდეგო ყველა ღონისძიებებს“.

აქ საჭირო არ არის შევჩერდეთ ამ ნოტის არსებით შეფასებაზე, მაგრამ კაპიტალისტური მსოფლიოს საქმეთა მდგომარეობის აღწერის თვალსაზრისით ინგლისის ნოტა საკმაოდ მკაფიო დოკუმენტია

აქედან უკვე თქვენ თვითონ განსაჯეთ კაპიტალისტური ქვეყნების პერსპექტივები. ტყუილა კი არ აცხადებს საფრანგეთის ბურჟუაზიის ცენტრალური ორგანო „ტანი“ მიმდინარე წლის პირველი იანვრის ნომრის მეთაურ წერილში:

„ჰორიზონტი სიბნელით არის მოცული, მაგრამ სასოწარკვეთილებას არ უნდა მივეცეთ... ახალი წლის განმავლობაში გადასაწყვეტი იქნება უდიდესი ამოცანა ყველა იმ ამოცანათა შორის, რომლებიც ოდესმე გადაუწყვეტია პასუხისმგებელ მთავრობებს, სახელდობრ საჭიროა საფრთხეში მყოფ ჩვენი ცივილიზაციის დაცვა“.

ეხლა ცოტა არ არიან პროჟექტორები „ცივილიზაციურ“ ქვეყნებში, რომლებიც იგონებენ სხვადასხვა გამოსავალს კრიზისიდან. ერთნი ოცნებობენ დიქტატურაზე, მეორენი—ფაშისტური ტიპის კორპორატიულ სახელმწიფოზე, მესამენი—„ტეხნოკრატიაზე“, ე. ი. ძალაუფლების ინჟინრებისათვის გადაცემაზე, საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციაზე, რომელიც მოწვეულ უნდა იქნეს უახლოეს დროში, რამდენადაც ამის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ ბურჟუაზიული სახელმწიფოების ეგრეთ წოდებულ ექსპერტების მოსამზადებელი მუშაობის მიხედვით, ცალკე შეჩერება არ ღირს. ჩვენ საკუთარი აზრი გვაქვს ყველა ამ „გეგმების“ და მდგომარეობიდან ნამდვილი გამოსავლის შესახებ.

ამჟამად ეს აზრი, რომელიც დასაბუთებულია ისტორიული მნიშვნელობის მრავალი ფაქტებით, დასტურდება, როგორც პირველი ხუთწლედის შედეგებით, ისე თვით 1933 წლის **ახალ** სამუშაოთა გეგმით. მეორე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა არ შეიძლება არ განვიხილოთ, როგორც პირველი ხუთწლედის გამარჯვების განსახიერება.

საკმაოა დავასახელოთ ამ გეგმის ძირითადი ამოცანები,—გეგმის, რომელიც ჩვენ უნდა შევასრულოთ და შევასრულებთ კიდეც,—რომ დავრწმუნდეთ ამაში. განსაკუთრებით საგულისხმოა შევადაროთ ეს გეგმა, რომელიც განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის შემდგომი სწრაფი აღორძინების პერსპექტივებს, კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების პერსპექტივებს, რომლებზედაც ჩვენ ზევით ვილაპარაკეთ.

გეგმა ითვალისწინებს მრეწველობის პროდუქციის გადიდებას 16,5 პროცენტით, დავალება, როგორც ხედავთ, სერიოზულია, ამავე დროს რას ვხედავთ ჩვენ კაპიტალისტურ ქვეყნებში? დეე, მოიყვანონ თუგინდ **ერთი** მაგალითი, დაასახელონ თუგინდ კაპიტალიზმის **ერთი** ქვეყანა, სადაც 1933 წელში შესაძლებელი იყოს მრეწველობის პროდუქციის გადიდება არა თუ 16 პროცენტით, არამედ თუ გინდ 6 პროცენტით! სამაგიეროთ უფრო მართალი იქნება, რომ მრავალი კაპიტალისტური ქვეყანა წელსაც არა თუ ვერ აღადგენს თავის მრეწველობას, არამედ კიდევ უფრო ქვევით დაიქანება.

გეგმა გულისხმობს მრეწველობაში დაბანდებულ მუშათა ხელფასის შემდგომი ზრდას 9 პროცენტით. და ეს მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებში მუშების ხელფასი საბჭოთა კავშირში წლიდან-წლამდე იზრდებოდა. ამავე დროს როგორია მუშათა ხელფასის პერსპექტივები იმ ქვეყნებში, სადაც ბურჟუაზია ბატონობს? რაიმე არ ისმის, რომ თუგინდ ერთ ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში, ანდა ბურჟუაზიულ მონარქიაში (განსხვავებას კი არა აქვს არსებითი მნიშვნელობა) ბატონ კაპიტალისტებს დაესახოთ მუშათა ხელფასის გადიდება. დეე მოიყვანონ თუგინდ **ერთი** ასეთი მაგალითი, თუგინდ **ერთი** ასეთი ქვეყანა.

გეგმა მიზნად ისახავს მოსავლიანობის სერიოზულად გადიდებას ყველა ხასიათის სამეურნეო კულტურების მიხედვით, ეს საბჭოთა კავშირისთვის განსაკუთრებით საჭიროა. განა ამ საქმით, მოსავლიანობის გადიდების საქმით დაინტერესებული არიან კაპიტალისტურ სახელმწიფოების მთავრობები? დეე მოიყვანონ თუგინდ **ერთი** მაგალითი, დაასახელონ თუგინდ **ერთი** ქვეყანა, სადაც ბურჟუაზიული ხელისუფლება ზრუნავს გლეხთა მიწების მოსავლიანობის გადიდებაზე.

კულტურული მშენებლობის დარგში გეგმა მიზნად ისახავს მრავალი დიდი ამოცანის გადაწყვეტას, როგორიცაა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, ისე სამეცნიერო-ტეხნიკურ კადრების მომზადების და სამეცნიერო - საკვლევაძიებო მუშაობის გაშლა [illegible] ცენტრში და საბჭოთა კავშირის ყველა რაიონებში. არის თუ არა რაიმე ამის მსგავსი ამჟამად კაპიტალისტურ სახელმწიფოებში? ჩვენამდე თანდათან უფრო ამის საწინააღმდეგო ცნობები მოდის.

3. საკუთრება ბურჟუაზიული და საკუთრება სოციალისტური

განსაკუთრებით დამახასიათებელია, რომ საბჭოთა კავშირში, ცალკე რესპუბლიკების და რაიონების სამეურნეო და ნაციონალური ცხოვრების განსხვავების პირობებში, კავშირის ყველა ნაწილებში სწარმოებს შეუჩერებელი სამეურნეო და კულტურული აღორძინება და ამავე დროს ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში, პატარასა და დიდ ქვეყნებში, სწარმოებს საწინააღმდეგო პროცესი, დაცემის და ზოგიერთ შემთხვევაში პირდაპირი ლპობის პროცესი. გასაგებია ამიტომ, რომ ლაპარაკი „მოწესრიგებული კაპიტალიზმის“ შესახებ, რომელიც ესოდენ პოპულარული იყო ჯერ კიდევ სამ-ოთხი წლის წინად, ეხლა სრულიად მოისპო. ბურჟუაზიული ბანაკის ყველა მკვლევარები და საკვლევაძიებო კომიტეტები აწარმოებენ უიმედო ცდებს მეურნეობაში ეგრეთწოდებულ „თანასწორობის“ დამყარების საშუალების გამოსანახავად. მაგრამ ყველა ეს ცდები იმდენად უმნიშვნელოა, რომ ამაზე შეიძლება არ შევჩერდეთ. მეორეს მხრივ 1933 წლის სახალხო სამეურნეო გეგმა ჩვენს წინაშე ახალ და დიდ ამოცანებს აყენებს სოციალისტური მეურნეობის ორგანიზაციის დარგში. ჩვენ არა თუ არ ვფიქრობთ სათანადოთ არ შევაფასოთ ამ საქმის სიძნელენი, პირიქით, ამ სიძნელეებზე უნდა შევაჩეროთ ჩვენი მთავარი ყურადღება იმ ანგარიშით, რომ ბოლშევიკურად გადავლახოთ ისინი.

რატომ მოითხოვს ეხლა სოციალისტური მეურნეობის ორგანიზაციის საკითხები საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებულ ყურადღებას? პასუხი ამ კითხვაზე მარტივი და ნათელია: სწორედ იმიტომ, რომ სოციალიზმმა გაიმარჯვა, იმიტომ რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური ფორმები მეურნეობის გაბატონებულ ფორმებად გახდა. და აქედან ჩვენ სათანადო დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ მთელი პრაქტიკული მუშაობისათვის.

ჩვენ გასული წლის დამლევს უკვე გამოვიყვანეთ ერთი საერთო და გადამწყვეტი დასკვნა. ეს გამოიხატა საბჭოთა მთავრობის დეკრეტის გამოცემაში „სახელმწიფო საწარმოების, კოლმეურნეობების და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივ (სოციალისტურ) საკუთრების განმტკიცების შესახებ“. მარქსიზმი გვასწავლის ჩვენ, რომ საკითხს საკუთრების შესახებ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, სახელმწიფო წესწყობილების ბუნებისათვის. ეს განსაკუთრებით უნდა გვახსოვდეს ეხლა, როდესაც საწარმოო საშუალებების საკუთრების მხრივ არა მარტო ქალაქში, არამედ სოფლად, სადაც სცხოვრობს ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი, უკანასკნელი წლების განმავლობაში ძირითადი ცვლილებები მოხდა და ჩვენს მეურნეობაში საბოლოოდ გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა სახელმწიფო - სოციალისტურმა და საზოგადოებრივ - საკოლმეურნეო ფორმებმა.

ამ დეკრეტით ხაზი აქვს გასმული უდიდეს პრინციპიალურ განსხვავებას **ბურჟუაზიულ** საკუთრებასა და **სოციალისტურ** საკუთრებას შორის.

კლასიკურმა ბურჟუაზიულმა რევოლუციამ, 1789-93 წლების საფრანგეთის რევოლუციამ პირველხარისხოვანი დოკუმენტი მოგვცა ბურჟუაზიული საკუთრების მნიშვნელობის შესახებ იმ ქვეყნებისათვის, სადაც კაპიტალისტური რეჟიმი ბატონობს. ამ მხრივ საგულისხმო დოკუმენტია ცნობილი „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“, რომელიც მიიღო საფრანგეთის ნაციონალურმა კრ-ბამ 1789 წელს. ეს დეკლარაცია შესდგებოდა 17 მუხლისაგან, რომელთაგან მე გამოვაქვეყნებ ორს — პირველს და უკანასკნელს. აი როგორი ლამაზი ფრაზებითაა აღსავსე ეს „დეკლარაცია“.

„1. ადამიანები იბადებიან და რჩებიან თავისუფალი და თანასწორუფლებიანი. საზოგადოებრივი განსხვავება შეიძლება დამყარებულ იქნეს მხოლოდ საერთო სარგებლობაზე

2. ყოველგვარი პოლიტიკური კავშირის მიზანს წარმოადგენს ადამიანის ბუნებრივი და განუყოფელი უფლებების შენარჩუნება. ეს უფლებებია: თავისუფლება, საკუთრება, უშიშროება და ჩაგვრისათვის წინააღმდეგობის გაწევა“.

ხოლო იმისათვის, რომ არავითარი ეჭვი არ დარჩეს ძირითადი საკითხის, საკუთრების საკითხის შესახებ, „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“ მთავრდება შემდეგი სიტყვებით:

„ვინაიდან საკუთრება არის ხელშეუხებელი და წმინდათა წმინდა უფლება, იგი არ შეიძლება წაართვას ვისმეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამას ნამდვილად მოითხოვს კანონიერის გზით დადასტურებული საზოგადოებრივი საჭიროება, სამართლიანი და წინასწარი ანაზღაურების პირობით“. ამრიგად „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“ თავის საფუძვლად ხდის კერძო საკუთრებას, ე. ი. ერთი ხალხის მიერ მეორე ხალხის ექსპლოატაციაზე დამყარებულ საკუთრებას და აღიარებს მას „ადამიანის და მოქალაქის“ „ხელშეუხებელ და წმინდათა წმინდა უფლებად“ სწორედ ამაში მდგომარეობს ბურჟუაზიული სახელმწიფოს ნამდვილი სული.

მას შემდეგ ისტორიამ საკმაოდ დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ. 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალება იყო სოციალისტური რევოლუციის დასაწყისი, რომლის მნიშვნელობაც საგრძნობლად შორს სცილდება ერთი ქვეყნის ფარგლებს. ეს უწინარეს ყოვლისა სჩანს „მშრომელი და ექსპლოატაციაქმნილი ხალხის უფლებათა დეკლარაციიდან“, რომელიც მიღებულ იქნა საბჭოების სრულიად რუსეთის მე-3 ყრილობის მიერ ჯერ კიდევ 1918 წლის დასაწყისში. ამ დეკლარაციაში, რომელიც დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით, ახალი საბჭოთა წყობილება პოულობს თავის მკაფიო გამოხატულებას. „მშრომელი და ექსპლოატაციაქმნილი ხალხის უფლებათა დეკლარაციაში ნათქვამია შემდეგი:

ისახავს რა თავის ძირითად ამოცანად ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობას, საზოგადოების კლასებად დაყოფის სრულ აღმოფხვრას, ექსპლოატატორთა დაუნდობლად განადგურებას, საზოგადოების სოციალისტური ორგანიზაციის დამყარებას და სოციალიზმის გამარჯვებას ყველა ქვეყნებში, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მესამე ყრილობა ადგენს:

ა) მიწის სოციალიზაციის განსახორციელებლად **კერძო საკუთრება მიწაზე უქმდება** და მთელი მიწის ფონდი ცხადდება საერთო სახალხო საკუთრებად და ეძლევა მშრომელებს ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე...

ბ) საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის **ყველა ტყეები, მიწის წიაღი და წყლები**, აგრეთვე მთელი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი, სანიმუშო მამულები და სახლები - სამეურნეო საწარმოები **ცხადდება ნაციონალურ საკუთრებად**

გ) როგორც პირველი ნაბიჯი ფაბრიკების, ქარხნების, მაღაროების, რკინის გზების, სხვა საწარმოო საშუალებათა და ტრანსპორტის მთლიანად გადასასვლელად **საბჭოთა მუშურ - გლეხური რესპუბლიკის საკუთრებად**; დასტურდება საბჭოთა კანონი მუშათა კონტროლის შესახებ., (ხაზი ყველგან ჩემია—ვ. მ.);

მე არ მოვიყვან მეტ ციტატებს ოქტომბრის რევოლუციის ამ შესანიშნავი დოკუ-

(გაგრძელება. იხ. მე-2 გვერდზე)

მენტიდან. მოყვანილი ამონაწერებიდანაც ნათელია მისი აზრი.

დამახასიათებელია ის, რომ უფლებათა პირველი ბურჟუაზიული დეკლარაცია ლაპარაკობს **ადამიანის და მოქალაქის** უფლებებზე, ხოლო მეორე, საბჭოთა დეკლარაცია ლაპარაკობს მშრომელი და ექსპლოატაციაქმნილი ხალხის უფლებებზე. ამით დასტურდება ის, რომ ბურჟუაზიულ წყობილებას, რაც აღიარებულია 1789 წლის უფლებათა დეკლარაციით, საფუძვლად უდევს **კერძო** საკუთრება, ხოლო ჩვენს საბჭოთა წყობილებას — **საზოგადოებრივი** საკუთრება. უწინარეს ყოვლისა ამაში მდგომარეობს ამ ორი საზოგადოებრივი რეჟიმის წინააღმდეგობა.

მაგრამ ის, რასაც ჩვენი 1918 წლის დეკლარაცია მხოლოდ სახავდა, როგორც თავის ძირითად ამოცანას, სახელდობრ, საწარმოო საშუალებათა გადასვლას სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში საზოგადოებრივ საკუთრებად, ის ნამდვილად გადაწყვეტილ იქნა მხოლოდ უკანასკნელ წლებში. აი რატომ შეიქნა მხოლოდ პირველი ხუთწლედის პერიოდის დამლევს შესაძლებელი დეკრეტის გამოცემა სოციალისტური (საზოგადოებრივი) საკუთრების შესახებ.

ეს დეკრეტი, რომელიც დაწერილია ამხ. სტალინის მიერ, მთელი პრინციპული გარკვეულობით სვამს საკითხს საზოგადოებრივი საკუთრების შესახებ საბჭოთა კავშირში. აი რაა ნათქვამი ამ დეკრეტში:

„სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო სცნობენ, რომ საზოგადოებრივი საკუთრება (სახელმწიფო, საკოლმეურნეო, კოოპერატიული) წარმოადგენს საბჭოთა წყობილების საფუძველს, იგი წმინდათა-წმინდა და ხელშეუხებელია და ის ადამიანები, რომლებიც ხელყოფენ საზოგადოებრივ საკუთრებას, უნდა ჩაითვალონ ხალხის მტრებად, რის გამო გადამწყვეტი ბრძოლა საზოგადოებრივი ქონების მტაცებელთა წინააღმდეგ წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების უპირველეს მოვალეობას“.

მე 18 საუკუნის დამლევის დეკლარაციისაგან განსხვავებით, 1932 წლის 7 აგვისტოს დეკრეტი „წმინდათა-წმინდად და ხელშეუხებლად აღიარებს საზოგადოებრივ საკუთრებას, ე. ი. სახელმწიფო, საკოლმეურნეო, და კოოპერატიულ საკუთრებას, ხოლო იმ ადამიანებს, რომლებიც ხელყოფენ ამ საკუთრებას, აცხადებს „ხალხის მტრებად“. ამის შემდეგ ცხადია, რომ დაცვა და განმტკიცება სახელმწიფო და კოოპერატიულ-საკოლმეურნეო საკუთრების, რაც წარმოადგენს „საბჭოთა წყობილების საფუძველს“, უნდა იდგეს ჩვენში პირველ ადგილზე. ამ „დაცვას“ სოციალისტური საზოგადოებრივი საკუთრების „განმტკიცების“ მიმატებით ჩვენ სხვა სიტყვებით ვუწოდებთ სოციალიზმის მშენებლობას. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მშრომელთა **მთელმა** მასამ შეიგნოს საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის და განმტკიცების მნიშვნელობა და რომ **ყველა** ჩვენმა ორგანიზაციებმა და ცალკე მუშაკებმა ისწავლონ პრაქტიკული ბრძოლის წარმოება ამ საქმისათვის..

იმის გაგებას, თუ რაში მდგომარეობს საბჭოთა კავშირში მომხდარი ცვლილებების დიდი აზრი, უკვე იწყებენ პატივცემული ბურჟუაზიული პროფესორებიც. აი მაგალითად: რას სწერს ბოლშევიზმის შესახებ ცნობილი გერმანელი პროფესორი ოტტო გეტჩი სულ ეხლახან გამოშვებულ წიგნში — „საბჭოთა კავშირის რაობა და მისი საერთაშორისო მდგომარეობა“:

„ეს შეხედულება“ ახალი არ არის ჩემთვის. მაგრამ იგი არასოდეს არ ყოფილა ჩემთვის ისე თვალსაჩინო, როგორც მას შემდეგ, რაც მე უკანასკნელად ვიმგზავრე რუსეთში გასულ წელს. წინად არასოდეს არ მქონია მე იმდენად ნათელი განცდა, რომ ბოლშევიზმში, მის იდეოლოგიურ საფუძვლებში და მისი განხორციელების გიგანტურ ცდებში. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად იდეის უდიდეს ბრძოლას, რაც იშლება მთელი მსოფლიოს წინაშე“.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პროფესორს, რომ საქმე ნამდვილად ეხება „იდეის უდიდეს ბრძოლას“, მაგრამ, თუ ვილაპარაკებთ უბრალო მომაკვდავებზე და არა პროფესორებზე, ეხლა უკვე არა მარტო მილიონებისათვის, არამედ ათეული მილიონი ადამიანისათვისაც ნათელი გახდა, რომ ამ „იდეის უდიდეს ბრძოლაში“ იმარჯვებს **ბოლშევიზმი.**

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა თავის გამარჯვებას მიაღწია საკ. კ. პ. (ბოლშევიკების) სწორი ხელმძღვანელობის შედეგად და, როგორც „მემარცხენე“, ისე, განსაკუთრებით, მემარჯვენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ თანამიმდევრობითი და დაუნდობელი ბრძოლის შედეგად. ჩვენი გამარჯვებები მოპოვებულია ლენინური ცეკას ხელმძღვანელობით, პარტიის და მუშათა კლასის ბელადის ამხ. სტალინის მეთაურობით (მქუხარე ხანგრძლივი ტაში).

რაიმე უფრო რენტაბელური, ვიდრე ჩვენი ხარჯები მრეწველობის, და განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის, განვითარებისათვის.

ამით მტკიცე საფუძველი ეყრება სოციალისტურ საზოგადოებას, რომელიც ქმნის ცხოვრების ნამდვილ ადამიანურ, კულტურულ და თავისუფალ პირობებს. ლენინმა თავის დროზე სპეციალურად ხაზი გაუსვა, ახალი საზოგადოებრივი წყობილებისათვის ფინანსიური დახმარების **აუცილებლობას და პოლიტიკურ მნიშვნელობას,** რაც პროლეტარიატისათვის არა ნაკლებ აუცილებელია, ვინემ ბურჟუაზიისათვის, რომელიც მრავალ ასეულ მილიონ და მილიარდ მანეთს ხარჯავდა და ხარჯავს კაპიტალისტური რეჟიმის განსამტკიცებლად. მაგრამ ლენინს აგრეთვე არა ერთხელ უთქვამს, რომ აუცილებელია უდიდესი მომჭირნეობა სახელმწიფო ხარჯებში, რომ უნდა განიდევნოს ფუფუნება სახელმწიფო აპარატიდან, რათა უზრუნველვყოთ სათანადო მატერიალურ - ფინანსიური დახმარების გაწევა საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი ღონისძიებისათვის. ლენინის ამ მითითებით ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგშიაც.

მაშასადამე, მეორე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა მოითხოვს ჩვენგან უდიდეს მუშაობას სამეურნეო საქმიანობის ასაყვანად ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე.. ეს ამოცანა სდგას მთელი სახელმწიფო აპარატის წინაშე, მუშაობის ყველა დარგებში. ამ ამოცანის გადაჭრაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ როგორც უბრალო მუშებმა და კოლმეურნეებმა, ისე და განსაკუთრებით სამეურნეო და კულტურული მნიშვნელობის ხელმძღვანელებმა. ყოველივე ამის გარდა, ჩვენ უნდა ავსწიოთ შრომის დისციპლინა ქვევიდან ზევით, სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოებში, კოლმეურნეობებში და დაწესებულებებში. და ეს უნდა ვქნათ—არა ბიუროკრატიულად. ჩვენ ყველას გვახსოვს თუ როგორ ხაზს გადაჭრით უსვამდა ლენინი სამეურნეო მუშაობის პრაქტიკულ ღონისძიებებს ოქტომბრის რევოლუციის პირველი პერიოდიდანვე. ჯერ კიდევ 1918 წელს, განსაზღვრავდა რა საბჭოთა ხელისუფლების მორიგ ამოცანებს, ლენინი ლაპარაკობდა:

„წესიერად და კეთილსინდისიერად აწარმოე ფულის ანგარიში, მომჭირნეობით გაუძღვე მეურნეობას, ნუ იზარმაცებ, ნუ იქურდებ, დაიცავი უსასტიკესი დისციპლინა შრომაში,—სწორედ ასეთი ლოზუნგები, რომელთაც სამართლიანად სასაცილოდ იგდებდნენ რევოლუციონური პროლეტარები მაშინ, როცა ბურჟუაზია ასეთი სიტყვებით ფარავდა თავის, როგორც ექსპლოატატორთა კლასის, ბატონობას, ხდება ან ეხლა, ბურჟუაზიის დამხობის შემდეგი მომენტის მორიგ და მთავარ ლოზუნგებად“ (ლენინი, მე-3 გამოცემა ტ. მე-22, გვ. 443).

ხოლო თავის „თეზისებში საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების შესახებ“ ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დისციპლინის საკითხს.

„რკინისებური დისციპლინა და პროლეტარიატის ბოლომდე მტკიცე დიქტატურა წვრილ-ბურჟუაზიული მერყეობის წინააღმდეგ — ასეთია მომენტის საერთო და შემაჯამებელი ლოზუნგი“ (ლენინი მე-3 გამოცემა, ტომი XXII, გვ. 501).

ჩვენ უნდა განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა, ჩვენ ჩვენი ღონისძიებების გატარებისას უნდა დავეყრდნოთ მასების დახმარებას, მუშების, კოლმეურნეების და სახელმწიფო აპარატის მუშაკთა შეგნებას და აქტივობას.

კაპიტალისტური ელემენტების საბოლოო ლიკვიდაციისათვის გაშლილი ბრძოლის პირობებში მანილოვისებური იმედები კლასობრივი ბრძოლის შესუსტებაზე არის სისულელე ან პოლიტიკური უგიათობა. ჩვენი ამოცანა, პირიქით, მდგომარეობს პროლეტარიატის დიქტატურა ძლიერების განმტკიცებაში და დაუნდობელ ღონისძიებების გატარებაში კლასობრივ მტრის წინააღმდეგ და ბურჟუაზიულად გადაგვარებულ ელემენტების წინააღმდეგ.

მოწინააღმდეგე კლასების ძალები, რომელთა ლიკვიდაციასაც ჩვენ ვახდენთ, მცირდება მაგრამ უცხოეთის ბურჟუაზიული წრეები, რომლებიც სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის შეურიგებელი მტრები არიან, მათ აწვდიან არა მარტო მორალურ, არამედ აგრეთვე მატერიალურ დახმარებას. საზღვარ-გარეთ გაბატონებულ ბურჟუაზიულ ხროვებსა და ჯგუფებ შორის, ცოტანი კიდევ არ არიან ისეთები, რომლებიც თავისი ძალა-უფლების შენარჩუნებისათვის და ქირავებულ ხალხს იყენებენ. მათ არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ საბჭოთა კავშირშიაც ყავთ თავიანთი აგენტები, რომლებიც ემსახურებიან ამ ხროვებსა და ჯგუფებს, როგორც მზვერავები და მათ ხელში წარმოადგენენ საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის იარაღს... მით უფრო მეტი სიმტკიცით გავაძლიერებთ ჩვენ პროლეტარიატის დიქტატურას საბჭოთა კავშირში. და ჩვენ ვიმარჯვებთ, როცა ჩვენი დარტყმა სწორად მოხვდება მიზანში, როცა ეს იქნება მაგარი დარტყმა არა მარტო შინაურ კლასობრივ მტრებზე, არამედ საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთელ კლასობრივ მტრებზეც.

კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისათვის და სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის სხვა გზა არ არის.

II

მშენებლობის ძირითადი ამოცანები

კომუნისტურმა პარტიამ სთქვა თავისი სიტყვა მეორე ხუთწლედის პირველი წლის სახალხო სამეურნეო გეგმის შესახებ. ჩვენ არავითარი ეჭვი არა გვაქვს იმაში, რომ ასეთივე აზრი ექნება საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

რაში მდგომარეობს ჩვენი ძირითადი ამოცანები სამეურნეო მშენებლობაში უახლოესი პერიოდის განმავლობაში და განსაკუთრებით უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში? ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მივაღწიოთ ჩვენი ახალი წარმოებათა დიდი რაოდენობის და ახალი ტეხნიკის ნამდვილი ათვისებას. პირველი ხუთწლედის ამოცანათა ცენტრში იდგენ ახალ სამრეწველო საწარმოთა, ახალი კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების დიდი რაოდენობის მშენებლობა. ამ მშენებლობის გაქანება გიგანტური იყო, ხოლო ამ ახალ საწარმოთა ათვისების საქმეში და მაშასადამე მათი ნამდვილად დაუფლების საქმეში ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ იმას, რაც საჭიროა, და არც შეგვეძლო მიგვეღწია ასეთ მოკლე ვადაში. ახალი ქარხნები და საბჭოთა მეურნეობა ახალ ტეხნიკით მოითხოვენ გამსაზღვრულ დროს მათთვის საჭირო სამეურნეო ტეხნიკურ ხელმძღვანელობის მოსაგვარებლად მარტო იმიტომაც, რომ ამისათვის საჭიროა კვალიფიციურ მუშათა, მომზადებულ ტეხნიკოსების და მეცნიერულად მომზადებულ ინჟინრების საგრძნობი, ზოგჯერ კი მრავალრიცხოვანი რაოდენობა. უკანასკნელ ხანებამდე ამ კადრებით ჩვენ მეტად არა მდიდარი ვიყავით. ახალი კადრების მომზადების საქმეში ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ პირველი ხუთწლედის განმავლობაში. მაგრამ კიდევ საჭიროა გარკვეული დრო, რომ საბოლოოდ მოვამზადოთ ეს კადრები და საშუალება მივცეთ მათ გაიარონ პრაქტიკული მუშაობის გარკვეული სკოლა, რომ სოციალისტური მშენებლობისათვის ფართო მასშტაბით გავანაღდოთ ჩვენს ქვეყანაში ამ ახალი კადრების შექმნა.

აი რატომ უნდა ავიღოთ მეორე ხუთწლედისათვის და განსაკუთრებით ამ ხუთწლედის პირველ ორი სამი წლისათვის სამრეწველო პროდუქციის ზრდის რაოდენობით დაბალი ტემპები, ვიდრე პირველ ხუთწლედში ჩვენ მიერ განხორციელებული ტემპები იყო. ამაში მდგომარეობს ჩვენი ეხლანდელი ამოცანების განსხვავება პირველი ხუთწლედისაგან. ამასთან შეფარდებით, მთავარი ყურადღება პროდუქციის რაოდენობითი ზრდიდან გადატანილი უნდა იქნას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე და შრომის ნაყოფიერების ზრდაზე მრეწველობაში, სათესი ფართობების ზრდიდან მოსავლიანობის ზრდაზე მიწათმოქმედებაში და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაზე სოფლის მეურნეობაში. ყოველივე ეს მოითხოვს, რომ სოციალისტური მეურნეობის **ორგანიზაცია** აყვანილ იქნას ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე. სამეურნეო მუშაობის ყველა მისი დარგების და განსაკუთრებით გადამჭრელ რაიონების და უბნების ორგანიზაციის მთელი საქმის ამაღლების და სათანადო გაუმჯობესების გარეშე შეუძლებელია 1933 წლის გეგმის შესრულება ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძველი წესით მუშაობა ეხლა სრულიად არ გამოდგება. ადვილი სათქმელია, სამეურნეო აყვანის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა. ამის შესრულება არც ისე ადვილია. რომ ეს შესრულდეს, უნდა დავძლიოთ ბევრი ცუდი ჩვეულება მასებთან მუშაობაში, საწარმოების შრომის ორგანიზაციაში, მმართველობის ყველა ორგანოებში ჯეროვანი წესრიგის დამყარებაში.

სამეურნეო მუშაობას ჩვენს პირობებში აქვს ღრმა პოლიტიკური ხასიათი, ამიტომ პარტია წინათაც ცდილობდა გაეგზავნა სამეურნეო სამუშაოზე თავისი უკეთესი კადრები. წელს სახალხო მეურნეობის ახალ, უფრო რთულ ამოცანებთან დაკავშირებით, სამეურნეო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა საგრძნობლად იზრდება.

მიმდინარე წლის სოციალისტური მშენებლობის ამოცანები რაოდენობის მხრივაც საგრძნობლად უფრო მაღალია იმაზე, როგორც შესრულებულით გასულ წელს, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება ამასთან ერთად სიმძიმის ცენტრს გადაიტანს ისეთ დავალებათა შესრულებაზე, როგორც შრომის ნაყოფიერების ამაღლებას მრეწველობაში და ტრანსპორტზე და მოსავლიანობის ამაღლება მიწათმოქმედებაში. ამის მიღწევა კი შეუძლებელია მთელი ჩვენი მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესების გარეშე. ამისათვის კიდევ უფრო უნდა დავეყრდნოთ მასებს და პირველ რიგში ჩვენი მშენებლობის დამკვრელებს და დამკვრელ ქალებს. უნდა გვქონდეს ჩვენი მშენებლობის გეგმების მუშებისათვის და კოლმეურნეთათვის განმარტების უნარი. ამისათვის საჭიროა კიდევ უფრო ახლო მივიდეთ მასებთან. საჭიროა საქმით დავამტკიცოთ, რომ ჩვენ მივდივართ წინ როგორც წარმოების პრაქტიკულ ორგანიზატორები ქარხნებში და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ტრანსპორტზე და მშენებლობაში. საჭიროა კიდევ უფრო შევამჭიდროვოთ უმთავრესი ამოცანების შესრულების გარშემო მუშების და მშრომელი გლეხების ძირითადი მასები, მივცეთ შრომის ორგანიზაციის საქმის ნამდვილად გაუმჯობესება. მაშასადამე, ძალების სწორი განაწილების და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მუდმივი საქმიანი შემოწმების მაგალითები. ასეთი მუშაობით ჩვენ უზრუნველვყოფთ მასების ახალ ენტუზიაზმსა და იმ პათოსს, რომელიც ასე ახასიათებს სოციალისტურ მშენებლობას და რომელიც ეხლა ასე ძალიან არის საჭირო როგორც მშენებლობაში, ისე განსაკუთრებით წარმოებაში, ყველა ჩვენს საწარმოებში.

აქედან უნდა გამოვიყვანოთ დასკვნა ჩვენი სამეურნეო მუშაკების აგრეთვე პროფკავშირების და სხვა ორგანიზაციების მუშაკების ძირითადი ამოცანების შესახებ: საჭიროა გვახსოვდეს ისიც, რომ დრო სწრაფად გარბის, ხოლო ჩვენ სიზანტეს ვიჩენთ, სხვათა შორის აქ საქმე ეხება სამეურნეო, პროფკავშირული და სხვა მრავალრიცხოვან კადრების აქტივობას, რამდენიმე მილიონ მუშას და რამდენიმე ათეულ მილიონ კოლმეურნეს და მშრომელ ერთპიროვნულ გლეხს.

ვინ დაივიწყებს ამასთან, რომ საჭიროა ბრძოლის გაძლიერება ჩვენდამი მტრულად განწყობილ კლასების ნაშთების წინააღმდეგ, ვინ დაივიწყებს, რომ ანტისაბჭოთა ძალები ხშირად ეხლაც პოულობენ თავშესაფარს ჩვენს საწარმოებსა და დაწესებულებებში, სადაც ისინი მზად არიან ყოველნაირად გახრწნან მშრომელთა ცალკე ფენები და ყოველნაირად ცდილობენ ზიანი მოგვაყენონ ჩვენ და საერთოდ არ შეასრულონ მათთვის დაკისრებული საქმე. თუ არ გამოვიჩინეთ რევოლუციური სიფხიზლე და ყოველმხრივ არ გავაძლიერეთ ბრძოლა კონტრრევოლუციურ ელემენტების წინააღმდეგ, ისე ვერ წავსწევთ წინ ჩვენ საქმის, განსაკუთრებით ეხლანდელ პირობებში, მხოლოდ ბურჟუაზიულად გადაგვარებულთ, რომლებიც ნამდვილად ჩვენი მტრების ტყვეობაში იმყოფებიან, არ სურთ დაინახონ ეს ფაქტები. ამას გვასწავლის ჩვენ პარტია, რომლის ხელმძღვანელობით არის მხოლოდ შესაძლებელი სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობა. აი რა უნდა მიიღონ მხედველობაში საბჭოთა, სამეურნეო, კოოპერატიულ და საკოლმეურნეო მშენებლობის ორგანიზატორებმა, პროფკავშირულ ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა და სოციალისტური მშენებლობის სხვა პრაქტიკულმა მუშაკებმა.

მრეწველობის დარგში მთავარ ამოცანას შეადგენს შრომის ნაყოფიერების გადიდება. შრომის ნაყოფიერების გადიდება, თვითღირებულების შემცირება და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.—აი რა არის მთავარი შრომის ნაყოფიერების გადიდების და თვითღირებულების შემცირების ამოცანა სავსებით კონკრეტულადაა დასახული გეგმით მძიმე, მსუბუქი, კვების და სატყეო მრეწველობის თვითეული დარგისათვის. შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე საჭიროა ლაპარაკი არა საერთოდ, არამედ ამ ამოცანის **ფარგლების** და მისი განხორციელების **დროის** შესახებ, ამასთან საჭიროა ლაპარაკი გეგმასთან შეფარდებით მრეწველობის **თვითეული** დარგისათვის, **თვითეული** ტრესტისათვის, **თვითეული** საწარმოსათვის.

დროა უკვე საერთო მსჯელობიდან გადავიდეთ პრაქტიკულ ღონისძიებებზე. სწორედ აქ არის ჩვენი მთავარი **სისუსტე.** ჩვენ დიდ დროს ვკარგავთ რეზოლუციების მიღებაზე, სიტყვებზე, პროექტების და მითითებების დამუშავებაზე, დროს, ე. ი. ტემპებს ბოლშევიკებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

თუ სადმე საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს მასებში მუშაობის ამოცანა, მუშათა შეგნების და აქტივობის გაძლიერების აუცილებლობა,—ეს განსაკუთრებით საჭიროა შრომის ნაყოფიერების საკითხში, არ შეიძლება შრომის ნაყოფიერების გადიდება, თვითღირებულების შემცირება, წუნის გადაჭრით შემცირება და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება მუშების აქტიური და ნამდვილი მხარის დაჭერის გარეშე. მაშასადამე სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის ორგანიზაციაში ჩვენ უფრო სერიოზულად და უკეთ უნდა წავიყვანოთ საქმე. ამავე დროს, რადგან ნაკლებად სჩანს, რომ ჩვენი სამეურნეო ორგანოები და პროფორგანიზაციები აძლიერებდნენ აქტივობას ამ მიმართულებით. შესაძლოა, რომ კანცელარიებში კიდევ დაიწყო ესა თუ ის მუშაობა ახალი პროექტების შესადგენად და ახალი განკარგულებების გამოსამუშავებლად, მაგრამ საქმე ხომ ამაში არაა, საქმე პრაქტიკულ, ცოცხალ მუშაობაშია, ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენმა საწარმოებმა ზედმიწევნით იცოდნენ, თუ რა დავალებანი მიეცათ მათ, რომ ეს კარგად იცოდნენ ფაბრიკა-ქარხნების, მაღაროების და სახელოსნოების მუშებმაც, რომ სამეურნეო და ტეხნიკური კადრების გადაწყვეტილების დარგში უზრუნველყოფილ იქნას საქმის სერიოზულად გაუმჯობესება, რომ მათი მუშაობის შემოწმება არ გადაიქცეს ფორმალურ შეკითხვებად და მიმოწერად, რომ, ერთი სიტყვით, მუშაობა სწარმოებდეს არა ბიუროკრატიულად. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციის ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების და პრაქტიკული უილაჯობის მხრივ ცალკე შემთხვევაში სერიოზული „მიღწევები“ გვაქვს. აი ამ უმსგავს „მიღწევების“ წინააღმდეგ განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს ბრძოლა.

დავალებათა შესრულება შრომის ნაყოფიერების აწევის ხაზით ეხლა დიდათაა გაადვილებული ჩვენი მრეწველობის ტეხნიკური ბაზის საგრძნობი განმტკიცების გამო. საჭიროა ოღონდ თუნდაც ერთი დიდი ნაბიჯის გადადგმა წინ ტეხნიკის დაუფლების საქმეში, ახალი მოწყობილობის ათვისების საქმეში, ახალ და რეკონსტრუირებულ ფაბრიკა-ქარხნების სამეურნეო-ტეხნიკური ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საქმეში, და წელს შრომის ნაყოფიერების აწევის დარგში დასახული ამოცანა აუცილებლად და მთლიანად შესრულდება, ჩვენ გუშინ არ დაგვიწყია ბრძოლა ტეხნიკის დაუფლებისათვის. საჭიროა ჩვენი ნამდვილი მიღწევების რეალიზაცია ამ საქმეში, ყოველშემთხვევაში, იმ მასშტაბით, როგორც ამას მოითხოვს სახალხო მეურნეობის გეგმა.

მაგრამ საქმე მარტო ტეხნიკაში როდია. საჭიროა აგრეთვე მივაღწიოთ შრომის დისციპლინის განმტკიცებას, არ დავუშვათ სამუშაო დღის გაცდენა, ვებრძოლოთ სიზარმაცეს და დაუდევრობას წარმოებაში, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ქურდებს და მავნებლებს ადგილი არ უნდა ექნესთ ჩვენს საწარმოებში და მშენებლობებზე. ეს უკანასკნელნი უნდა გავგზავნოთ სადმე უფრო შორს, ანდა გამოვიყენოთ მათ წინააღმდეგ სასჯელის მკაცრი ზომები. შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ მუშათა მასების დიდი უმრავლესობა სავსებით დაგვიჭერს მხარს ამაში. მხარს დაუჭერს უეჭველად მკაცრ ზომებს ანტისაბჭოთა მავნებლური ელემენტების წინააღმდეგ. არის კიდევ ერთი საკითხი, მუშათა დენადობის საკითხი. პარტიამ და მთავრობამ უკანასკნელ დროს მიიღეს ყველა საჭირო ზომები იმისათვის, რომ ბოლო მოღებოდა დენადობას 1933 წელს. ეხლა, უმთავრესად, საქმე დამოკიდებულია ადგილობრივ სამეურნეო, პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციებზე.

ამრიგად მთელი საქმე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად შევძლებთ მუშაობის **მოწყობას.** იგივე უნდა ითქვას სამრეწველო და სხვა მშენებლობის შესახებ.

პრაქტიკული საკითხების მნიშვნელობა **მშენებლობის** დარგში განისაზღვრება უკვე იმით, რომ წელს მთელი სახალხო მეურნეობის კაპიტალურ სამუშაოებში ჩაბანდებათ 18 მილიარდ მანეთს, ე. ი. რამდენადმე უფრო მეტს გასულ წელთან შედარებით. უმთავრესად დაბანდებანი მოდის რა თქმა უნდა, მრეწველობის ხაზით, და პირველ ყოვლისა, მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, სათბობი მრეწველობის და რკინის გზის ტრანსპორტის ძირითად მშენებლობათა ხაზით. მშენებლობის თვითღირებულების მხრივ უკანასკნელ დროს საქმე განსაკუთრებით ცუდათაა.

წელს დასმულია ამოცანა შემცირებული იქნეს მშენებლობის ღირებულება არა ნაკლებ 15 პროცენტისა. ეს საქმე საკმაოდ ძნელია, მაგრამ შეიძლება მისი დაძლევა და ის უნდა განხორციელდეს, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს. ამასთან დაკავშირებით, ჰე ხაზი უნდა გაესვა იმ ფაქტს, რომ უკანასკნელი კვირეების განმავლობაში ჩატარებული იქნა განსაზღვრული მუშაობა საშენებელი მასალების წარმოების ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად. ამ მუშაობის აზრი მდგომარეობს მტკიცე ფასების უზრუნველყოფაში საშენებელ მასალებზე, აგრეთვე საშენებელ მასალათა მრეწველობის ტეხნიკურ, საწარმოო და სატრანსპორტო ბაზის განმტკიცებაში და საჭიროა ტრანსპორტის ფასების სათანადოთ მოწესრიგებაში ადგილებზე. უნდა მივაღწიოთ, რომ ეს გადაწყვეტილებები გატარდეს ცხოვრებაში და, პირველ ყოვლისა, ინდუსტრიალური მშენებლობის ძირითად რაიონებში.

სოფლის მეურნეობის დარგში საბჭოთა ხელისუფლება ანხორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მისი შემდგომი აღორძინების და, პირველ რიგში, მოსავლიანობის გადიდებისაკენ. საქმე ეხლა სათესი ფართის გადიდებაში კი არ არის. ამ მხრივ ჩვენ ცოტა არ გაგვიკეთებია, სამაგიეროთ მოსავლიანობის მხრივ ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ჩამორჩენილი უბნები. სოფლად მუშაობაში ჩვენ მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების მოსავლიანობის გადიდებას. ამასთანავე ნამდვილად უნდა მოვკიდოთ ხელი მეცხოველეობის განვითარებას, რისთვისაც ჩვენ უკვე გვაქვს სერიოზული სოციალისტური ბაზა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების და მეცხოველეობის სასაქონლო ფერმების სახით.

ამას წინად გამოქვეყნებულ სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილებას „ხორბლის სავალდებულო ჩაბარების შესახებ სახელმწიფოსათვის კოლმეურნეობებისა და ინდივიდუალური მეურნეობების მიერ“, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ამ დეკრეტით უქმდება ხორბლეული კულტურების დამზადების არსებული სახელშეკრულებო (საკონტრაქტაციო) სისტემა და კოლმეურნეობებისა და ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის წესდება, გადასახადის წესით, მტკიცე ვალდებულებები სახელმწიფოსათვის ხორბლის ჩაბარების —ა. რიგში სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ფასებში და დანსაზღვრულ საშუალო, სამხარეო და რესპუბლიკანურ ნორმების მიხედვით.

ეს ღონისძიება გატარებულ იქნა მას შემდეგ, როდესაც ასეთივე წესი შემოღებულ იქნა ხორცის, კარაქის და რძის დამზადების დარგში. როგორც ხორცის დამზადების ახალი მეთოდები, ისე ხორბლის დამზადების ახალი მეთოდები სახელმწიფოსათვის ხორბლის სავალდებულო ჩაბარების წესით სრულ მხარის დაჭერას პოულობენ კოლმეურნეებისა და მშრომელი ერთპიროვნული გლეხების მხრიდან. ამ გზით სახელმწიფო შესძლებს უზრუნველყოს თავისი თავი ახალი მოსავლის ხორბლის საჭირო მარაგით. ამასთან, იქმნება ახალი დამატებითი წინასწარი პირობები ხორბლეულ კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად, რასაც კერძოთ ხელს შეუწყობს დეკრეტის მითითება იმაზე, რომ „პურის მთელი ზედმეტი რაოდენობა სახელმწიფოსათვის ხორბლის სავალდებულო ჩაბარების შესრულების შემდეგ რჩება თვით კოლმეურნეობების, კოლმეურნეების და ერთპიროვნული გლეხების სრულ განკარგულებაში“.

თუ როგორ უნდა მოვკიდოთ ხელი შრომის ნაყოფიერების გადიდებას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, ამაზე განსაკუთრებულ გარკვეულობით მიგვითითებს სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილება ჩრდილოეთ კავკასიის შესახებ რომელიც ხვალ გამოქვეყნდება.

ჩვენი სოფლად მუშაობის დეფექტებმა მეტად სერიოზული გავლენა მოახდინეს ჩრდილოეთ კავკასიაზე. ამავე დროს ეს არის ხორბლეულის მთავარი რაიონი, რომელშიაც თესვის კამპანიის მოწესრიგებულად ჩატარებას წელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. დადგენილებაში ზუსტად აღნიშნულია, თუ რა პრაქტიკულ ამოცანებზე უნდა შეაჩერონ თავისი ყურადღება ჩრდილოეთ კავკასიის ორგანიზაციებმა. ამასთანავე სახკომსაბჭო და ცეკა ხაზს უსვამენ მტკიცე შრომის დისციპლინის აუცილებლობას კოლმეურნეობებში, გადამწყვეტი ბრძოლის წარმოების საჭიროებას კულაკურ საბოტაჟთან და მავნებლობასთან, როგორც თესვის შემზადების, ისე თესვის დროს და განსაკუთრებით მიუთითებენ თესვის ნორმების შემცირების მავნებლურ ცდების და თესვის მავნებლურად ჩატარების საშიშროებაზე; ეს ცდები სწარმოებს მინდვრების გაფუჭების და მოსავლის ჩაშლის მიზნით, რის წინააღმდეგაც მიღებული უნდა იქნას გადამწყვეტი ზომები საზოგადოებრივი საკუთრების დაცვის შესახებ გამოცემულ დეკრეტის საფუძველზე. ერთპიროვნულმა მეურნეობებმა აგრეთვე უნდა შეასრულონ მათთვის სავალდებულო თესვის მტკიცე გეგმა. ყველა ამ ღონისძიებების გასატარებლად ჩრდილოეთ კავკასიაში არსდება გაზაფხულის თესვის ჩამტარებელი კომიტეტი სამხარეო კომიტეტის მდივნის ამხ. შებოლდაევის თავმჯდომარეობით. ამ კომიტეტს ეძლევა ყველა საჭირო უფლებები თესვის წარმატებით ჩატარების უზრუნველსაყოფად.

აშკარაა, რომ მთელ რიგ სხვა რაიონებშიაც აქტუალური მნიშვნელობა აქვს ასეთი ამოცანების მოწესრიგებულად ჩატარებას, როგორც არის სარეველა ბალახების მოსპობა, თესვის დროზე ჩატარება, თესვის ვადის შემცირება და მიწის დამუშავების ხარისხის ნამდვილად გაუმჯობესება თესვის გეგმის სრულ შესრულებასთან ერთად ამიტომ გაზაფხულის თესვის ორგანიზაცია ჩრდილოეთ კავკასიაში შეიძლება მაგალითად გახდეს მათთვის, განსაკუთრებით. თუ ჩრდილოეთ კავკასიელები მთლიან თავის მუშაობაში გამოიჩენენ აქტივობას და ორგანიზაციულობას.

სახკომსაბჭოს და ცეკას დადგენილება ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს, რომ ეხლა ჩვენს წინაშე, კომუნისტების წინაშე, ახალი, უფრო რთული ამოცანები დაისახა სოფლის მეურნეობაშიც. არასოდეს თესვის კამპანია ისე დამოკიდებული არ ყოფილა საბჭოთა და პარტიულ მუშაობის წარმატებაზე, როგორც წელს. სხვანაირად არც შეიძლება იყოს ეხლა. როდესაც სოციალისტური ფორმები ბატონობენ სოფლის მეურნეობაში, ხელმძღვანელობა კი სოციალისტური ფორმების მიმართ შეიძლება განხორციელდეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ მხოლოდ ბოლშევიკური პოლიტიკის საფუძველზე. ორგანიზაციის და პრაქტიკული ხელმძღვანელობის საკითხები არ შეიძლება ეხლა ჩვენი ყურადღების ცენტრში არ იდგეს სოფლის მეურნეობაში, სადაც ისეთი ამოცანების გადაწყვეტა, როგორიც არის ხორბლეულ კულტურების მოსავლიანობის გადიდება, უშუალოდ დაკავშირებულია მთელი სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებასთან.

უნდა დავინახოთ განსხვავება ეხლანდელ საკოლმეურნეო მოძრაობასა და იმას შორის, რაც იყო ორი-სამი წლის წინად. ეხლა უკვე აღარ გვესმის კოლმეურნეობებიდან გასვლის შესახებ. პირიქით, კოლმეურნეობებიდან გამორიცხვას გლეხები აფასებენ, როგორც უბედურებას, კოლმეურნეობის უპირატესობა გლეხებისათვის უკვე ნათელია. მაგრამ ეს კიდევ არ არის ის, რაც საჭიროა. უნდა მივაღწიოთ კოლმეურნეთა შეგნებულ დამოკიდებულებას თავის მოვალეობასადმი კოლმეურნეობის და სახელმწიფოს წინაშე, უნდა მივაღწიოთ შესაფერ დისციპლინას საკოლმეურნეო შრომაში, ყველა კოლმეურნეებისა და კოლმეურნეობის მიერ მათთვის სახელმწიფოს მიერ მიცემულ დავალებათა პირველ რიგში შესრულებას. ამასთანავე **დახმარება** უნდა გავუწიოთ კოლმეურნეობებს საზოგადოებრივი შრომის ორგანიზაციაში და მათი ინტერესების დაცვაში კულაკურ მავნებლურ ელემენტებისაგან. გაზაფხულის თესვა კოლმეურნეობებთან და აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებთან ჩვენი მუშაობის ხარისხობრივი შემოწმება იქნება.

საქონლის ბრუნვის გაშლას ქალაქსა და სოფელს შორის დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მუშათა მომარაგებისათვის, ისე მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის. ამ მხრივაც უკანასკნელ პერიოდში დიდი ცვლილებები მოხდა.

აქ არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ ეხლანდელ პირობებში, რომლებიც ძლიერ განსხვავდებიან ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი ეტაპისაგან, საბჭ. ვაჭრობა მოწყობილი უნდა იქნეს ახალ საფუძველზე — კაპიტალისტების, სპეკულიანტების, კერძო ვაჭრების გარეშე. ეს ამოცანა მეტად რთულია, ამავე დროს ჩვენი სახელმწიფო - კოოპერატიული სავაჭრო აპარატი ჯერ კიდევ მეტად მოუქნელია, მეტად ბიუროკრატიულია. ფართო მოხმარების საქონელი ჩვენ წელს მეტი გვექნება, ვიდრე შარშან გვქონდა და, ჩვენ შეგვიძლია თანდათან, მაგრამ სისტემატიურად გავაუმჯობესოთ მუშების და გლეხების მომარაგება სამრეწველო საქონლით. საქმე ეხება უპირველეს ყოვლისა მომარაგების ორგანიზაციას.

გასული წლის განმავლობაში ჩატარებული იქნა მთელი რიგი ღონისძიებები სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის გასაუმჯობესებლად, სათანადო საქონლის ბაზების შესაქმნელად, საბაზრო ფონდის გასაძლიერებლად და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილებას მუშათა კოოპერატივების მსხვილი საწარმოების სამმართველოებისათვის გადაცემის შესახებ. ამ საქმის მოწესრიგების უნარზე ბევრად არი დამოკიდებული მუშების და მოსამსახურეების, განსაკუთრებით ძირითად სამრეწველო რაიონებში, მომარაგების გაუმჯობესება.

საკუთარი სასურსათო ბაზის შექმნამ წარმოებებთან და კოოპერატივებთან მნიშვნელოვნად წაიწია წინ, საჭიროა ამ საქმის მოწესრიგებაც, რამაც საგრძნობი შედეგები უნდა მოგვცეს უკვე მიმდინარე წელს.

მეორეს მხრივ — ახალი სახით სდგას საკითხი სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დეცენტრალიზებულ **დამზადებათა** ორგანიზაციის შესახებ.

აქ, ისე, როგორც **საკოლმეურნეო ვაჭრობაში,** გასულ წელს ვერ შევძელით უზრუნველგვეყო საჭირო დარაზმულობა. პირიქით, მთელ რიგ შემთხვევებში არაჯანსაღი კონკურენცია ცალკე დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის და ზოგიერთი ჩვენი მუშაკის, მათ შორის კომუნისტების, სპეკულიანტური გადახრა ხშირად მეტად საგრძნობი იყო, ზოგიერთ შემთხვევაში, ყოველგვარი სპეკულიანტის სასიხარულოდ, ფასებს მეტად მაღლა სწევდენ დამზადების რაიონებში და საკოლმეურნეო ბაზრებზე. ახლა ამოცანად დასახულია მოვაგვაროთ საკონვენციო ბიუროების მუშაობა, მივაღწიოთ ფასების სწორად მოწესრიგებას და სიმტკიცეს, როგორც დეცენტრალიზებული დამზადების რაიონებში, ისე შესაბამისად საკოლმეურნეო ვაჭრობის ბაზრებზე, ნამდვილად გავშალოთ ბრძოლა სპეკულიანტებთან, რომლებიც ფასებს ადიდებენ, და, ამგვარად, შევიტანოთ **გეგმიანობა** და **დარაზმულობა** ამ დარგში. არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ იმას, რომ აქ ჩვენ წავაწყდებით მთელ რიგ სერიოზულ სიძნელეებს, მაგრამ ბოლშევიკებს, აქვთ რა ნათელი მიზანი, შეუძლიათ სიძნელეთა გადალახვა. ამ საქმეში უნდა გამოვიჩინოთ მეტი უნარი და ენერგია და მაშინ სიძნელეებს აქაც გადავლახავთ.

ახლა ჩვენი **ფინანსების** შესახებ.

ჩვენი სახელმწიფოებრივი ბიუჯეტი ყოველწლიობით მილიარდებით იზრდება. მიმდინარე წელს იგი იზრდება უფრო მეტად, ვიდრე 4,5 მილიარდი მანეთით, გასულ წელთან შედარებით, ამასთან შემოსავალმა გასავალს უნდა გადააჭარბოს 1,5 მილიარდი მანეთით. ასეთ ბიუჯეტებზე ახლა უკვე არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ ოცნებობენ, იქ არ არის უდეფიციტო ბიუჯეტი. ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ბიუჯეტები შეეფერება მათ ეკონომიურ მდგომარეობას, ე. ი. იქ გასავალი სჭარბობს შემოსავალს მაგრამ ეს უკვე მათი საქმეა...

ჩვენს ბიუჯეტში თავს იყრის მთელი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ძაფები, და ამიტომ ბიუჯეტის ზრდასთან ერთად ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელობა აქვს უსასტიკესი დისციპლინის უზრუნველყოფას და გეგმით გათვალისწინებული ეკონომიის გატარებას ხარჯებში. აქ საქმე, რომ სერიოზულ მოვლენას ეხება, ამის შეგნება ძნელი არ არის.

როცა ჩვენ ამოცანად ვისახავთ უზრუნველვყოთ სამრეწველო პროდუქციის 16,5 პროცენტით ზრდა 1933 წელში, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ პატარა ციფრში იფარება უდიდესი პრაქტიკული ამოცანები, უაღრესად სერიოზული მატერიალური სახელმწიფოებრივი ინტერესები. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სამრეწველო პროდუქციის ზრდის **თვითეული** პროცენტი ნიშნავს პროდუქციის ზრდას 320—340 მილიონი მანეთით.

ხოლო ჩვენ ხომ გვინდა შევასრულოთ და კიდეც უნდა შევასრულოთ დავალება პროდუქციის გადიდების მხრივ არა 1 პროცენტით, არა 5 პროცენტით და არა 10 პროცენტითაც, არამედ არა ნაკლებ 16 პროცენტისა. მაშასადამე, პროდუქციის ზრდის დარგში მოცემულ დავალების ამა თუ იმ ნაწილის შეუსრულებლობა დიდ ზიანს მიაყენებს ჩვენს ფინანსებს და მთელს მეურნეობასაც.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ 1933 წელს უნდა გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 14 პროცენტით, საჭიროა გვახსოვდეს ამ დავალების მატერიალურ - ფინანსიური მნიშვნელობა. ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ, რომ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების თვითეული პროცენტი აძლევს სახელმწიფოს 290 მილიონ მანეთს. მაშასადამე, როცა ჩვენ ვიბრძვით შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ყველა ჩვენი მატერიალურ-ტეხნიკურ საშუალებათა გამოყენების გაუმჯობესების და შრომის უკეთესი ორგანიზაციის გზით, ამით ჩვენ ვასრულებთ ისეთ სამუშაოს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფოსათვის.

აი კიდევ ერთი მაგალითი.

ჩვენი სახელმწიფო - კოოპერატიული სავაჭრო აპარატის საშუალებით ტარდება უამრავი საქონელი. აქ გვერდს ვერ აუვლი დიდ საორგანიზაციო ხარჯებს. მაგრამ განა ამ საქმეში არ არის ისეთი ზედნადები ხარჯები, რომლებიც შეიძლება არ გაგვეწია ან, ყოველ შემთხვევაში, შეგვემცირებია და ამით დაგვეზოგა სახელმწიფოს სასარგებლოდ ათეული და შეიძლება ასეული მილიონი მანეთებიც, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას საწარმოო და კულტურულ - საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის.

უაღრესად დიდია ჩვენი სამეურნეო მუშაობის მასშტაბი, მით უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საქმის ორგანიზაციის გაუმჯობესებას და ეკონომიის რეჟიმის გატარებას, როგორც ამას მოითხოვენ პარტია და მუშათა კლასი. ბრძოლა უფაირათობასთან, ბრძოლა ფუფუნებასთან, თუ არ ვილაპარაკებთ მტაცებლობის და ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლაზე, იდგა და უნდა იდგეს ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანების რიცხვში და მთლიანად უნდა იყოს უზრუნველყოფილი როგორც საბიუჯეტო, ისე საკრედიტო დისციპლინა. ამისათვის ეხლა ჩვენ შევქმენით უფრო მეტად ხელსაყრელი წინაპირობები როგორც თვით სამეურნეო აპარატში, ისე საბანკო აპარატშიაც. საბჭოთა კაპეიკისადმი ფრთხილად მოპყრობა—სამეურნეო ანგარიშის დანერგვის საუკეთესო წინაპირობაა. ქურდების და არამზადების წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა გადამწყვეტი ზომების გამოყენებით.

პროლეტარული სახელმწიფო აბანდებს და მომავალშიაც დააბანდებს უდიდეს თანხებს ახალი ქარხნების, ფაბრიკების, რკინიგზების, ელექტროსადგურების, აგრეთვე სასოფლო - სამეურნეო საწარმოების მშენებლობაში. ჩვენ ვიცით, რომ სახელმწიფოსათვის არ არის და არც შეიძლება იყოს

III

საერთაშორისო მდგომარეობა და ჩვენი ამოცანები

საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში საბჭოთა კავშირის პოზიციები განხილული უნდა იქნეს ხუთწლედის შედეგების მიხედვით.

არ შეიძლება რაიმე ეჭვი არსებობდეს იმაში, რომ ყველა ქვეყნების მშრომელ მასების თანაგრძნობა საბჭოთა კავშირის მიმართ ხუთწლედის მანძილზე შესამჩნევად გაიზარდა, არ შეიძლება ამაში არ დავინახოთ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცება.

მეორეს მხრით, ამასვე მოწმობენ უცხოეთის სახელმწიფოებთან ჩვენი ურთიერთობის ფაქტებიც, საკმაოა აღვნიშნოთ თავდაუსხმელობის მთელ რიგ პაქტების დადება გასული წლის განმავლობაში.

ჩვენი ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან, როგორც წესი, ვითარდებოდა სავსებით ნორმალურად, მიუხედავად იმისა, რომ ხდებოდა ცვლილებები ცალკე სახელმწიფოთა მთავრობებში. რამდენადაც ჩვენს დამოკიდებულებას უცხოეთის სახელმწიფოებთან განსაზღვრავს, პირველ ყოვლისა, ჩვენი შინაგანი ზრდა საბჭოთა ხელისუფლების ძალების ზრდა, იმდენად ეს დამოკიდებულებაც მტკიცდებოდა თვით მოვლენათა ლოღიკის ძალით.

ამ ურთიერთობაში განსაკუთრებული ადგილი იუკავია გერმანიას. ყველა იმ ქვეყნებს შორის, რომლებსაც ჩვენთან დიპლომატიური ურთიერთობა აქვთ, გერმანიასთან ჩვენ გვქონდა და გვაქვს ყველაზე მტკიცე სამეურნეო კავშირი. ეს შემთხვევითი როდია. ეს გამომდინარეობს ორივე ამ ქვეყნის ინტერესებიდან.

თქვენ მოგეხსენებათ აგრეთვე ისიც, რომ თურქეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის—ისმეტ ფაშის და მისი უახლოესი თანამშრომლის საგარეო საქმეთა მინისტრის რუშტი ბეის ჩამოსვლამ საბჭოთა კავ. ხელი შეუწყო ორივე ქვეყნის თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას, ხოლო ეს კი გამომდინარეობს როგორც საერთაშორისო ვითარებიდან და საყოველთაო მშვიდობიანობის ინტერესებიდან, ისე ამ თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების საჭიროებიდან.

როგორც მოგეხსენებათ, თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკის ხელმძღვანელების მოსკოვში ყოფნამ ხელი შეუწყო მთელ რიგ მნიშვნელოვანი პრაქტიკული შეთანხმების დადებას მატერიალური, ფინანსიური და კულტურული ხაზით.

უნდა აღინიშნოს უკანასკნელ ხანებში შექმნილი ზოგიერთი ახალი მომენტები. საბჭოთა კავშირის საგარეო ურთიერთობის განვითარებაში. ასეთია დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის.

როგორც ცნობილია, ამ ურთიერთობის შეწყვეტის თაოსნობა ეკუთვნის ნანკინის მთავრობას. მე უნდა აღვნიშნო, ამ ურთიერთობის აღდგენის ინიციატივაც ამავე მთავრობიდან გამომდინარეობს, რასაც ჩვენის მხრით სრული თანაგრძნობა შეხვდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამით გამოსწორებულია საბჭოთა კავშირის მიმართ დაშვებული შეცდომა და რასაკვირველია. ჩვენ ხელს ვერ შეუშლით მის გამოსწორებას.

საკითხს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ საბჭოთა კავშირთან როგორც ამბობენ, ზოგიერთ სხვა სახელმწიფოებშიაც იხილავენ. ჩვენამდე აღწევენ ისეთი ცნობები, რომ არიან ბრიყვი ადამიანები, რომლებიც კიდევ საჭიროდ სცნობენ საბჭოთა კავშირის რაღაც განსაკუთრებულ „შესწავლას“. აი მაგალითად, პირველი წლიწადი როდია, რაც ჩეხოსლოვაკიის ზოგიერთი მინისტრები ღრმა-- „სწავლობენ“ საბჭოთა კავშირს, მაგრამ ჯერ-ჯერობით აქედან არავითარი ხეირი არა სჩანს.

სხვას რომ თავი დავანებოთ, ასეთი მიდგომა მოძველდა, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, ათი წლით მაინც, უკვე 15 წელიწადია, რაც საბჭოთა ხელისუფლება არსებობს, უკვე ათი წლიწადი შესრულდა საბჭოთა კავშირის დაარსების დღიდან. ამ ფაქტის მნიშვნელობას დღეს მკაფიოდ ხაზი გაუსვა ამხ. კალინინმა. მიუხედავად ამისა ჩეხო-სლოვაკიის კვალს ამ საკითხში მისდევენ ისეთი სახელმწიფოების მინისტრებიც კი, როგორიც არის ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები. უკვე დროა გაიგონ რას წარმოადგენს თავის თავად საბჭოთა კავშირი, განსაკუთრებით პირველი ხუთწლედის შესრულების შემდეგ. მგონია, ძნელი არ უნდა იყოს—მიხვდე, თუ რამდენად გაძლიერდა საბჭოთა კავშირი რამდენად დიდია მისი ზრდა, რამდენად გაიზარდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მნიშვნელობა. მასთან დიპლომატიური ურთიერთობის დაუმყარებლობით ზარალობდენ და ზარალობენ პირველ რიგში ისინი, რომლებიც გართულნი არიან ცარიელი ლაპარაკით საბჭოთა კავშირის საგანგებო „შესწავლის“ შესახებ და ამავე დროს არ გააჩნიათ დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. მეორე მხრით არ შეიძლება არ აღინიშნოს 1930 წელს საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის დადებულ სავაჭრო ხელშეკრულების დენონსირების ფაქტი.

ამ ხელშეკრულების დენონსირება მოხდა ინგლისის მთავრობის თაოსნობით. ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობია ამ აქტის ნამდვილი მიზანი. ჩვენ დაგვრჩენია, რომ მივხვდეთ ამ მიზანს, თუ ვისმეს სურდა რომ ამ შეთანხმების ჩაშლით შეეშინებია საბჭოთა კავშირი, მაშინ უნდა ითქვას, რომ ეს არა სერიოზული განზრახვაა. ჩვენ ასეთი ამბების არ გვეშინია და არც გვეშინია თუ შეთანხმების ჩაშლით ვისმე სურდა ჩვენი ქვეყნისათვის რაიმე ზიანის მიყენება, უნდა ითქვას, რომ ესეც ცუდი ანგარიშია. ალბად ინგლისში ამას კარგად ხედავენ, ისინი, რომლებიც ეხლა ასე საჭიროებენ საბჭოთა შეკვეთებს, ჩვენ მტკიცედ ვიცით ერთი რამ: ქვეყნები, რომლებსაც შენახული აქვთ დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, უსათუოდ მოგებული დარჩენ დანარჩენ სახელმწიფოებთან შედარებით მით უმეტეს, რომ საბჭოთა კავშირი ზოგიერთ კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, მუდამ ზუსტად და თავის დროზე ასრულებდა ყველა თავის ვალდებულებებს. და თუმცა საერთაშორისო დამოკიდებულების სფეროში ეს ეხლა უფრო და უფრო იშვიათ მოვლენას წარმოადგენს, საბჭოთა კავშირი ამ მხრივაც როგორც ყოველთვის, არ ღალატობს თავის გზას.

ჩვენ, რასაკვირველია ვღებულობთ ცნობად ინგლისის მთავრობის განცხადებას იმის შესახებ, რომ იგი დაინტერესებულია ამ ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებაში.

ყოველივე ზემოთქმული უნდა დავუკავშიროთ საერთაშორისო პოლიტიკის ძირითად საკითხებს! პირველ ყოვლისა, საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ძირითად ამოცანას—**საყოველთაო მშვიდობიანობისათვის,** სხვა სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი დამოკიდებულებისათვის თანამიმდევრობით **ბრძოლის** პოლიტიკას.

ყველა საკითხებს, რომლებსაც კავშირი აქვთ ამ საქმესთან,—საყოველთაო მშვიდობიანობის უზრუნველყოფის, კერძოდ საბჭოთა კავშირისა და სხვა სახელმწიფოებს მშვიდობიანი ურთიერთობის უზრუნველყოფის საქმესთან, აგრეთვე ყველა იმ საკითხებს, რომლებსაც კავშირი აქვს ახალი ომის საშიშროებასთან,— ჩვენ ვკიდებოდით და ვკიდებით განსაკუთრებული ყურადღებით და განსაკუთრებული სიფხიზლით. აქედან გამომდინარეობს სხვათა შორის, ჩვენი პოზიციაც განიარაღების საკითხში.

ამხ. ლიტვინოვმა განიარაღების საერთაშორისო კომისიაში მთლიანად განავითარა საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისი საყოველთაო განიარაღების საკითხზე. ეხლა საჭიროება არ მოითხოვს ხელახლა დავასაბუთოთ ჩვენი პოზიცია ამ საკითხში. მე დამრჩენია მხოლოდ მოგაგონოთ რეზოლუცია რომელიც გასული წლის თებერვალში შეიტანა საბჭოთა დელეგაციამ განიარაღების გენერალურ კომისიაში.

აი ის რეზოლუცია, რომელიც წარუდგინა საბჭოთა დელეგაციამ განიარაღების კომისიას ჟენევაში:

„ნამდვილი მტკიცედ მოწესრიგებული მშვიდობიანობისადმი მისწრაფებით გამსჭვალული; ხელმძღვანელობს რა ყველა სახელმწიფოებისა და ხალხებისათვის რეალური უშიშროების შექმნის სურვილით ახალი ომის ასაშორებლად წინასწარი ზომების მიღების გზით.

დარწმუნებული, რომ შეიარაღების ზრდა და აშკარად გამოხატული მისწრაფება შეიარაღების შეუჩერებელი ზრდისაკენ აუცილებლად იწვევენ საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს, რომლებიც მშრომელებს ხელს აცილებენ მშვიდობიან საქმიანობაზე და წარმოშობენ უამრავ უბედურებას;

სთვლის რა რომ სამხედრო ხარჯები, რომლებიც აუტანელ ტვირთად აწევს მოსახლეობას, კიდევ უფრო აძლიერებენ ახლანდელ ეკონომიურ კრიზისს მთელი მისი შედეგებით.

აღნიშნავს რა, რომ სახელმწიფოებმა, რომლებსაც წარმოადგენს კონფერენცია, უარყვეს ომი, როგორც ნაციონალური პოლიტიკის საშუალება;

სთვლის რა, რომ ერთად ერთ ნამდვილ საშუალებას მშვიდობიანობის მოწესრიგების ხელის შეწყობისა და ომის უშიშროების დაცვისათვის წარმოადგენს უმოკლეს ვადაში ყოველგვარ შეიარაღების სრული მოსპობა ყველას თანასწორობის საფუძველზე;

დარწმუნებული, რომ სრული და საყოველთაო განიარაღების იდეა შეეფერება სახალხო მასების გულწრფელ მისწრაფებას მშვიდობიანობისაკენ, კონფერენცია აღებს მიიღოს თავისი მუშაობის საფუძვლად საყოველთაო სრული განიარაღების პრინციპი“.

ცნობილია, რომ საბჭოთა დელეგაციის ეს წინადადება არ მიიღო კომისიის უმრავლესობამ, მაგრამ სამაგიეროდ ამ რეზოლუციის განხილვის დროს მთელ რიგ ქვეყნების დელეგაციებმა მიმართეს ათასგვარ „ეშმაკურ მანევრებს“ და ნაწილობრივ პირდაპირ არა საკადრის მანიპულაციებს იმისათვის, რომ როგორმე მიეჩქმალათ ან რაიმე გზით გვერდი აევლოთ საბჭოთა დელეგაციის წინადადებისათვის, ნამდვილ საყოველთაო განიარაღების შესახებ. უმეტეს შემთხვევაში საბჭოთა რეზოლუციის განხილვამ გენერალურ კომისიაში მცირედ არ შეუწყო ხელი მთელ რიგ სახელმწიფოთა წარმომადგენლების ნამდვილი პოზიციების გამომჟღავნებას, რომლებსაც არ სურთ და, როგორც სჩანს, არც შესწევთ უნარი მიიღონ რაიმე **ნამდვილი** ზომები **ნამდვილი** განიარაღების განსახორციელებლად.

ჩვენ კი ისე ვიცავთ იმ აზრს, რომ საბჭოთა დელეგაციის ამ წინადადებაში ნახულობს თავის გამოხატულებას არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ სხვა დანარჩენი ქვეყნების ხალხების მისწრაფება საყოველთაო მშვიდობიანობისადმი. ასეთნაირად საბჭოთა მთავრობის მიერ წინების განიარაღების კონფერენციაზე წარმოდგენილ წინადადებებში ჩვენ გვაქვს საყოველთაო მშვიდობიანობის ინტერესების, ყველა ქვეყნების ხალხთა მასების ინტერესების გამოხატულება.

მშვიდობიანობისათვის ბრძოლის პოლიტიკა, რომელსაც განუხრელად ატარებს საბჭოთა მთავრობა თავის გამოხატულებას პოულობს აგრეთვე იმ წინადადებებში თავდაუსხმელობის პაქტების დადების შესახებ, რომელიც საბჭოთა კავშირმა მისცა მთელ რიგ სახელმწიფოებს.

თავდაუსხმელობის პაქტის დადების საკითხზე მხოლოდ გასულ წელს, როგორც იქნა ჩვენ მივაღწიეთ ნამდვილ წინსვლას, თუმცა სათანადო წინადადებები ჩვენ მიერ მიცემული იქნა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინად.

ჩვენ ვსთვლით, რომ საყოველთაო მშვიდობიანობის ინტერესების თვალსაზრისით საბჭოთა ხელისუფლების აქტივში უნდა იქნას შეტანილი ისეთი ფაქტები, როგორც არის თავდაუსხმელობის პაქტების დადება და რატიფიკაცია პოლონეთთან, ფინეთთან, ლატვიასთან და ესტონეთთან. ჩვენ ვსთვლით რომ ამ პაქტებს თავისი მნიშვნელობა აქვთ მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის. თავდაუსხმელობის პაქტი ხელმოწერილია აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის მიერ, მაგრამ საქმე ჯერ კიდევ დაუმთავრებელი რჩება იმდენად, რამდენადაც საფრანგეთს ამ პაქტის რატიფიკაცია არ მოუხდენია.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ რუმინეთის მიმართ მდგომარეობა სხვანაირი შეიქნა მის გამო, რომ რუმინეთმა უარი სთქვა ხელი მოეწერა სათანადო პაქტზე. დასავლეთში რჩება მხოლოდ ერთი სახელმწიფო, საბჭოთა კავშირთან მოსაზღვრე სახელმწიფო, რომელიც უარს ამბობს თავდაუსხმელობის პაქტის დადებაზე. თავს ვანებებ რა ამ საკითხის დაწვრილებით განხილვას, საჭიროდ ვსთვლი აღვნიშნო ერთი გარემოება.

შესაძლებელია, რომ რუმინეთის მთავრობის უარი ხელი მოაწეროს თავდაუსხმელობის პაქტს საბჭოთა კავშირთან, აიხსნება არა რუმინეთის მთავრობის ამა თუ იმ აზრით, ამ საკითხზე, არამედ ზოგიერთი, ასე ვსთქვათ, გარეშე მიზეზით. პოლიტიკურ ენციკლოპედიაში ეგრედ წოდებულ „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებს ხშირად შეცდომით აკუთვნებენ ისეთ სახელმწიფოებსაც, რომლებიც ნამდვილად არ წარმოადგენენ დამოუკიდებელს თავის საგარეო პოლიტიკაში და სინამდვილეში თავის საგარეო პოლიტიკას უქვემდებარებენ სხვა სახელმწიფოებს, უფრო ძლიერ სახელმწიფოებს; რომლებიც ამის გამო თავის ნებისყოფას უკარნახებენ ზოგიერთ „დამოუკიდებელ მთავრობებს“, ყოველ შემთხვევაში ამით იზარალებს მხოლოდ რუმინეთი, და მისი მთავრობა. დასასრულ შევეხოთ **შორეულ აღმოსავლეთთან** დაკავშირებულ საკითხებს.

თქვენ მოგეხსენებათ, თუ რა დავიდარაბაა ერთა ლიგაში შორეულ აღმოსავლეთის საქმეების გარშემო. უკვე ერთი წელიწადია, რაც ერთა ლიგა ემზადება მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება მანჯურიასა და შორეულ აღმოსავლეთში მომხდარ ამბების შესახებ უკვე მრავალჯერ დანიშნა ერთა ლიგამ ვადები ამ საკითხის შესახებ თავისი გადაწყვეტილებათა გამოსარკვევად და გამოსატანად. ერთა ლიგამ მრავალჯერ გაუხილა ჩინეთსა და მანჯურიაში შექმნილი მდგომარეობა და ადგილობრივ საქმეების შესასწავლად გაგზავნა სპეციალური კომისია, უკვე საკმაო დრო გავიდა, რაც ეს კომისია დაბრუნდა და გამოაქვეყნა თავისი მოხსენება.

ერთა ლიგა ამ საქმეებისათვის კომისიებს კომისიებზე ქმნის. მაგრამ ჯერ ვერავითარი გადაწყვეტილება ვერ მიიღო, საქმე არ იძვრის მკვდარი წერტილიდან. მხოლოდ ერთი საქმე დაიძრა ადგილიდან —ეს არის ერთა ლიგის შემდგომი დისკრედიტაციის საქმე მთელი ქვეყნის თვალში.

მაგრამ თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენ არასოდეს არ უკავშირებდით ჩვენს იმედებს ერთა ლიგას და მის კომისიებს; ამავე დროს საერთაშორისო ურთიერთობის საკითხი შორეულ აღმოსავლეთში ჩვენ ძალიან ახლო გვეხება, ჩვენ ამასთან დაკავშირებით უნდა მივიღოთ მთელი რიგი ზომები.

ითვალისწინებს რა შორეულ აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობას, საბჭოთა მთავრობამ ერთი წლის წინად იაპონიას მისცა წინადადება თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ.

არ შეიძლება არ დავინახოთ ამ წინადადების მთელი პოლიტიკური მნიშვნელობა ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში, მიუხედავად ამისა, ახლო ხანში იაპონიის მთავრობამ გვაუწყა თავისი უარი თავდაუსხმელობის პაქტის დადებაზე; ამ მომენტში.

მე არ შევუდგები იმ მოტივების შეფასებას, რომლებმაც იაპონიის მთავრობას უარი ათქმევინა ჩვენს წინადადებაზე დადებულიყო თავდაუსხმელობის პაქტი. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს უარი დროებითია, მაგრამ ფაქტებისათვის ანგარიშის არ გაწევა რასაკვირველია არ შეგვიძლია.

საბჭოთა მთავრობა შორეულ აღმოსავლეთშიაც თანამიმდევრობით ატარებს სხვა ქვეყნების მიმართ მკაცრი ნეიტრალიტეტის და ჩაურევლობის პოლიტიკას. ჩვენ ახლაც განვაგრძობთ ამ პოზიციებზე მტკიცედ დგომას და მშვიდობიანობის ინტერესების თვალსაზრისით, როგორც წინეთ, ისე შემდეგშიაც თანამიმდევრობით გავატარებთ ამ პოლიტიკას, მაგრამ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საბჭოთა კავშირის მიმართ ზოგიერთი იაპონური წრეების დამოკიდებულების ცალკე ფაქტები: საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ ახლო ხანში იაპონიის სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა პროვოკაციული ცნობა საბჭოთა მთავრობის და საბჭოთა კავშირის მომავალი სრულუფლებიანი წარმომადგენლის შესახებ ჩინეთში; მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ კატეგორიულად უარვყავით ეს ანტისაბჭოთა ჭორები; იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ. უციდამ ისევ გაიმეორა ისინი 21 იანვარს იაპონიის პარლამენტში. მე საჭიროთ არ მიმაჩნია შევუდგე ამ ანტისაბჭოთა ჭორების უარყოფას, ისინი თავის თავს თვითონვე აბათილებენ.

რაც შეეხება დიპლომატიურ ურთიერთობას, საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის, საბჭოთა კავშირი ასეთ საკითხებს სწყვეტს იმისგან დამოუკიდებლად ესიამოვნება თუ პირიქით არ ესიამოვნება ეს ვისმე, ასეთ შემთხვევებში საბჭოთა კავშირი გამოდის საყოველთაო მშვიდობიანობის ინტერესებიდან, თავისი საშვიდობო პოლიტიკის საფუძვლებიდან.

ბატონ უციდამ პარლამენტში განაცხადა რომ მანჯურიის ინციდენტის დაწყების დღიდან არავითარ უსიამოვნებას არ ჰქონია ადგილი საბჭოთა კავშირსა და იაპონიის ურთიერთობაში, რადგან საბჭოთა მთავრობას „მტკიცე პოზიცია“ ეჭირა.

საჭიროდ მიმაჩნია შევნიშნო, რომ საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ საბჭოთა პოლიტიკა ფრთხილია, ეს პოლიტიკა არა მარტო ფრთხილია, არამედ მოფიქრებულია, საბჭოთა მთავრობა აქაც ემყარება, პირველყოვლისა, საყოველთაო მშვიდობიანობის ინტერესებს, დანარჩენ ქვეყნებთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნების ინტერესებს.

ამ პოლიტიკას, მშვიდობიანობის პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მთავრობა შემდეგშიაც თანამიმდევრობით და განუხრელად გაატარებს სხვა სახელმწიფოთა ურთიერთობაში, როგორადაც არ უნდა შეაფასონ ეს პოლიტიკა ამა თუ იმ მთავრობებმა.

საერთაშორისო ვითარება ჩვენ კვლავ გვიკარნახებს სიფხიზლის გაძლიერების საჭიროებას განსაკუთრებით შორეულ აღმოსავლეთის მიმართ, ამან თავისი გამოხატულება უნდა ჰპოვოს მთელს ჩვენს მუშაობაში და მთელს ჩვენს მშენებლობაში, რომლებიც ჩვენი ეკონომიური და პოლიტიკური ზრდის საფუძველს წარმოადგენენ;

1933 წელს ჩვენ უნდა გადავდგათ ახალი გიგანტური ნაბიჯი სოციალიზმის აშენების მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში. პირველყოვლისა ჩვენი სამეურნეო მუშაობის წარმატებაზე იქნება დამოკიდებული ჩვენი საშინაო და საერთაშორისო პოზიციების განმტკიცება. მიმდინარე წლის გეგმის მთლიანად შესრულებისათვის ბრძოლა უნდა მიიქცეს პარტიის, მუშათა კლასის და სოფლის მშრომელ მასების ყურადღების ცენტრში. გეგმით დასახულ ამოცანების განსახორციელებლად, პარტიის საბჭოების და პროფკავშირების გარშემო უნდა შევამჭიდროვოთ მშრომელთა უფართოესი მასები; ჩვენი ძალები დღითი დღე მტკიცდება. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის საქმე ერთგულ ხელშია, ამიტომ იგი გაიმარჯვებს **(მქუხარე ტაშის ცემა, ყველანი დგებიან).**

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის იანვრის გაერთიანებული პლენუმის შედეგებზე

ამხ. კ. ე. ვოროშილოვის მოხსენება*)

მოსკოვის გარნიზონის პარტიული აქტივის კრებაზე 1933 წლის 20 იანვარს

III. საბჭოთა კავშირი უმსხვილესი სოციალისტური მიწადმოქმედების ქვეყანა

ჩვენი კლასობრივი მტრები ხუთწლედის მიღწევების შეფასების დროს სისტემატიურად იმეორებენ ერთ და იმავეს: სამრეწველო მშენებლობის, ინდუსტრიალიზაციის დარგში ბოლშევიკებს უდავო მიღწევები აქვთ (ამ მიღწევებს ეხლა უკვე აღარ უარყოფენ), მაგრამ სამაგიეროდ, ამბობენ ისინი, სოფლის მეურნეობაში, მის კოლექტივიზაციაში ბოლშევიკები დამარცხდნენ. მაგრამ ბურჟუაზია ამაში ცდება ისევე, როგორც ყოველივე სხვაში, რაც შეეხება პროლეტარულ სახელმწიფოს, რაც შეეხება ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას მისთვის სასურველს იგი სთვლის უკვე არსებულად, თავის ოცნებას—სინამდვილედ. მაგრამ რეალური ფაქტები ბურჟუაზიის წინააღმდეგ ლაპარაკობენ, ისინი მოწმობენ, რომ ჩვენ უდიდესი მიღწევები გვაქვს სოციალისტური მშენებლობის ამ დარგში: ხუთწლედის შედეგად სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია გადაიქცა საბჭოთა მიწადმოქმედების ურყევ საფუძვლად.

სოფლის მეურნეობაში ჩვენ გვაქვს გაცილებით უფრო მეტი სიძნელეები, ვიდრე მრეწველობაში, ეს უდავოა, ამას ჩვენ არ ვმალავდით და არც ვმალავთ. მხოლოდ პირველ ხუთწლედში მოგვეცა საშუალება არსებითად მოგვეკიდა ხელი სოფლის მეურნეობისათვის, შევსდგომოდით მის გარდაქმნას სოციალისტურ საფუძველზე. ბავშვობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მესაკუთრე გლეხს, რომელიც საუკუნოების განმავლობაში ცხოვრობდა, როგორც, ინდივიდუალისტი, რომლის საზოგადოებრივი იდეალი იყო „როგორმე ხალხში გამოსვლა", მეპატრონეთ გადაქცევა, — რომ ამ მესაკუთრე გლეხს ჩვენ ორი-სამი წლის განმავლობაში გარდავქმნით დამთავრებულ კოლექტივისტად. შეგნებულ სოციალისტად. რასაკვირველია, ეს შეუძლებელია. თავისთავად ცხადია, ჩვენ ამაზე არც ვფიქრობდით, ასეთ ამოცანას არც ვისახავდით. პარტიას და მთელ მუშათა კლასს მშვენივრად ესმით, რომ გლეხური მეურნეობის გარდაქმნა ახალ სოციალისტურ საფუძველზე რთული საქმეა და არ შეიძლება მისი ერთ-ორ წელიწადში განხორციელება, მაგრამ ეს საქმე აბსოლიუტურად საიმედოა და სწორი მუშათა კლასის თვალსაზრისით. გლეხთა ძირითადი მასის ინტერესების თვალსაზრისით, იმ მასის, რომელიც კოლექტივიზაციის გზით ეზიარება ახალი სოციალისტური საზოგადოების აშენების დიად საქმეს.

საკითხი იდგა ასე: ან ჩვენ სოფლის მეურნეობას გადავიყვანთ კოლექტივიზაციის რელსებზე და მაშინ ავაშენებთ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმს, ან საერთოდ სოციალიზმს ვერ ავაშენებთ. განა შეიძლება სოციალიზმის აშენება, თუ ჩვენ დავეყრდნობით მხოლოდ ინდუსტრიას, ხოლო სოფლის მეურნეობაში დავტოვებთ ჩამორჩენილ წვრილ-ბურჟ. წყობას, რომლებიც წარმოშობს წარმოების კაპიტალისტურ წესს? რასაკვირველია, არ შეიძლება. განა ჩვენ არ ვიცოდით და არც ვიცით რამდენად ძნელი და რთული ამოცანაა—მრავალი მილიონი გლეხის ფსიქოლოგიის გარდაქმნა, ათეული მილიონი წვრილი, ტექნიკურად ჩამორჩენილი, ნახევრად ნატურალური გლეხური მეურნეობისაგან უაღრესად კულტურული, მოწინავე ტექნიკურ ბაზაზე დაყრდნობილი, მსოფლიოში ყველაზე მსხვილი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწყობა. ეს ჩვენ ვიცოდით და ვიცით, მაგრამ ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ მიუხედავად ყველა სიძნელეებისა ჩვენ ამოცანას წარმატებით გადავჭრით, ვინაიდან იგი, ვიმეორებ, თვით გლეხობის ინტერესებს შეეფერება. მხოლოდ ამ ამოცანის გადაჭრით, მხოლოდ კოლექტივიზაციით იშლება გლეხობის წინაშე მატერიალური და კულტურული განვითარების ფართო გზა. ამჟამად ჩვენს კოლმეურნეობებში გაერთიანებულია გლეხურ მეურნეობათა 60 პროცენტზე მეტი და მთელი სათესი ფართობის 70 პროცენტი. რამდენიმე ათეული მილიონი უწვრილესი გლეხური მეურნეობის ნაცვლად ჩვენ ამჟამად გვაქვს 215 ათასი კოლმეურნეობა და 5 ათასი საბჭოთა მეურნეობა.

სოფლის მეურნეობას შეუქმენით მტკიცე სამანქანო ბაზა. 1928 წელს გვქონდა სულ 24.700 ტრაქტორი და, ამავე დროს, თითქმის ყველა ნაყიდი საზღვარგარეთ ვალიუტაზე; ამჟამად უკვე გვაქვს 150 ათასამდე ტრაქტორი. კოლოსალურად გაიზარდა ტრაქტორების დამზადება საკუთარ ქარხნებში — ტრაქტორები ჩვენ უკვე აღარ შემოგვაქვს უცხოეთიდან. 1927—28 წელს ჩვენი მრეწველობის მიერ გამოშვებულ ტრაქტორების საერთო სიმძლავრე უდრიდა 15.9 ათასი ცხენის ძალას; პირვანდელი ვარიანტით 1932—33 წელს უნდა დაგვემზადებინა 5 ათასი ცხ. ძალ. ტრაქტორები, ხოლო ოპტიმალური ვარიანტი—550 ათასი ცხ. ძალ., ფაქტიურად კი 1932 წელს დამზადებული იქნა 759 ცხ. ძალ. ეს ნიშნავს ტრაქტორების გამოშვების გადიდებას 1927—28 წელთან შედარებით თითქმის 50-ჯერ. ხუთწლედის პირვანდელ ვარიანტთან შედარებით 1932—33 წლისათვის—151,8 პროცენტით, ოპტიმალურ ვარიანტთან შედარებით 138 პროც. სასოფლო - სამეურნეო ინვენტარის დამზადება 1932 წელს 1928 წელთან შედარებით 3 ნახ.-ჯერ გაიზარდა. სათესი ფართობი ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა 21 მილიონი ჰექტარით, ხოლო ტექნიკური კულტურების სათესი ფართობი—75 პროცენტით. ხუთწლედის 4 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობაში დაბანდებულ იქნა 9,1 მილიარდი მანეთი. 1928 წელს ჩვენ გვქონდა მხოლოდ ერთი სამანქანო - სატრაქტორო სადგური, 1932 წელს კი მათი რიცხვი 2.500-მდე ავიდა.

რა მივიღეთ ჩვენ ყოველივე ამის შედეგად? თუ ხუთწლედის წინ სახელმწიფო დამზადებათა წესით ჩვენ შეგვეძლო მხოლოდ 500—600 მილიონი ფუთი პურის მიღება, ეხლა შესაძლებლობა გვაქვს მივიღოთ 1200—1400 მილიონი ფუთი პური.

ყოველივე ეს მოწმობს რომ სოფლის მეურნეობაში ჩვენ უდიდესი მიღწევები გვაქვს. **სოფლის მეურნეობის ახალ სოციალურ საფუძველზე გადაყვანის პრობლემა უკვე გადაჭრილია და ამჟამად ჩვენს წინაშე სდგას ყოვლად არა ნაკლებ მნიშვნელოვანი და ძნელი ამოცანა — კოლმეურნეობების ათვისება, მათი ორგანიზაციულ - სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცება.**

შეგვეძლო თუ არა ჩვენ ამ ხნის განმავლობაში დიდი შედეგებისათვის მიგვეღწია სოფლის მეურნეობის დარგში? დიახ, განსაზღვრულ პირობებში შეგვეძლო. მაშ რატომ არ გავაკეთეთ ეს? ამ კითხვაზე მე გიპასუხებ მაგალითით ყოველი ჩვენთაგანისთვის ნაცნობი დარგიდან—წითელი არმიის საბრძოლო მომზადებიდან.

მოიგონეთ თუ როგორ მთელ რიგ წლების განმავლობაში ჩვენ უდიდეს ენერგიას ვხარჯავდით ჩვენი საბრძოლო მომზადების შედარებით არართულ ამოცანების გადასაჭრელად. და მხოლოდ უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით 1932 წელს ჩვენ შევძელით, ავღნიშნოთ ნამდვილი, მკვეთრი მიღწევები, თვალსაჩინო გარდატეხა ამ საქმეში. ამავე დროს, წითელი არმიის რიგებში ჩვენ გვყავს დაახლოებით 60 პროცენტამდე კომუნისტები და კომკავშირელები, გვყავს სამხედრო სკოლებში მომზადებული ხალხის უდიდესი კადრები, გვაქვს სამხედრო დისციპლინა, გვაქვს რთული მოწესრიგებული მანქანა, რომელიც განაგებს მთელს ჩვენს სამხედრო ორგანიზაციას. მანქანა, რომელიც მოქმედებს შეუფერხებლად და, თითქოს, საკმაოდ კარგად. მაგრამ, მიუხედავად იმისა, საბრძოლო მომზადებაში ჩვენს სპეციალურ საქმეში, რისთვისაც ჩვენ სიმართლე რომ ვსთქვათ, ვარსებობთ და, რისთვისაც პროლეტარული სახელმწიფო გვკვებავს,—ჩვენ ამ საქმეში მთელ რიგ წლების განმავლობაში მაინც და მაინც სწრაფი ტემპით ვერ მივდიოდით წინ.

რით აიხსნებოდა ეს? იმით, რომ ჩვენ ვსწავლობდით უფრო ნელი ტემპით, ვიდრე ეს საჭირო იყო, ხოლო ცხოვრება სულ უფრო და უფრო ახალ და მეტ მოთხოვნებს გვიყენებდა და ჩვენ ვერ ვეწეოდით ცხოვრებას. ცხოვრების დაწევა—ეს მეტად სერიოზული საქმეა, განსაკუთრებით ჩვენში, საბჭოთა კავშირში.

იგივე უნდა ითქვას კოლმეურნეობების შესახებაც. ჩვენმა გლეხობამ, ჩვენმა ბოლშევიკებმა, რომელნიც სოფლად მუშაობენ, ბევრი რამ ისწავლეს, მაგრამ ცხოვრება უფრო მეტს მოითხოვს. ხოლო სოფლის მეურნეობის ორგანიზატორული კადრების, ზრდა როგორც რიცხვობრივი, ისე ხარისხობრივი, მას ვერ ეწევა. ამ გარემოებას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, გარდა ამისა ჩვენში სოფლად აქამდის არსებობს სხვადასხვა სოციალური ფენები. ღარიბ და საშუალო გლეხებში არის ბევრი ჩვენი ხალხი, სავსებით ჩვენი, რომელნიც ჩვენთან ერთად მუშაობენ, ჩვენთან ერთად იბრძვიან ყველა სიძნელეების გადასალახავად, რომელთაც ესაჭიროებათ მხოლოდ კარგი ხელმძღვანელობა, რომელთაც ესაჭიროებათ მხოლოდ ბოლშევიკური პოლიტიკური და ორგანიზაციული მომსახურეობა.

სოფლად არიან აგრეთვე ჩვენდამი მტრულად განწყობილ კლასების ნაშთები — კულაკები, კულაკთა დამქაშები, ყოფილი თეთრგვარდიელი ოფიცრები, მღვდლები და სხვ., რომელთაც არავითარი კოლმეურნეობა არ უნდათ, რომელნიც ჩვენი შეურიგებელი მტრები არიან. სოფლად არის ნეიტრალურ გლეხების, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი პროცენტი, რომელნიც იმათ მიჰყვებიან, ვინც მათ გაიყოლიებს. კლასობრივი ურთიერთობის ამ ურთულეს პირობებში განვითარდენ და სცხოვრობენ ჩვენი კოლმეურნეობები და, მიუხედავად ყოველგვარი სიძნელეებისა, ისინი აგროვებენ გამოცდილებას და ხდებიან მტკიცე სოციალისტურ მეურნეობებად.

ჩვენ გვაქვს მრავალი კოლმეურნეობა, რომელნიც უკვე მტკიცედ დადგნენ ფეხზე, რომელთაც უკვე ეხლა შეუძლიათ არა მარტო დროულად შეასრულონ ყველა ვალდებულებანი სახელმწიფოს მიმართ, არამედ რომელთა მეურნეობა დაყენებულია მშვენივრად და, რომელნიც სავსებით რენტაბელური არიან.

მე პირადათ ვიცი არა ერთი, არამედ მრავალი ასეთი მეურნეობა. გასული წლის დეკემბერში მე ჩრდილოეთ კავკასიაში დავათვალიერე ყაბარდო - ბალკარიის ავტონომიური ოლქის ზოგიერთი კოლმეურნეობა. იმან, რაც მე ამ კოლმეურნეობებში ვნახე, კიდეც გამაოცა და კიდეც გამახარა. ეს მართლაც სოციალისტური მეურნეობებია სანიმუშოდ, მშვენივრად მოწყობილი. ყველაფერი, დაწყებული მშრალად ხვნით და საგაზაფხულო თესვისათვის მომზადებით და დამთავრებული სილოსით, ყველაფერი მშვენივრად წესრიგშია მოყვანილი. ამ კოლმეურნეობებში მთელი მუშაობა, მთელი ცხოვრება, როგორც საჭიროა, მიმდინარეობს გეგმით, ორგანიზაციულად, დამშვიდებით, ყოველგვარი ფუსფუსის გარეშე. ასეთი კოლმეურნეობები მე ვნახე არა მარტო ბარში, არამედ ყაბარდოელთა და რუსების ასეთივე მშვენივრად მოწყობილი კოლმეურნეობები არის ბალკარიის მთიან რაიონებში. ყოველივე ეს აიხსნება იმით, რომ არის ორგანიზატორი, არის ბოლშევიკი—ამხ. **კალმიკოვი**, რომელიც მთელ პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად მთელ ძალღონეს და ენერგიას ახმარს ამ საქმეს. ასეთივე კოლმეურნეობები არის უკრაინაში, ციმბირში, ცენტრალურ შავნიადაგიან ოლქში, ქვემო და შუა ვოლგის მხარეში და სხვა ადგილებში. მაგრამ მათთან ერთად ჩვენ გვაქვს ჯერ კიდევ სუსტი, მეურნეობრივად უღონო, ცუდათ მოწყობილი კოლმეურნეობანი და სრულიადაც არა იმიტომ, რომ მათ არა აქვთ ინვენტარი, არ ყოფნით მუშა-ხელი, ან მიწა ცუდია, არამედ იმიტომ, რომ ისინი სუსტი არიან ორგანიზაციულად, ჯერ კიდევ არა აქვთ ნამდვილი ბოლშევიკური ხელმძღვანელობა ჩვენ გვაქვს ისეთი კოლმეურნეობებიც, რომელთა სათავეში სდგას არა ბოლშევიკი (მაშინაც კი, როცა გამგეობაში კომუნისტები არიან) არამედ ნამდვილი პირწავარდნილი მტერი.

ამხ. **კაგანოვიჩმა** თავის მოხსენებაში ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმზე მოიყვანა კოლმეურნეობების ცუდი ორგანიზაციის, კოლმეურნეობებისადმი ცუდი ხელმძღვანელობის მთელი რიგი მაგალითები, მან დაასახელა მთელი რიგი ფაქტები, თუ როგორ შეხვდა ჩრდილოეთ კავკასიის კოლმეურნეობებში იქ მოკალათებულ თეთრგვარდიელებს, ყოფილ ესაულებს, ატამანებს და სხვა კონტრრევოლიუციურ ნაგავს.

ზოგიერთი ჩვენი კოლმეურნეობა ფაქტიურად საბჭოთა ხელისუფლების და კომუნიზმის ამ მტრების ხელში იყო. ბევრ შემთხვევაში კონტრრევოლიუციონერებს კოლმეურნეობებში ეკავათ, თუ არა ხელმძღვანელი, ყოველშემთხვევაში მეტად გავლენიანი და მნიშვნელოვანი თანამდებობანი, ისინი იყვნენ ბუღალტრებად, აღმრიცხველებად, მოანგარიშეებად, მეკუჭნავეებად და სხვ. ბუნებრივია, რომ თუ კოლმეურნეობას ხელმძღვანელობას უწევს კონტრრევოლიუციური ბანაკიდან გამოსული ხალხი, ამგვარი კოლმეურნეობა გლეხობას და სახელმწიფოს მხოლოდ ზიანს მოუტანს.

მთელი ეს ნაგავი, რომელნიც მიეტმასნა კოლმეურნეობებს, თავის შავბნელ საქმეს აკეთებდა. ისინი არა მარტო აგიტაციას ეწეოდნენ, არამარტო ხრწნიდნენ კოლმეურნეებს, არამედ აგრეთვე აწყობდნენ ნამდვილ მავნებლობას, იტაცებდნენ პურს, აწყობდნენ ყოველგვარ „შავ ბედლებს", ტერორის ქვეშ აყენებდნენ კეთილსინდისიერ აქტივისტებს ხვნის, მოსავლის აღების დროს და სხვ. ამ კლასობრივი მტრის წინააღმდეგ გამოყენებულ უნდა იქნას პროლეტარული დიქტატურის ყველა საშუალებანი.

აუცილებელი იყო თუ არა ეს მოვლენები? არა, მათ შეიძლება არც კი ქონოდათ ადგილი, რომ ყველა კომუნისტები, რომელთაც დავალებული აქვთ კოლმეურნეობების უშუალო ხელმძღვანელობა, ყოფილიყვნენ ნამდვილი, ჭეშმარიტი ბოლშევიკები, რომ ოლქის და განსაკუთრებით, რაიონის ყველა ხელმძღვანელებს ნამდვილად ედევნებიათ თვალყური საქმისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, სოფლის კომუნისტების თვალსაჩინო ნაწილს სისუსტეს, ხოლო მთელ რიგ ადგილებში ჩვენი სასოფლო პარტორგანიზაციების დანაგვიანებას აუხო ელემენტებით, საკმაო კონკრეტული ხელმძღვანელობის უქონლობას რაიონების და ოლქების, განსაკუთრებით, რაიონების მთელ რიგ ხელმძღვანელ მუშაკების მხრით, — ყოველივე ამას ერთად აღებულს კლასობრივი მტრის სასტიკი წინააღმდეგობის პირობებში სოფლად, კლასობრივი მტრის, რომელიც გრძნობს, რომ დაჰკრა მისმა უკანასკნელმა საათმა, შედეგად მოჰყვა ის, რომ ბევრ კოლმეურნეობაში, განსაკუთრებით უკრაინასა და ჩრდილოეთ კავკასიაში, ჩვენ გვაქვს მთელი რიგი გარღვევები, მთელი რიგი დეფექტები.

ამხ. **სტალინმა** თავის სიტყვაში სოფლად მუშაობის შესახებ სავსებით სწორად მიუთითა, რომ ჩვენი კოლექტივიზირებული სოფლის მეურნეობის ყველა დეფექტებისათვის, პირველ ყოვლისა, დამნაშავენი ვართ ჩვენ — ბოლშევიკები. კოლმეურნეობა, — ამბობდა ამხ. სტალინი, — წარმოადგენს მეურნეობის სოციალისტურ ფორმას, მაგრამ ეხლანდელ ეტაპზე ამ ფორმას შეიძლება სხვადასხვა შინაარსი ექნეს. ამხ. სტალინმა მოიყვანა ანალოგია საბჭოებთან, საბჭოები ეს არის პოლიტიკური ორგანიზაციის სოციალისტური ფორმა. მაგრამ იყო ისტორიული მომენტები, როცა ამ ფორმას ავსებდნენ კონტრრევოლიუციური შინაარსით. მოიგონეთ ესერ-მენშევიკთა საბჭოები 1917 წლის ივლისში, მოიგონეთ როგორ აქცევდნენ გერმანელი სოციალ - დემოკრატები საბჭოებს კონტრრევოლიუციის კერებად. კოლმეურნეობების შექმნა არ კმარა, საჭიროა აგრეთვე მათთვის ნამდვილი ხელმძღვანელობის გაწევა, საჭიროა მათი გადაქცევა ნამდვილ სოციალისტურ მეურნეობებად, ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად. უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ჩვენ, ბოლშევიკები ხელმძღვანელობას არ გაუწევთ კოლმეურნეობებს, ჩვენ ნაცვლად მათ უხელმძღვანელებენ ჩვენდამი მტრულად განწყობილი ელემენტები, ან უკეთეს შემთხვევაში, უხელმძღვანელოთ დატოვებული კოლმეურნეობა დაიშლება.

ჩვენ გვაქვს ყველა წინაპირობები, ყველა შესაძლებლობანი ნამდვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შესაქმნელად. საქმე მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ ჩვენი კოლმეურნეობები, ისე როგორც ჩვენი ქარხნები, მხოლოდ გაცილებით უფრო მეტად, ჯერჯერობით განიცდიან კარგი ორგანიზატორების ნაკლებობას, რომელთაც შესწევთ ამ შესაძლებლობების სავსებით გამოყენების უნარი. კოლმეურნეობებმა ჯერ კიდევ ვერ მოამზადეს თავიანთი ორგანიზატორები, ვერ შექმნეს თავიანთი ხელმძღვანელი კადრები, მაგრამ ისინი მათ ქმნიან. კადრები უკვე ჩნდება, ამ საქმეს ხელი მოჰკიდა პარტიამ და იგი მიაღწევს მიზანს.

როცა გლეხი ერთპიროვნული მეურნე იყო, იგი თვითონ პასუხს აგებდა თავის მეურნეობისათვის, მისი წარმატებისა ან დეფექტებისათვის. ეხლა მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. კოლმეურნეთ, რომელმაც თავისი საწარმოო საშუალებანი გადასცა კოლმეურნეობას და თვითონაც კოლმეურნეობაში შევიდა, მოელის მითითებებს, მოელის შრომის ორგანიზაციას. კოლმეურნეობის ძირითად საკითხებს სწყვეტენ ყველა კოლმეურნეები, მაგრამ პრაქტიკულ მუშაობაში, წარმოების ყოველდღიურ ორგანიზაციაში, თავისთავად ცხადია, ყველას არ შეუძლია განკარგულების გაცემა. და ცუდიც იქნებოდა, რომ ყველას დაეწყო განკარგულების გაცემა. საჭიროა მთლიანი ნებისყოფა, მთლიანი ხელმძღვანელი ბირთვი და აი სწორედ ეს მთლიანი [illegible] ნებისყოფა ბევრ შემთხვევაში არ სჩანდა, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, კომუნისტების ლაჩრობის გამო, იგი გამომდინარეობდა პროლეტარული დიქტატურის კლასობრივ მტრისაგან. თუ საერთო საქმის ხელმძღვანელი სუსტია, საქმეც ცუდათ მიდის. მაგალითად, სტალინგრადის ქარხანა „კრასნი ოქტიაბრ"-ში, რომელიც მე უკვე მოვიხსენიე, ხელმძღვანელთა შორის იყო ხალხი, რომელსაც ამხ. სტალინმა ტიკინები უწოდა. იქ საქმე ძალიან ცუდათ მიდიოდა. ყველა თავის გარღვევებს ადმინისტრაცია მუშა-ხელის ნაკლებობით ხსნიდა. ნამდვილად კი შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ ქარხნის მუშების რიცხვი სიის მიხედვით ერთია, სინამდვილეში კი სულ სხვა, ხოლო ფაქტიურად მუშაობს ორჯერ ნაკლები. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ესეც ბევრია და გადაწყდა ერთგვარი შემცირების ჩატარება. შეცვლილ იქნა ხელმძღვანელობა და „წითელი ოქტომბერი" უკვე თითქმის ნახევარი წელიწადია, რაც გადაჭარბებით ასრულებს თავის პროგრამას. აი, რას ნიშნავს ხელმძღვანელობა, ადამიანების სწორად განაწილება და შრომის სწორი ორგანიზაცია. კოლმეურნეობაში ამის გაკეთება უფრო ძნელია, იმიტომ რომ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვყავს კარგი კადრები, გვაქვს ნაკლები გამოცდილება, ვიდრე ქარხნების ხელმძღვანელობის საქმეში, ხშირად ჯერ კიდევ არა გვაქვს ამ რთული საქმის ღრმა გაგება.

პლენუმმა გამოიტანა გადაწყვეტილება სამანქანო - სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში პოლიტგანყოფილებების მოწყობის შესახებ. სამანქანო-სატრაქტორო სადგურები და საბჭოთა მეურნეობები წარმოადგენდა სოციალისტური სოფლის გარდაქმნის ძირითად ბერკეტებს.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ ვსთქვათ, რომ საბჭოთა მეურნეობები უკვე გადაიქცნენ ნამდვილ ნიმუშად მიწის დამუშავების, მოსავლის აღების, მეურნეობის წარმოების და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულების საქმეში? სამწუხაროდ არა. ზოგი მათგანი ბრწყინვალედ ასრულებს თავის ამოცანას, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთი. ბევრი მუშაობს ცუდად თუ ბევრად დამაკმაყოფილებლად, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია ისეთი საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ცუდად ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს, ცუდად მიჰყავთ მეურნეობა, რიგიანად ვერ უძღვებიან თესვის და მოსავლის აღების საქმეს და სხვ. რითი აიხსნება ეს? ისევ კარგი ორგანიზატორების ნაკლებობით. იმ საბჭოთა მეურნეობებში, სადაც კარგია დირექტორი, სადაც კარგად არიან შერჩეული ადამიანები, საქმეც კარგად მიდის. იქ კი სადაც სხედან ტიკინები, საქმე ფუჭდება. დაახლოებით ასეთივე სურათი გვაქვს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებშიაც.

ამის გამო გადაწყდა პოლიტგანყოფილებების მოწყობა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა გამოიყენოს არმიის პოლიტგანყოფილებათა გამოცდილება საბჭოთა მეურნეობებსა და სამანქანო - სატრაქტორო სადგურებში. პოლიტგანყოფილებებს ეკისრებათ ამოცანა ბოლშევიკურად დააყენონ პოლიტიკური მუშაობა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების მუშებს შორის, კოლმეურნეებს შორის და პრაქტიკული დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - სამეურნეო განმტკიცების საქმეს. წითელმა არმიამ ჩრდილოეთ კავკასიის და უკრაინის სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მოგვცა 300 პოლიტმუშაკი. ჩვენ მივეცით ჩვენი საუკეთესო ამხანაგები იმიტომ, რომ ეს საქმე ჩვენ მიგვაჩნია უაღრესად მნიშვნელოვან საქმედ. მე დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ჩვენი საარმიო მუშაობის გამოცდილება მოწმობს და იგი საწინდარია იმის, რომ გაგზავნილი ამხანაგები შესძლებენ მათზე დაკისრებულ უაღრესად საპასუხისმგებლო და რთული მოვალეობის შესრულებას.

პოლიტგანყოფილებებმა უნდა შეასრულონ დიდი როლი და ეჭვს გარეშეა, რომ ამას ისინი შეასრულებენ. მაგრამ, თავისთავად ცხადია, რომ ამასთან ერთად, ყველა ჩვენმა პარტორგანიზაციებმა უნდა მოჰკიდონ ხელი კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - სამეურნეო ბოლშევიკური განმტკიცების საქმეს; მათი ყოველდღიური ხელმძღვანელობის გაწევის საქმეს. პარტიული და პოლიტიკური მუშაობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — ეს არის მთავარი, რაც დაგვეხმარება ჩვენ ჩქარა დავაღწიოთ თავი არსებულ სიძნელეებს. ჩვენი მიღწევები სოფლის მეურნეობის ხაზით პირველი ხუთწლედის განმავლობაში იმდენად დიდია, რომ მათ შეგვიქმნეს ჩვენ საკმაო ბაზა და დაგვინერგეს ურყევი რწმენა, რომ აღნიშნული სიძნელეები და დეფექტები გადალახული იქნება. მაგრამ მარტო ერთი რწმენა, რასაკვირველია, არ კმარა. საჭიროა აქტიური და ენერგიული მუშაობა. ბევრ ჩვენთაგანს მუშაობის პროცესში უხდება მჭიდრო კავშირის დაჭერა როგორც კოლმეურნეობებთან, ისე სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან და საბჭოთა მეურნეობებთან. თქვენ ვალდებული ხართ მთელი ძალღონით დაეხმაროთ სამანქანო - სატრაქტორო სადგურებს და საბჭოთა მეურნეობებს მათ წინაშე მდგომ დიდი და რთული ამოცანების გადაჭრაში. ამხ. სტალინმა სთქვა, რომ ის სიძნელეები, რომლებიც ჩვენ გვაქვს კოლმეურნეობებში, უნდა გადაიქცნენ ჩვენთვის გაკვეთილად ისე, როგორც ერთ დროს მრეწველობის მუშაკებისათვის გადაიქცა გაკვეთილად მავნებლობა. მეტი რევოლიუციური სიფხიზლე. კლასობრივი მტრის ცდებთან — შეტევა კოლმეურნეობასთან ერთად — უაღრესად [illegible] ბრძოლა სოფლის მეურნეობის [illegible] თავდადებული და საქმის მცოდნე საკუთარი ორგანიზატორების აღზრდისათვის, [illegible] გაძლიერება ყველაზე უფრო, რომ ჩქარა წავიდეს წინ სოფლის მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციის საქმე.

IV. მუშათა კლასის და გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და კულტურული ზრდა

როგორი გავლენა მოახდინა ხუთწლედის შესრულებამ მუშათა კლასის და გლეხობის მატერიალურ საყოფაცხოვრებო მდგომარეობაზე?

როცა ვლაპარაკობთ მუშათა კლასის მატერიალურ - საყოფაცხოვრებო მდგომარეობაზე, არ შეგვიძლია არ შევადაროთ ჩვენი პირობები კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატის მდგომარეობასთან. მთელი რიგი წლების განმავლობაში აღნიშნულ ქვეყნებში ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან გაყრილი იქნა 35—40 მილიონი მუშა. ამასთან ციფრი 35 მილიონი არ არის სწორი, ვინაიდან ერთა ლიგის დოკუმენტებშიაც კი და სხვ. ცნობილ დაწესებულებათა საბუთებშიც ნახსენებია 40 მილიონზე მეტი უმუშევარი. თუ ანგარიშში მივიღებთ ამ მუშების ოჯახის წევრებს, ეს ციფრი სულ ცოტა ორჯერ მაინც უნდა გავადიდოთ. ეს ნიშნავს იმას, რომ 100 მილიონამდე პროლეტარი და მათი ოჯახის წევრები შიმშილობენ, მათ მოელით სილატაკე და გადაშენება და ისინი მართლაც გადაშენების გზაზე არიან დამდგარი. ეს უნდა გვახსოვდეს ამხანაგებო, როცა ჩვენს მდგომარეობას ვადარებთ მთელი კაპიტალისტური მსოფლიოს მდგომარეობასთან.

როგორი იქნებოდა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ცხოვრების პირობები ამჟამად. ე. ი. უსასტიკესი მსოფლიო კრიზისის პირობებში, რომ ჩვენი ქვეყანა არ ყოფილიყო საბჭოთა ქვეყანა, რომ იგი ყოფილიყო, ვსთქვათ, ბურჟუაზიულ - დემოკრატიული ქვეყანა? ჩვენ ვიქნებოდით დაახლოებით ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიაც არის ეხლანდელი პოლონეთი და კიდევ უფრო უარესშიაც, იმიტომ, რომ პოლონეთი წინა ხანებში იყო უფრო ინდუსტრიალური და უფრო კულტურული ქვეყანა, ვიდრე მეფის რუსეთი. საბჭოთა ხელისუფლების გარეშე, რუსეთში ეხლა სოფლის მოსახლეობის პაუპერიზაციის პროცესი, კრიზისის ზეგავლენით, მიიღებდა გიგანტურ სახეს, სოფლის ღარიბთა რიცხვი გადააჭარბებდა ომის წინადროინდელ 60 პროცენტს და სოფლად გვეყოლებოდა 60—70 მილიონი ხალხი უბადრუკ, ნახევრად ადამიანურ და ნახევრად ველურ მდგომარეობაში. თუ ავიღებთ პროლეტარიატს, ჯერ ერთი ამჟამად იგი იქნებოდა მცირე რიცხოვანი, ვინაიდან საკონცესიო კაპიტალის ფართოდ მოზიდვის დროსაც კი ქვეყნის სამრეწველო განვითარება (თუ ამას საერთოდ ექნებოდა ადგილი) წავიდოდა მეტად უმნიშვნელო, კოლონიალური ტემპებით, მეორე — მისი ეკონომიური მდგომარეობა, უკეთეს შემთხვევაში, იქნებოდა ისეთივე, როგორც ვთქვათ იმავე პოლონეთის მდგომარეობა, სადაც ნამდვილი შიმშილი და უმაგალითო სილატაკე წარმოადგენს მთელი მუშათა კლასის ხვედრს.

როცა ჩვენ ვადარებთ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობას კაპიტალისტური ქვეყნების მუშების მდგომარეობასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ საბჭოთა სისტემის ყველა თავისებურებანი და უპირატესობანი მთლიანად. საბჭოთა კავშირის მუშის ეკონომიური მდგომარეობა განისაზღვრება არა მარტო ხელფასის ციფრით, ჩვენში [illegible] ეკონომიური მდგომარეობა განისაზღვრება [illegible] ბატონპატრონი. საბ. კავშირში არ არის და არც შეიძლება იყოს ისეთი მდგომარეობა, რომ მუშა ჩავარდეს მწვავე გაჭირვებაში მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო და, რომ მას არ ჰქონდეს კონკრეტული დახმარების და ყურადღების იმედი. შეუძლებელია, რომ ქარხნის მუშა, რომელიც ავად გახდა და ან რომელმაც დაჰკარგა შრომის უნარი, გაგდებულ იქნას ქუჩაში. შრომის ინვალიდების მდგომარეობა ჩვენში სრულიადაც არ ჩამოუვარდება ჯანსაღ და წარმოებაში მომუშავეთა მდგომარეობას. კაპიტალისტური ექსპლოატაციის პირობებში, მუშას, რომელმაც მიაღწია 40—45 წლის ასაკს, ყოველმხრივ უკუნკლავებენ საწარმოების მეპატრონეები, რათა გააგდონ იგი წარმოებიდან და უზრუნველყონ თავიანთი თავი ყოველგვარი რისკისაგან — გადაიხადონ ფული მუშის დასახიჩრების შემთხვევაში, ვინაიდან ამ ასაკის ხალხი უფრო ადვილად სახიჩრდება, ვიდრე ჯანღონით სავსე ახალგაზრდობა. კაპიტალისტები ცდილობენ თავიდან მოიცილონ ასეთი მუშა.

არავითარი ამის მსგავსი არ არის ჩვენში. მუშები მუშაობენ მანამ, სანამ მათ ამის ნებას აძლევს ფიზიკური ძალა, ხოლო შემდეგ ინვალიდობის გამო, ღებულობენ უზრუნველყოფილ პენსიას.

სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას ჩვენში თან სდევდა მუშათა კლასის რიცხვობრივი ზრდა. მუშებისა და მოსამსახურეების რიცხვი 11,3 მილიონი კაციდან (1928 წელს) გაიზარდა 22,8 მილიონამდე (1932 წელს). მათი მატერიალური მდგომარეობაც წლითი წლობით უმჯობესდებოდა. ხელფასის ფონდი 7.152 მილიონი მან. (1928 წელი) გაიზარდა 30.821 მილიონ მანეთამდე (1932 წელს). თუ მუშის საშუალო წლიური ხელფასი 1928 წელს უდრიდა 703 მანეთს, 1932 წელს იგი უდრის 1.356 მანეთს. ამასთან ერთად სოციალიზებული ხელფასი, რომელიც წარმოადგენს მუშათა კლასის მატერიალურ საყოფაცხოვრებო და კულტურული ბიუჯეტის ძალიან მნიშვნელოვან ნაწილს, 1,1 მილიარდი მანეთიდან (1928 წელს) გაიზარდა 4,3 მილიარდ მანეთამდე (1932 წელს).

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ საგრძნობლად შემცირდა სამუშაო დღე. თუ 1913 წელს სამუშაო დღე საშუალოდ უდრიდა 9,02 საათს, ეხლა იგი უდრის 7,09 საათს, ეს ასეა მთელს სახალხო მეურნეობაში. მრეწველობის ყველა ძირითად დარგებში ჩვენ გვაქვს 7 საათიანი სამუშაო დღე, ხოლო მავნე წარმოებაში—ქიმიური, მიწის ქვეშა და სხვ. — სამუშაო დღე შემცირებულია 6 საათამდე. ამასთან ამ საწარმოებში მუშებს ეძლევათ სპეცტანისამოსი და სპეციალური ულუფა, რაზედაც წარმოდგენა არ ქონდა მეფის რუსეთის მუშას, ისე როგორც არა აქვს წარმოდგენა ამაზე კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატს.

1928 წელს საზოგადოებრივი კვებით სარგებლობდა სულ 550 ათასი კაცი, ე. ი. ნახევარ მილიონზე ცოტა მეტი, 1931 წელს—11,3 მილიონი კაცი, ხოლო 1932 წელს საზოგადოებრივი კვებით სარგებლობს 14 მილიონი კაცი, ე. ი. დაქირავებული შრომის ყველა პირთა 70 პროცენტი.

თუ რას ნიშნავს ეს, თქვენ ძალიან კარგად გესმით. ეს არ არის მუშების და მუშა ქალების მარტო სურსათით დაკმაყოფილება. არა, ეს გაცილებით უფრო მეტია. საზოგადოებრივი კვება—უწინარეს ყოვლისა ეს არის ქალის განთავისუფლება სამზარეულოსაგან, მისი განთავისუფლება ქურის და ქოთნის ხუნდებისაგან. საზოგადოებრივმა სასადილოებმა საშუალება მოგვცეს ჩვენ გადაგვეჭრა მუშათა კვების [illegible] ბევრად უფრო უკეთესად, ვიდრე რომელიმე ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ ქვეყანაში. ჩვენი ბავშვები (3.767 ათასი კაცი) ღებულობენ სკოლებში ცხელ საუზმეს.

ბოლოს, ჩვენს უდიდეს მიღწევას, ჩვენს ნამდვილ სოციალისტურ გამარჯვებას ამ დარგში წარმოადგენს უმუშევრობის ლიკვიდაცია.

მრავალ თქვენთაგანს, რომლებიც აქ სხედან, არა აქვთ ნათელი წარმოდგენა, თუ რა არის უმუშევრობა. ბევრი თქვენთაგანი იზრდებოდა საბჭოთა სისტემის პირობებში, რომლის დროსაც შეუძლებელია უმუშევრობა ასეთი საშინელი სახით. ხოლო თქვენმა მომხსენებელმა კი მშვენივრად იცის, თუ რა არის უმუშევრობა. მე საკუთარ თავზე გამოვცადე, რომ უმუშევრობა —ეს არის საშინელება და არა მარტო ფიზიკური, არამედ მორალური ხასიათის საშინელებაც. როცა პროლეტარი კარგავს სამუშაოს. იგი გრძნობს, რომ იგი უკვე არავისთვის საჭირო არ არის, თუმცა სავსეა ძალღონით და შესწევს შრომის უნარი. იგი იწყებს ხეტიალს სხვადასხვა ქარხნებში, ფაბრიკებში, სახელოსნოებში და დაეხეტება წლობით, ხოლო, თუ ამასთან იგი საეჭვო შეიქნა პოლიციისათვის, როგორც პოლიტიკურად არა საიმედო პიროვნება, საერთოდ იგი უკვე ხდება მაწანწალად, ისეთ ადამიანად, რომელსაც არსად არა აქვს თავშესაფარი ადგილი. ასეთი უმუშევრები ძველ, მეფის დროს იყო მრავალი ათასი. დაეხეტებოდნენ ისინი ერთი ქარხნიდან მეორეში და ქარხნების კარებთან ხვდებოდნენ მათივე მსგავს განაწამებ, მშიერ, და გაბოროტებულ უმუშევართა ჯგუფებს, რომლებმაც შრომის, და ხელფასის ძებნაში დაკარგეს იმედი და რწმენა თავისთავისადმი. აი ასეთი და კიდევ უფრო მეტი უმუშევრობა მოედო ამჟამად მთელ კაპიტალისტურ მსოფლიოს. 35 მილიონ კაცზე მეტი გაყრილია ქუჩაში, მათ არა აქვთ სამუშაო. იმის მსგავსად, როგორც მეფის რუსეთში პირველად აგდებდნენ ქარხნებიდან რევოლიუციონერ მუშებს, რომლებიც ყველაზე ბოლოს შოულობდნენ სამუშაოს, ისე კაპიტალისტურ ქვეყნებში [illegible] ყველაზე უფრო მძიმე მდგომარეობაში არიან კომუნისტები, პროლეტარული რევოლიუციონერები.

არც მომუშავეები გრძნობენ თავს უმუშევრებზე უკეთესად. მათ მუდამ ემუქრება ქარხნიდან დათხოვნის საშიშროება სულ უმნიშვნელო დანაშაულისათვის, ზოგჯერ კი სრულიად უმიზეზოდ. მეწარმეთა უბრალო კაპრიზით ითხოვენ მათ, ღებულობენ სხვებს; [illegible] კი მრავლად მოიპოვებიან ქარხნის კარებთან გადაღმა, ისინი ოცნებობენ მოხვდნენ სამუშაოზე. მიიღონ როგორიც არ უნდა იყოს ხელფასი. 35—40 მილიონი კაცი უმუშევარი, ესე იგი უფულოდ, უსახლკაროდ, მაგრამ მათ ხომ ჰყავთ ცოლები, დედები, შვილები, და ისინიც დარჩენილი არიან უპუროდ, უსახლკაროდ, ისინიც შიმშილობენ, იხოცებიან თავიანთ მასაზრდოებლებთან ერთად.

ჩვენში არ არის ეს საშინელება. ჩვენ უკვე არ ვიცით, თუ რა არის უმუშევრობა. პირიქით, ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში ყველგან საგრძნობია მუშა-ხელის ნაკლებობა. საიდუმლოდ შემიძლია გითხრათ, რომ ის ძალიან ხშირად გამოწვეულია საწარმოთა ხელმძღვანელების უუნარობით გაანაწილონ ადამიანები როგორც საჭიროა ისე. ამჟამად ჩვენში ისე მძლავრად არის გაშლილი მშენებლობა, რომ ჩვენ ცოტათი კიდეც რომ შევამციროთ ზოგიერთ ქარხნის შტატი, იქიდან განთავისუფლებული მუშა-ხელი დაუყოვნებლივ იქნებოდა გამოყენებული მთელ რიგ სხვა ახალ საწარმოებში.

უმუშევრობის ლიკვიდაცია—ეს ჩვენი უდიდესი მიღწევაა, ჩვენი კოლოსალური გამარჯვება, განსაკუთრებით, ვიმეორებ, კაპიტალისტურ მსოფლიოსთან შედარებით, სადაც იხურება ფაბრიკები და ქარხნები, სადაც დიდმეწარმეთა ასწორებენ მთელს ფაბრიკებს და მათ გარშემო დასახლებულ პუნქტებს, და ქუჩაში ყრიან ახალ ათეულ ათას მუშებს.

უმუშევრობის ლიკვიდაციასთან ერთად მუშათა კლასის უდიდეს მიღწევას წარმოადგენს ის, რომ მან შექმნა თავისთვის განუსაზღვრელი კულტურული ზრდის პირობები და თვითონვე წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს თავისი ქვეყნის კულტურული აღორძინების საქმეში.

მარტო უმაღლეს სკოლაში სწავლობს ნახევარი მილიონი მუშა და გლეხი. ტექნიკუმებში—950,000 კაცი, მუშფაკებში—440 ათასი კაცი, საფაბრიკო-საქარხნო სკოლებსა და პროფსკოლებში—1.177 ათასი კაცი. და ყველა ამათ ინახავს სახელმწიფო. ისინი არ არიან ბურჟუები, ან აზნაურების შვილები და თეთრკანიანი ხალხი, რომლებიც ემზადებიან შავკანიანი ხალხის მართვა-გამგეობისათვის, არამედ ისინი არიან ნამდვილი მუშები და გლეხები, რომლებიც ემზადებიან იმისათვის, რომ აშენონ სოციალიზმი, ააშენონ ადამიანების ახალი საზოგადოება.

საყოველთაო - სავალდებულო სწავლებაში ამჟამად ჩაბმული არიან ყველა ბავშვები 8-დან 11 წლის ასაკამდე. საბჭოთა კავშირში დარჩა წერა-კითხვის უცოდინართა 10 პროცენტზე ნაკლები, ხოლო განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც გვქონდა სრულიად საწინააღმდეგო მოვლენა? ამრიგად, ის ქვეყანა, რომელიც ახლო წარსულში ითვლებოდა წერა-კითხვის უცოდინარ, ბნელ და ნახევრად ველურ ქვეყნად, ხდება წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის, გაძლიერებული განათლების ქვეყნად, უმაღლესი სოციალისტური კულტურის ქვეყნად.

როდის და სად ყოფილა, რომ მუშას ჰქონოდეს საშუალება წაიკითხოს ამდენი წიგნი, გაზეთი, შევიდეს სამკითხველოში, თეატრებში, იცხოვროს დასასვენებელ სახლებში, სანატორიუმებში, მიიღოს მონაწილეობა სასპორტო ორგანიზაციებში? ყველაფერი ეს შექმნილია მუშების მიერ უმაგალითო მასშტაბებით, თავისთვის და ყველა მშრომელთათვის.

რა მიიღეს გლეხებმა ხუთწლედის შედეგად? საბჭოთა კავშირში გლეხებმა მოიპოვეს ის, რაზედაც ოცნებაც კი არ შეუძლიათ არც ერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს გლეხებს. ხუთწლედის შედეგად მოისპო გლეხების დაყოფა ფენებად და ამით ერთხელ და სამუდამოდ მოეღო ბოლო გლეხობის პაუპერიზაციას და გალატაკებას. ეს არის უდიდესი მიღწევა, რომელსაც ვერ ხედავენ მხოლოდ ბრმები. კოლმეურნეობანი — ეს არის თანასწორთა ამხანაგობა, სადაც არ არის დაყოფა მდიდრებად და ღარიბებად. ყველა კოლმეურნეებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობა უზრუნველ ჰყონ თავიანთი თავი მატერიალურად. თვითეული კოლმეურნისაგან დამოკიდებულია მისი საკუთარი კეთილდღეობა.

ის დეფექტები, რომლებსაც ადგილი აქვს დღეს კოლმეურნეობებში, ეს ხომ წვრილმანია, ისინი ხვალვე გაჰქრებიან ჩვენი ერთი შეტევით. კოლმეურნე, მიწის მუშა დღითიდღე გააუმჯობესებს თავის მატერიალურ და კულტურულ მდგომარეობას კოლმეურნეობის სოციალისტური დაგროვების ზრდის მიხედვით. ხოლო ეს სოციალისტური დაგროვება, კოლმეურნეობის კეთილდღეობის ზრდა მთლიანად დამოკიდებულია თვით კოლმეურნეთა მუშაობისაგან. წინათ ღარიბი და საშუალო გლეხები, მათი მილიონები, როგორც თევზი ყინულს, ისე ეხეთქებოდნენ თავიანთ მიწის ნაკვეთებს, მაგრამ მაინც რჩებოდნენ საშინელ სილატაკეში პროლეტარულმა რევოლიუციამ გადასცა გლეხებს მთელი მიწა, გაანთავისუფლა გლეხი მემამულისაგან, „ურიადნიკისაგან", ხუცისგან, ვაჭრისგან და მუქთა-ხორა კულაკისაგან. პროლეტარულმა სახელმწიფომ დარაზმა გლეხობა კოლმეურნეობებში, გადასცა მათ სამანქანო - სატრაქტორო სადგურები და ყველა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანები. ეხლა კოლმეურნე გლეხს მოეთხოვება მოწესრიგებული და არა მისი მომქანცველი, როგორც ეს წინად იყო, შრომა იმისათვის, რომ სწრაფად აიყვანოს თავისი მატერიალური - კულტურული მდგომარეობა დღემდე გაუგონარ სიმაღლეზე.

კოლმეურნეებისაგან ჩვენ მოვითხოვთ არა ძალღონის დიდ დაძაბვას, არამედ დიდ შეუპოვრობას და მტკიცე ნებისყოფას, რომ სწრაფად ერთი-ორი წლის შემდეგ ბოლო მოუღონ უთავბოლობას და დეფექტებს კოლმეურნეობების მუშაობაში და მტკიცედ დაადგენ მათი აყვავების გზას.

მუშების ბავშვებთან ერთად, გლეხების ბავშვებით სავსეა ჩვენი უმაღლესი, საშუალო და დაბალი სასწავლებლები. მათგან იქმნება საბჭოთა ინტელიგენციის კადრები. ჩვენს ქვეყანაში არ არის არც ერთი სოფელი, რომელსაც არ ჰყავდეს თავისი ახალგაზრდობის რამდენიმე წარმომადგენელი ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში. ხოლო ბევრ რაიონებსა და სოფლებშიაც კი უკვე არიან გლეხობის ქვედა ფენებიდან გამოსული აგრონომები, ინჟინრები, ექიმები და ტექნიკოსები.

როგორც საკოლმეურნეო მშენებლობის აქტიურ მონაწილეებს გლეხებს მიეცათ შესაძლებლობა შესულიყვნენ ერთიან შრომის კოლექტივში პროლეტარიატთან ერთად სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. გლეხობა უკვე აღარ წარმოადგენს ადამიანთა საზოგადოების დაბალ კატეგორიას, როგორც ეს იყო მეფის რუსეთში და როგორც ეს ეხლაც არის კაპიტალისტურ მსოფლიოში. გლეხობამ უკვე დააღწია თავი უბადრუკ არსებობას, იგი არ არის მოწყვეტილი კულტურას, უკვე არ არის ისეთი რომელმაც არ იცის თუ რა ხდება მის ზურგს უკან, არ არის ჩაფლული „სოფლის ცხოვრების იდიოტიზმში".

გლეხობა ებმება ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საერთო ფერხულში, იგი სდგება სოციალისტური კულტურის მშენებელთა რიგებში. გლეხობა ხდება ერთიანი შრომის სოციალისტური ოჯახის თანასწორუფლებიან წევრად.

V. 1933 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა

ორიოდე სიტყვა 1933 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ. შეიძლებოდა ამაზე არაფერი გვეთქვა, რადგან პლენუმის მიღებული და უკვე გამოქვეყნებული რეზოლიუცია საკმაოდ ნათელი და ვრცელია. პლენუმზე ამხ. მოლოტოვის და კუიბიშევის მიერ გაკეთებული მოხსენებებიც, რომლებიც თქვენ აგრეთვე წაკითხული გაქვთ, ეძღვნება ამ საკითხს. რეზოლიუციიდან თქვენ უკვე იცით, რომ დამდეგი წლისათვის, ე. ი. მეორე ხუთწლედის პირველი წლისათვის, სამრეწველო პროდუქციის შემდგომი ზრდის ტემპები რამდენადმე შემცირებულია, მრეწველობის ზრდა 1933 წელს ნავარაუდევია 16,5 პროცენტით 1932 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერების ზრდა—14 პროცენტით, თვით ღირებულების შემცირება—3,9 პროცენტით. თუ რას წარმოადგენს ხარისხობრივად სამრეწველო პროდუქციის ზრდის თვითეული პროცენტი, ესეც იცით ამხ. სტალინის მოხსენებიდან. მთავარი ყურადღება 1933 წელში—მეორე ხუთწლედის პირველ წელში —მიექცევა ახალ საწარმოთა ათვისებას, პროდუქციის ხარისხს, შრომის ნაყოფიერების გადიდებას და თვითღირებულების შემცირებას.

ნიშნავს თუ არა ეს ტემპების შენელებას? დიახ, რაოდენობრივი მხრით რამდენადმე ნიშნავს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ მეორე ხუთწლედში შევასუსტებთ მუშაობას. არა, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს. პირიქით, ჩვენ მოგვიხდება მუშაობა ძალღონის კიდევ უფრო დაძაბვით, კიდევ უფრო მეტი ენერგიით, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა დღემდე.

რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ სათანადოდ უნდა ავითვისოთ ახალი საწარმოები, ეს საქმე კი ადვილი როდია, რაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა ავსწიოთ შრომის ნაყოფიერება, შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება და გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი. ყველაფერი ეს ჩვენგან მოითხოვს ძალღონის დაძაბვას და, რაც მთავარია, მოითხოვს უდიდეს დარაზმულობას, მთელს მუშაობას.

ასეთია, ორიოდე სიტყვით, 1933 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვარაუდი.

VI. საბჭოთა კავშირის თავდაცვის განმტკიცების ხუთწლედი

გადავდივარ ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს შემდეგ განყოფილებაზე — მუშურ-გლეხური წითელი არმიის მდგომარეობაზე ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგად.

სავსებით გასაგები მიზეზების გამო, მე არ შემიძლია ვრცელი მოხსენება გავაკეთო, დავკმაყოფილდები მხოლოდ ზოგადი შენიშვნებით უმთავრეს საკითხებზე.

წითელი არმია ვითარდებოდა და იზრდებოდა პროლეტარულ სახელმწიფოს ზრდასთან ერთად, იგი უკან არ რჩებოდა ჩვენი ქვეყნის მწარმოებელი ძალთა და მისი ტექნიკის განვითარების დონეს. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩვენი არმია არსებობს სოციალისტურ სამშობლოს დასაცავად, ჩვენი სახელმწიფო, რომელიც გარემოცულია მტრული იმპერიალისტური ქვეყნების რკალით, ერთ დღესაც ვერ იარსებებს, თუ მას არ ეყოლება თავისი კარგად შეიარაღებული და ყოველმხრივ მტკიცე არმია. ამიტომ ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, ჩვენი ბელადი— ამხ. სტალინი ყოველთვის უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ და აქცევენ წითელ არმიას. ამიტომაც ხუთწლიან გეგმაში არ შეიძლებოდა გამოხატულება არ ეპოვა საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვის ინტერესებს და კიდეც ჰპოვა გამოხატულება.

ჩვენი არსებობის ყველა წლების განმავლობაში ვცდილობდით რაც შეიძლება უკეთ შეგვესრულებინა ჩვენზე დაკისრებული საპასუხისმგებლო ამოცანები. ჩვენ ყოველთვის ვუცხადებდით ჩვენს პარტიას, მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას, რომ ჩვენ, წითელი არმია, შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას, რომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ მივსცემთ ნებას კლასობრივ მტრებს დაარღვიონ საბჭოთა საზღვრების ხელშეუხებლობა. ეს განცხადება აბსოლიუტურად მართალია. ჩვენი წითელი არმია, მუშათა და გლეხთა კლასობრივი არმია, ყოველთვის იყო ძლიერი თავისი განსაკუთრებული პოლიტიკურ - მორალური მდგომარეობით, თავისი სულიერი განწყობილებით, თავისი მაღალი რევოლიუციური შეგნებით.

მაგრამ ჩვენ ყველანი ვგრძნობდით განსაკუთრებით ისინი ჩვენს შორის, ვინც ვიყავით ზედა ნაწილში, ხელმძღვანელთა შემადგენლობაში, რომ ამ სულიერ სიმტკიცეს აკლდა, ფიგურალურად ვსთქვათ, მეტად სუსტი მატერია. ძველი არმია, რომლისაგანაც წითელმა არმიამ მემკვიდრეობად მიიღო თავისი შეიარაღება, იყო ყველაზე ჩამორჩენილი არმია ევროპაში. სამოქალაქო ომის დროს წითელი არმიის ტექნიკა გაუმჯობესდა მხოლოდ იმ შეიარაღების ხარჯზე, რომელსაც ბრძოლაში ვართმევდით თეთრგვარდიელებს და უცხოელ ინტერვენტებს. სამოქალაქო ომის შემდგომ წლებში, აღდგენითი პერიოდში, წითელი არმიის შეიარაღება თითქმის არ შეცვლილა. ეს აიხსნებოდა, ჯერ ერთი, იმით, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი სამრეწველო ბაზა, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა ამ უდიდესი საკითხების გადაჭრა, ხოლო, მეორე, იმით, რომ ძველი არმიიდან ჩვენ არ დაგვრჩენია არავითარი კვალიფიციური კადრი, რომელსაც შეეძლო მუშაობა სამხედრო ტექნიკის დარგში. ძველი არმიის შეიარაღების თითქმის ყველა ნიმუშები უცხოეთში იყო შექმნილი. **ამიტომ ხუთწლედის ძირითადი ამოცანა თავდაცვის დარგში იყო წითელი არმიის ხელახალი ტექნიკური შეიარაღება ჩვენი ინდუსტრიის წარმატებით ზრდის ბაზაზე. ამიტომ ჩვენი მუშაობის უმთავრესი შინაარსი იყო წითელი არმიის ტექნიკური რეკონსტრუქცია ჩვენი ქარხნებიდან მიღებული ახალი შეიარაღების ბაზაზე.**

ჩვენი მუშაობის შედეგები ამ დარგში არა ნაკლებია, ვიდრე სხვა დარგებში. ხუთწლედის დამლევს წითელი არმია სრულიად არ გავს 1927—29 წლების წითელ არმიას, ისევე, როგორც ჩვენი ქვეყანა მისი ეკონომიური გეოგრაფიით, ახალი ინდუსტრიალური ცენტრებით, ახალი სამრეწველო გიგანტებით, საბჭოთა მეურნეობებით და კოლმეურნეობებით, — სრულიად არ გავს 1927 წლის დამლევის და 1928 წლის დასაწყისის საბჭოთა კავშირს. როგორც სოციალისტური მშენებლობის მთელი პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში, ისე ამ სპეციალურ დარგში—წითელი არმიის მშენებლობასა და მის ხელახალ ტექნიკურ შეიარაღებაში, განსაკუთრებით და ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ამხ. სტალინის უდიდესი როლი. ამხ. სტალინი, რომელსაც ესმოდა მტკიცე შეიარაღებული თავდაცვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენი სახელმწიფოს მთლიანობისათვის, სოციალიზმის მშენებლობის წარმატებისათვის, რომელსაც ჰქონდა სამხედრო საქმის ფართო ცოდნა და სამოქალაქო ომის უმდიდრესი გამოცდილება,—ყოველთვის იღებდა პირად და უშუალო მონაწილეობას ყველა საკითხებში, რაც დაკავშირებული იყო არმიის ტექნიკურ რეკონსტრუქციასთან, ამ ტექნიკურ ბაზაზე მის ხელახალ შეიარაღებასთან.

რა მდგომარეობა გვაქვს არმიის ტექნიკური შეიარაღების მხრით ამჟამად? თუნდაც **ტყვიამფრქვევებით შეიარაღების** მხრით?

თქვენ ყველამ იცით, თუ რა მნიშვნელობა აქვს ტყვიამფრქვევის ცეცხლს თანამედროვე თავდაცვაში. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ თანამედროვე თავდაცვა შეუძლებელია ისე, თუ სავსებით არ იქნენ შეიარაღებულნი ტყვიამფრქვევებით ჯარის სხვადასხვა ნაწილები, უმცირესი ნაწილიც კი. ეს იყო იმის მიზეზი, რომ იმპერიალისტურ ომის დასასრულს და მის შემდეგ, მძიმე დაზგიან ტყვიამფრქვევებთან ერთად, გამოჩნდა ხელის, საზენიტო, მსხვილი კალიბრის და სხვა ტყვიამფრქვევები, რომლებიც თავდაცვაში ასრულებენ ამა თუ იმ ფუნქციას (თავდაცვა ცოცხალი ძალის შემოტევისაგან, თავდაცვა ავიაციისაგან, თავდაცვა ჯავშნოსნებისა და ტანკებისაგან და სხვ.). ჩვენს წითელ არმიას ჯერ კიდევ 1928 წლისათვის ტყვიამფრქვევებით შეიარაღების მხრით არაფერი არ ჰქონდა, გარდა კარგი დაზგიანი ტყვიამფრქვევისა, ძველი „მაქსიმი"-სა, და ისიც შედარებით მცირე რაოდენობით. საკუთარი ხელის ტყვიამფრქვევი წითელ არმიას არ ჰქონია და იგი შეიარაღებული იყო უცხოეთის სხვადასხვა სისტემის (შოში, ლუისი, კოლტი) ტყვიამფრქვევებით. ყველა ეს ტყვიამფრქვევები იყო მოძველებული ტიპის, თითქმის უვარგისი, არ ჰქონდათ საჭირო რაოდენობის სათადარიგო ნაწილები და საერთოდ წარმოადგენდენ ნაკლებად გამოსადეგ სამხედრო იარაღს. ყველაზე უფრო ცუდი იყო ის, რომ ჩვენ არ გვქონდა თოფების სერიოზული, მტკიცე ბაზა.

მით უფრო არ გვქონია საკუთარი საავიაციო ტყვიამფრქვევები; საზენიტო ტყვიამფრქვევები, სრულიად არ გვქონია სატანკო ტყვიამფრქვევები. ამიტომ მთელი ჩვენი ძალღონე არმიის ხელახლა შეიარაღების ხუთწლიან გეგმაში უწინარეს ყოვლისა მიმართული იყო იქითკენ, რომ შეგვეიარაღებინა წითელი არმია თანამედროვე მძლავრი ტყვიამფრქვევებით.

ამ დარგში მუშაობის შედეგად ჩვენ გვაქვს ხელის ტყვიამფრქვევი, საავიაციო ტყვიამფრქვევი, სატანკო ტყვიამფრქვევი და საკუთარი საზენიტო ტყვიამფრქვევები, რომლებიც არ ჩამოუვარდებიან უცხოეთის თანამედროვე ტყვიამფრქვევებს. კიდევ მეტი: საკონსტრუქტორო და საგამომგონებლო მუშაობის პროცესში თოფებით და ტყვიამფრქვევებით შეიარაღების ხაზით შევქმენით მეთოფე სპეციალისტ ოსტატების, ტექნიკოსების და ახალგაზრდა ინჟინრების მძლავრი კადრები, რომლებიც განაგრძობენ ძიებას ამ დარგში. როგორც უკვე ვსთქვი, ძველი არმიისაგან არ დაგვრჩენია კონსტრუქტორთა კადრები. ჩვენ შევაგროვეთ ისინი ქარხნებში, უმთავრესად, ძველ მეთოფე ოსტატთა, ტექნიკოსთა და მუშათა წრიდან, შევაკავშირეთ ისინი, დავეხმარეთ მათ უძნელეს მუშაობაში და მივეცით კომუნისტური, ტექნიკურად მომზადებული ახალგაზრდობა. ყოველივე ამის შედეგად ჩვენ შევქმენით ტყვიამფრქვევების და თოფების წარმოების ისეთი მაღალი კულტურა, რომელიც სრულიად გადაუჭარბებლად საშუალებას გვაძლევს გადავჭრათ საბრძოლო საქმის ტექნიკის დარგში, წითელი არმიის წინაშე მდგარი ყველა საკითხები. ამჟამად ჩვენ გვაქვს თვითმტენი შაშხანა, გვაქვს ავტომატური შაშხანის, ტყვიამფრქვევ-დამბაჩის და ავტომატიური დამბაჩის რამდენიმე ნიმუში და სხვ.

ჩვენი ახალგაზრდა საბჭოთა კონსტრუქტორები დაუღალავად და წარმატებით მუშაობენ, და ეწევიან ევროპის და ამერიკის საბრძოლო ტექნიკას, რომელიც სწრაფად მიიწევს წინ.

ტყვიამფრქვევის პრობლემის გადაჭრაში, სხვა კონსტრუქტორებთან ერთად, უმთავრესი როლი შეასრულა კონსტრუქტორმა დეგტიარევმა, რომელიც ცაკმა დააჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით. ამხ. დეგტიარევმა დიდი სამსახური გაუწია არმიას.

მაგრამ ჩვენ ამ ხუთწლედში შევქმენით არა მარტო ახალი სახის სასროლო და სატყვიამფრქვევო იარაღები, არამედ აგრეთვე ახალი სამრეწველო ბაზები, რომლებიც შესძლებენ შეასრულონ ყველა ჩვენი მოთხოვნა, შესძლებენ მისცენ წითელ არმიას ყოველთვის ასე საჭირო ავტომატიური იარაღის საკმაო რაოდენობა საბჭოთა კავშირზე მტრების თავდასხმის დროს.

კიდევ უფრო ცუდად იყო წინად წითელ არმიაში **საარტილერიო შეიარაღების** საქმე. ბრძოლის საარტილერიო საშუალებათა მნიშვნელობა თანამედროვე ომში თქვენთვის ცნობილია. თქვენ იცით აგრეთვე, რომ იმპერიალისტური ომის შემდეგ ყველა ბურჟუაზიული არმიები მეტად ბევრს მუშაობენ არტილერიის ახალი სისტემების კონსტრუქციის და ძველის გაუმჯობესების დარგში. თითქმის ყველა ქვეყნის — საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის, იტალიის და სხვ. არმიებმა არა თუ გარდაქმნეს თავიანთი ძველი არტილერია, გამოიყენეს ყველაფერი, რის გამოყენებაც კი შეიძლებოდა მისგან სროლის სიშორისა და სიმძლავრის მხრით, არამედ აგრეთვე ძირფესვიანად შესცვალეს შეფარდება სხვადასხვაგვარ არტილერიის შორის, გაადიდეს გაუბიცების რაოდენობა და შექმნეს მთელი რიგი ახალი ნიმუშები.

ჩვენი მდგომარეობა ამ დარგში იყო არანაკლებ რთული, ვიდრე თოფებით და ტყვიამფრქვევებით შეიარაღების დარგში. მეთოფე მუშათა ძველ კადრებს შორის ჩვენ გამოვნახეთ მთელი რიგი ნიჭიერი გამომგონებლები, როგორიცაა ტოკარევი და დეგტიარევი, რომელთა გარშემო გაერთიანდენ ჩვენი ახალგაზრდა კომუნისტური ტექნიკური კადრები. საარტილერიო შეიარაღების დარგში კი ჩვენ თითქმის არ გვყოლია კონსტრუქტორები. ძველი არმიისაგან დარჩენილი კადრები ან დაიხოცნენ, ან არ იყვნენ მაინცდამაინც მომზადებულნი, ან განზრახ ეწეოდენ მავნებლობას და აფერხებდენ ჩვენს მუშაობას, რომელსაც ვაწარმოებდით არტილერიის ხელახლა შეიარაღებისათვის ძველი ტექნიკური კადრებიდან პირდაპირ ერთეულები დარჩნენ. ცარიელ ადგილებზე უნდა შეგვექმნა კონსტრუქტორთა კადრები, მოგვეწყო საკონსტრუქტორო ბიურო, ხელახლა დაგვეწყო მეტად რთული და ტექნიკურად მაღალკვალიფიციური მუშაობა.

(გაგრძელება იხ. მე-4 გვერდზე)

---

*) დასაწყისი. იხ. „კომ." № 21.

ჩვენ მით უმეტეს განსაკუთრებით უნდა ვაფასებდეთ წარმატებებს, რომლებსაც მივაღწიეთ ხელახალი საარტილერიო შეიარაღების საქმეში, თუმცა უნდა ითქვას, რომ წითელი არმიის ხელახალი საარტილერიო შეიარაღების ამოცანები ჩვენ ჯერ კიდევ სავსებით არ გადაგვიჭრია. ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენ გარდავქმენით ჩვენი ძველი არტილერია, მივაღწიეთ ისეთ სიმძლავრეს (შორს სროლისა და განადგურების უნარის მხრივ), რომ ეხლა იგი არ ჩამორჩება ევროპის ნიმუშებს. ჩვენ შევქმენით (და ვამზადებთ) მძიმე არტილერიის თავისი ახალი სისტემები, ჩვენ მოვაწყვეთ ახალი სისტემის საზენიტო არტილერიის წარმოება. შევქმენით (და ვამზადებთ) წვრილი კალიბრის არტილერია. ჯარის ნაწილებში ჩვენ ეხლა გვაქვს ტანკის საწინააღმდეგო ზარბაზანი, გვაქვს განსაკუთრებული სისტემები ქვეითა ჯარის წვრილი ერთეულებისათვის და მოწინააღმდეგის ტყვიამფრქვევების ბუდეებთან საბრძოლველად მოკლე დისტანციებზე.

გარდა ამისა, ჩვენი კონსტრუქტორების მუშაობის შედეგად ჩვენ გვაქვს მრავალი ახალი საარტილერიო სისტემა. ბევრი მათგანი უკვე გამოცდილია და ბრწყინვალე შედეგები გვიჩვენეს. ამჟამად წარმოებს მათი დამზადება ჩვენს ქარხნებში.

მაგრამ რა უნდა ჩაითვალოს ყველაზე მთავარ მიღწევად ამ დარგში. პირველ ხუთწლედში ჩვენ შევქმენით მძლავრი ბაზა საარტილერიო წარმოებისათვის, შევქმენით საკონსტრუქტორო ბიუროები, აღვზარდეთ კვალიფიციური ტექნიკ. და ინჟინრები, შევქმენით ჩვენს ქარხნებში ისეთი საარტილერიო კულტურა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გადავჭრათ ყველა საკითხი ჩვენი წითელი არმიის საარტილერიო შეიარაღების სფეროში. ამხ. მახანოვი, მაგდესეევი, სიდორენკო და მთელი რიგი სხვა ახალგაზრდა ინჟინრები ჩვენი სიამაყენი არიან. ხშირად ისინი მოხერხებულად და ენერგიულად მუშაობენ ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმიის თანამედროვე საარტილერიო შეიარაღების საქმეზე. მათ გარშემო იქმნება ინჟინერთა და ტექნიკოსთა ახალი კვალიფიციური კადრები.

და, დაბოლოს, 1928 წლამდე ჩვენ არ გვქონდა მოწესრიგებული ყუმბარების მარაგის საკითხი. სასროლო და საარტილერიო შეიარაღებისაგან განსხვავებით, ჩვენ ძველი არმიისაგან მემკვიდრეობით დაგვრჩა საარტილერიო ყუმბარების თვალსაჩინო მარაგი. მაგრამ ეს ყუმბარები დაფანტული იყო სხვადასხვა საწყობებში, არ იყო დაკომპლექტებული, მათ ჰქონდათ მოძველებული მილაკები და ამფეთქებლები, რაც თვალსაჩინოთ ამცირებდა მათ გამანადგურებელ ძალას. ამ ოთხი წლის განმავლობაში ჩვენ მიერ შესრულებული, დიდი მუშაობის მეოხებით, საარტილერიო ყუმბარების მარაგი მოყვანილ იქნა სრულ წესრიგში.

წითელ არმიას სრულებით არ ჰქონდა სატანკო შეიარაღება და მართლაც, არ შეიძლება სატანკო შეიარაღებად ჩაითვალოს ის რამდენიმე ათეული ტანკი, ამავე დროს სხვადასხვა მარკისა და ნიმუშის, რომლებიც ჩვენ წავართვით დენიკინს, ვრანგელს და იუდენიჩს, აგრეთვე სხვა თეთრგვარდიელ გენერლების არმიებს და ინტერვენტებს სამოქალაქო ომის დროს. მიუხედავად ამისა, 1929 წლამდე ეს რამდენიმე ათეული ტანკი იყო ერთად-ერთი ნიმუში, რომელზედაც „განათლებას" ღებულობდა და სწავლობდა მთელი წითელი არმია. ამ ტანკებს ჩვენ ვუჩვენებდით ჩვენს აღლუმებზე და, თავის თავად ცხადია, ისინი დამცინავ ღიმილს იწვევდნენ უცხოეთის წარმომადგენლებში, რომელნიც აღლუმებს ესწრებოდნენ. ჩვენ კი სიცილისთვის არ გვეცალა. ტანკების მნიშვნელობა თანამედროვე ბრძოლაში მეტად დიდია, ეს ყველასათვის აშკარაა. თანამედროვე ფრონტი, რომელიც გაჟღენთილია ტყვიამფრქვევების ცეცხლით, არ შეიძლება გარღვეულ იქნას ტანკის დაუხმარებლად. ამით აიხსნება ის განსაკუთრებული ყურადღება, რომლითაც სატანკო საქმე სარგებლობს ყველა ბურჟუაზიულ არმიებში. ამით აიხსნება ის უდიდესი მუშაობა, რომელსაც უცხოეთის არმიები აწარმოებენ სატანკო იარაღის ტექნიკურ და ოპერატიულ-ტაქტიკურ თვისებების გამოსაკვლევად მის სხვადასხვა ფორმებსა და კომბინაციებში.

ყველა ეს „რენო", „რიკარდო" და სხვ. სისტემები, რომლებიც ჩვენ უკვე გვქონდა, იყო, რასაკვირველია, არა საბრძოლო იარაღი, არამედ სრულიად უსარგებლო ნაგავი. 1927 წელს ჩვენ მოვახერხეთ დაგვემზადებია საკუთარი, ყველა ჩვენთვის ცნობილი ტანკი. მაგრამ ეს ტანკი არადამაკმაყოფილებელი გამოდგა და თავისი საბრძოლო ხარისხით ძველ „რენო"-ს მხოლოდ ცოტათი სჯობდა.

საჭირო იყო რაღაც განსაკუთრებული ზომების მიღება. სიძნელე მდგომარეობდა იმაში, რომ 1928 წლამდე ჩვენ არ გვქონდა არც საავტომობილო და არც სატრაქტორო მრეწველობა. სავსებით აშკარაა, რომ ჩვენ არ გვყოლია არავითარი ტექნიკური კადრები, რომელთაც შეეძლოთ შეექმნათ ჩვენი საბჭოთა სატანკო კულტურა. ამიტომ ჩვენ იძულებული გავხდით დავადგომოდით უცხოეთის ნიმუშების შეძენის გზას და სავსებით სწორადაც მოვიქეცით. ძალების უდრეკად დაძაბვის და ენერგიული მუშაობის შედეგად ჩვენ მოვაწყვეთ თანამედროვე ტანკების წარმოება. და არა მარტო მოვაწყვეთ წარმოება, არა მარტო შევქმენით სატანკო-საწარმოო ბაზები, არამედ ამ მუშაობაში უკვე აღვზარდეთ კვალიფიციურ კონსტრუქტორთა კადრები—ამხ. ბარიშევი, ლებედევი, ტოსკინი და სხვ. და კვალიფიციურ მუშათა კადრები, რომლებმაც, როგორც მოსალოდნელი იყო, უკვე მოგვცეს თავიანთი რამდენიმე ორიგინალური კონსტრუქცია. ეს კონსტრუქციები არაფრით არ ჩამოუვარდებიან უცხოეთის ცნობილ ნიმუშებს. ჩვენ ეხლა უკვე შეგვიძლია გადაუჭარბებლად ვსთქვათ, რომ ამ ოთხი წლის განმავლობაში როგორც წარმოებაში, ისე არმიაში სავსებით ავითვისეთ თანამედროვე სატანკო იარაღი.

რამდენიმე სიტყვა ავიაციის შესახებ. ჩვენი ავიაცია უკვე 1928 წელს აღარ იყო ხუჭუტი. ამ დარგში ძალიან ბევრს ვმუშაობდით წინათ და პირველი ხუთწლედის დამდეგისათვის თვალსაჩინო წარმატებებს მივაღწიეთ. მაგრამ ჩვენი აეროპლანების და მოტორების ხარისხი სიმაღლეზე ფრენის, ტვირთზიდვის და მოქმედების რადიუსის მხრივ ჩამორჩებოდა მსოფლიო საავიაციო ტექნიკას. ამ ოთხი წლის განმავლობაში აეროპლანების მშენებლობის დარგში ჩვენ თვალსაჩინო ნაბიჯი გადავდგით. ჩვენ შევქმენით საავიაციო მრეწველობა, მაგრამ საავიაციო პროდუქციის ხარისხის მხრივ ჯერ კიდევ ვერ დავეწიეთ თანამედროვე მსოფლიო ტექნიკას. ჯერ კიდევ ჩამორჩენილი ვართ მოტორების მშენებლობის საქმეში. მაგრამ ამ ჩამორჩენაში ამჟამად აღარაფერია იმის მსგავსი, რაც იყო 1928 წელს. ეხლა ჩვენ უკვე გვაქვს საავიაციო მოტორების რამდენიმე საკუთარი თანამედროვე ნიმუში, რომელთა შორის ზოგიერთების მასიური წარმოება უკვე მოგვარებულია. ჩვენ გვყავს საავიაციო კონსტრუქტორების საკმაოდ მტკიცე და მომზადებული კადრი. ჩვენ სავსებით დარწმუნებული ვართ, რომ უახლოეს ხუთწლედში მივაღწევთ მსოფლიო საავიაციო ტექნიკის დონეს და შევქმნით ყველა პირობებს იმისათვის, რომ ამ დარგში წინ გაუსწროთ სხვებს. ამის თავდები არიან ჩვენი საავიაციო ინჟინერ-კონსტრუქტორები ამხ. ტუპოლევი, კალინინი და სხვ. და მოტორმშენებლობის კონსტრუქტორები ამხ. მიკულინი, ნაზაროვი და სხვა.. ისინი საქმით ადასტურებენ ჩემს სიტყვებს.

მხოლოდ ორიოდე სიტყვა ჩვენი საზღვაო ფლოტის შესახებ.

რათქმა უნდა, ხუთწლედს უყურადღებოდ არ დაუტოვებია ჩვენი საზღვაო ძალები. ამ ოთხი წლის განმავლობაში ჩვენ შევაკეთეთ გემების მთელი შემადგენლობა, მოვახდინეთ ჩვენი ხაზოვანი გემების ერთგვარი მოდერნიზაცია, რამდენადმე გავაძლიერეთ წყალქვეშა ფლოტი და განვამტკიცეთ ჩვენი სანაპირო თავდაცვა. ფლოტის პირადი შემადგენლობა საგრძნობლად გაიზარდა, გაიწვრთნა, განმტკიცდა რთული საზღვაო ტექნიკის დაუფლებაში. პირველ ხუთწლედში საგრძნობლად გაიზარდა ჩვენი გემთმშენებლობის ბაზა. მთელი ეს მუშაობა, რომელიც სწარმოებდა წითელი არმიის ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის, არ იყო ადვილი არა მარტო ჩვენთვის—სამხედრო მუშაკებისათვის; ის მეტად ძვირად დაუჯდა ჩვენს სახელმწიფოს. სახელმწიფომ ამ საქმეზე საგრძნობი სახსრები დახარჯა. მე მხედველობაში მაქვს მხოლოდ ის ხარჯები, რაც დაკავშირებულია მუშურ - გლეხური წითელი არმიისათვის საჭირო ტექნიკის ანაზღაურებასთან, და არ ვეხები საწარმოო ბაზის შესაქმნელად დახარჯულ თანხებს. 1927-28 წლებში ტექნიკაზე უკვე დიდძალ თანხას ვხარჯავდით; მაგრამ იმისათვის, რომ მოგვეხდინა გარდატეხა ჩვენი არმიის შეიარაღებაში, რაზედაც მე მოგახსენებდით, ბევრად უფრო მეტი უნდა დაგვეხარჯა. ამან საშუალება მოგვცა ჩაგვეტარებია წითელი არმიის ტექნიკური რეკონსტრუქცია, გაგვეხადა იგი მტკიცე, არა მარტო ბოლშევიკური სულით, დარაზმულობით და დისციპლინით, არამედ ჩვენი საბჭოთა სამხედრო ტექნიკითაც, მათ შორის ისეთი რთული ტექნიკით, როგორიცაა ავიაცია და ტანკები.

და, ბოლოს, უკანასკნელი საკითხი, რომელიც ჩვენ თქვენთან ერთად პერსონალურად გვეხება, — ესაა კადრების საკითხი. რაც უფრო რთული და მრავალრიცხოვანია ტექნიკა, მით უფრო რთულია მისი გამოყენება, მით უფრო ძნელია ამ ტექნიკის ხელმძღვანელობა, მაშასადამე, მით უფრო მომზადებული უნდა იყვნენ კადრები. ტექნიკა არა მარტო ბევრად აძლიერებს ჩვენს თავდაცვას, იგი, ამასთან ერთად, ჩვენ—არმიის მუშაკებს—დიდ მოთხოვნებს გვიყენებს. ახალი ტექნიკა თვითეული ჩვენგანისაგან მოითხოვს მუშაობის გაძლიერებას თავის თავზე, ამ ტექნიკის შესწავლას, მის ათვისებას, მტკიცე ჩვევების შეძენას ამ ტექნიკით, საბრძოლო მუშაობისათვის.

ყველაფერი რიგზეა ჩვენში ამ მხრივ? სამწუხაროდ, ამის თქმა ჯერ კიდევ არ შეიძლება. ავიღოთ თუგინდ ჩვენი ავიაცია. გასული წლის ზაფხულის პერიოდის დასაწყისში, იქ ადგილი ჰქონდა ავარიის შემთხვევებს, რამაც გამოიწვია ადამიანთა მსხვერპლი და მატერიალური ზარალი. ეს მოხდა იმიტომ, რომ ჩვენი მფრინავები ჯერ კიდევ ზედმიწევნით არ დაუფლებიან ტექნიკას, ხოლო ტექნიკა მეტად რთული შეიქნა, და ის სასტიკად სჯის იმათ, ვისაც არ შეუძლია მისი მმართვა, ვისაც საკმაოდ და მტკიცედ არ შეუთვისებია ის, ვინც დაუდევრად ჰკიდებს ხელს მის გამოყენებას. ადამიანი არის ყველა მანქანების, მთელი ტექნიკის შემქნელი, შემომქმედი, მაგრამ როდესაც თქვენ ბენზინის საშუალებით ამოძრავებთ ამ ტექნიკას, ვთქვათ, საავიაციო მოტორს, მას შეუძლია ნაკუწ-ნაკუწად დაფლითოს და მოსპოს თავისი შემქნელი, თუ ამ „შემქმნელს" ვერ შეუსწავლია მისი მმართვა, თუ იგი საფუძვლიანად არ იცნობს მას, ყველა მის დეტალებს. და, პირიქით, ყველაზე უფრო რთული, ყველაზე უფრო მძლავრი მანქანა ხდება მორჩილ იარაღად ტექნიკურად მომზადებული ადამიანის ხელში. ახლა ჩვენი ავიატორები გაიწვრთნენ, და უბედური შემთხვევებიც ცოტა ხდება. მუშაობა უკეთ მიმდინარეობს. მაშასადამე, ჩვენ ტექნიკა დავიმორჩილეთ, მას ლაგამი ამოვსდეთ, ვმართავთ მას სათანადოდ, კარგად, ბოლშევიკურად.

ყველაფერი რიგზე არ არის ჩვენთან სატანკო საქმეშიც. მართალია, არის იმედი, რომ, სატანკო საქმეში თავის დროზე მიღებულ ზომების მეოხებით, ჩვენ იქ ავიცილებთ იმ შეცდომებს და დეფექტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ავიაციაში; მაგრამ იქაც გამოცდილებით თანდათან დაგროვებას თან სდევს ზედმეტი ხარჯები, რომლებიც, ჩვენი დარაზმულობის, ამ ტექნიკის დაუფლების უნარის მიხედვით, შეიძლება იყოს უმნიშვნელოც, ან მეტად დიდიც.

აქ, ამ კრებაზე, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ჩვენი მოვალეობა პარტიის წინაშე, მუშათა კლასის წინაშე, ყველა მშრომელთა წინაშე მდგომარეობს იმაში, რომ სათანადოთ დავეუფლოთ ახალ ტექნიკას, რომელიც მოგვცა ჩვენმა ქვეყანამ, რომელიც ასე ძვირად ღირს და ასე ძლიერ გვესაჭიროება.

რა გავაკეთეთ ჩვენ პირველ ხუთწლედში წითელი არმიის კადრების მომზადების და გადამზადების ხაზით? პირველ ყოვლისა, ტექნიკურად შეიარაღებული არმია მოითხოვს საერთო და სამხედრო განათლების მქონე ტექნიკოსთა, ინჟინერთა და მეთაურთა დიდ რაოდენობას; ამ პირად შემადგენლობას, როგორც იცით, ჩვენ ვამზადებთ სამხედრო აკადემიებში. 1928 წელს ყველა სამხედრო აკადემიებში ჩვენ მოვამზადეთ 3.198 მსმენელი; 1932 წელს ჩავატარეთ ჩვენი აკადემიების რეორგანიზაცია და გავადიდეთ მათი რიცხვი, ამასთან შეფარდებით გავადიდეთ მსმენელთა შემადგენლობაც. ჩვენ მივიღეთ საჭირო ზომები ჩვენი სამხედრო სკოლის გასაძლიერებლად მომზადებული, კვალიფიციური და, პოლიტიკურად მწიფე პროფესორებით და მასწავლებლებით. აკადემიების მუშაობის შედეგებს არმია მთლიანად იგრძნობს უახლოეს წლებში. ჩვენი ნაწილების ავსება განათლებული საინჟინრო - ტექნიკური კადრებით იქნება იმის უმთავრესი საწინდარი, რომ არმიის ტექნიკას იქ სათანადო წესრიგში ვიქონიებთ და გამოვიყენებთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ინტერესებისათვის.

მაგრამ ახალი ტექნიკით შეიარაღებულმა არმიამ მოითხოვა არა მარტო უმაღლესი კვალიფიციური შემადგენლობა, არამედ საშუალო მეთაურთა შემადგენლობის სხვაგვარი ხარისხიც. ჩვენმა უმაღლესმა სკოლებმა გასულ ხუთწლედში დიდი ცვლილება განიცადეს. შეიქმნა სპეციალური სკოლები — საავიაციო, სატანკო, საინჟინერო და ტექნიკური სკოლები. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლის და აღზრდის საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას ამ სკოლებში, რათა მივიღოთ ნამდვილად კარგი მეთაურები და ტექნიკოსები არა მარტო მათი ტექნიკური მომზადების აზრით, არამედ კლასობრივი სიმტკიცის და ჩვენი პარტიისადმი ერთგულების აზრითაც.

თვით არმიაში გასული ხუთწლედის მანძილზე მოხდა ცვლილებანი სხვადასხვა სახის ჯარის მიხედვით, უფროს მეთაურთა შემადგენლობის განწესრიგების მხრივ, წითელ არმიის ტექნიკურ რეკონსტრუქციასთან შეფარდებით. ასე, მაგალითად, ქვეითა ჯარში რამდენადმე შემცირდა მეთაურთა შემადგენლობის რაოდენობა; ასევე მოხდა კავალერიაშიც. პირიქით, გაიზარდა მეთაურთა შემადგენლობა არტილერიაში, სატანკო და სხვა ტექნიკურ ნაწილებში; გაუმჯობესდა მეთაურთა კადრების სოციალური შემადგენლობა. მუშების რიცხვი, რომელიც 1928 წელს შეადგენდა 28 პროცენტს, გაიზარდა 40 პროცენტამდე; გაუმჯობესდა პარტიული ფენა, — იგი 1928 წელს შეადგენდა 55 პროცენტს, ხოლო 1932 წელს უკვე — 61 პროცენტს. განსაკუთრებით გაიზარდა პარტიული ფენა უმაღლეს და უფროს ძირითად თანამდებობებზე; მაგალითად, არტილერიის უფროს მეთაურთა შემადგენლობაში პარტიული ფენა 15 პროცენტიდან გაიზარდა 81 პროცენტამდე, ქვეითა ჯარში—54 პროცენტიდან 88 პროცენტამდე, საჯავშნო — სატანკო ჯარში იგი უდრის 100 პროცენტს. კოლოსალურად გაიზარდა მუშურ - გლეხური წითელი არმიის პარტიულ - კომკავშირული ორგანიზაცია. პარტიის წევრთა და კომკავშირელთა რიცხვი 1928 წელს შეადგენდა 31,6 პროცენტს, ამჟამად პარტიის წევრები და კომკავშირელები შეადგენენ არმიის მთელი პირადი შემადგენლობის 59,4 პროცენტს. გაიზარდა წითელ არმიელთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა საერთო კულტურული დონე. გამომუშავდა ჯარებში მეთაურის და პოლიტმუშაკის საბრძოლო მომზადების სისტემა; სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული უფროსშემადგენლობის მარქსისტულ - ლენინური სწავლება; შექმნილია ყველა პირობები იმისათვის, რათა წითელი არმიის კადრები იყვნენ იმ ტექნიკის ღირსნი, რომელიც ჩვენს არმიას მისცეს ჩვენმა პარტიამ და ჩვენმა მუშათა კლასმა სოციალისტური მშენებლობის პირველი ხუთწლედის ძლევამოსილად დამთავრების დროს.

VII. პარტიული რიგების ლენინური სიმაგრე— ჩვენი წარმატებების მთავარი საფუძველია

ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმს, დიდ საკითხებთან ერთად, მოუხდა პლენუმის მოწვევამდე ცოტა ხნით ადრე აღმოჩენილი ახალი ანტიპარტიული დაჯგუფების საკითხის განხილვა.

ამ დაჯგუფების მონაწილეები იყვნენ საკმაოდ პასუხისმგებელი საბჭოთა მუშაკები—ეისმონტი და ტოლმაჩევი (ერთი მათგანი—რუსეთის სფს რესპუბლიკის ყოფ. მომარაგების სახალხო კომისარი, ხოლო მეორე—რსფს რესპუბლიკის საგზაო ტრანსპორტის (ცენტრ. სამმართველოს უფროსის მოადგილე). კიდევ მეტი, ამ დაჯგუფებასთან უშუალო დამოკიდებულება ჰქონდა ცეკას წევრს და ცეკას საორგანიზაციო ბიუროს წევრს ამხ. ა. პ. სმირნოვს. მე დიდი ხანია ვიცნობ ამხ. სმირნოვს. ოდესღაც იგი იყო კარგი პარტიელი და არ იყო ცუდი ბოლშევიკი. ერთ დროს ლენინი დიდ იმედებს ამყარებდა ამ კაცზე, ბევრ რასმეს მოელოდა მისგან და იმედი ჰქონდა, რომ იგი გაიზრდებოდა დიდ პოლიტიკურ ბოლშევიკურ მოღვაწედ. და აი ეს ბოლშევიკური „მოღვაწე" გაიზარდა, მაგრამ სულ სხვა მიმართულებით (სიცილი).

ეისმონტ—ტოლმაჩევის ახალი დაჯგუფება თავისი პროგრამით არაფრით არ განირჩეოდა რიუტინ-სლეპკოვის დაჯგუფებისაგან. იგივე კულაკური, კონტრ-რევოლუციური ლაპარაკი კოლექტივიზაციაზე უარის თქმის და კერძო ინიციატივისათვის ხელფეხის გახსნის შესახებ, ლაყბობა ხელმძღვანელობის შეცვლის შესახებ და სხვ.

საქმიდან შეუძლებელი გახდა იმის გამორკვევა, წარმოადგენდა თუ არა სმირნოვი ამ ორგანიზაციის სულსა და გულს ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმზე, აგრეთვე ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის და პოლიტბიუროს გაერთიანებულ სხდომაზე, რომელიც წინ უძღოდა ამ პლენუმს, სმირნოვი არ გამოტყდა და იგი კატეგორიულად უარყოფდა თავის მონაწილეობას ამ დაჯგუფებაში. მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც დადასტურდა, რომ იგი დაკავშირებული იყო პარტიის ამ მტრებთან, ჰქონდა მათთან ურთიერთობა და ამხნევებდა მათ.

ეისმონტი, ტოლმაჩევი და ზოგი სხვები პლენუმმა გამორიცხა პარტიიდან. ამხ. სმირნოვი დატოვებულია პარტიაში, მაგრამ გამორიცხულია ცეკას შემადგენლობიდან. სმირნოვის მიმართ ცენტრალური კომიტეტი დაკმაყოფილდა მარტო ამ მინიმალური სასჯელით იმის გამო, რომ მან მიიღო მხედველობაში მისი დიდი ხნით ყოფნა პარტიაში და მის მიერ წინა წლებში ჩატარებული მუშაობა, პლენუმმა გადასწყვიტა მისცეს საშუალება ამხ. სმირნოვს საქმით დაამტკიცოს თავისი ერთგულება ლენინის პარტიისადმი და აღადგინოს მუშაობით თავისი წინანდელი პატიოსანი პარტიული სახელი.

ამ კონტრ-რევოლუციურ დაჯგუფებაში დამახასიათებელია ის, რომ მისი მომხრეები თავიანთ ლაპარაკში არა ერთხელ იხსენიებენ მემარჯვენე ოპოზიციის ყოფილ ბელადებს—ამხ. რიკოვს და ტომსკის და ამყარებენ მათზე რაღაც იმედებს.

ამიტომ პლენუმმა მოსთხოვა ახსნა-განმარტება ამხ. რიკოვს და ტომსკის. ერთიც და მეორეც გამოვიდნენ პლენუმზე და კატეგორიულად განაცხადეს, რომ ისინი სავსებით და მთლიანად სდგანან პარტიის გენერალური ხაზის პოზიციებზე, სავსებით გმობენ თავიანთ წარსულ ოპოზიციურ მუშაობას. მაგრამ პლენუმი იძულებული გახდა ეპასუხნა მ[illegible] ყველაფერი ეს კარგია, თქვენ არა ერთხელ გითქვამთ ეს, მაგრამ რატომ დღემდე არ დაუმტკიცეთ პარტიას, რომ თქვენ ნამდვილად და სამუდამოდ უარყავით მემარჯვენე ოპორტუნისტული შეხედულებები, რომლებიც ეხლანდელ პირობებში წარმოადგენენ კონტრრევოლუციურ, ანტისაბჭოთა შეხედულებებს. რატომ აძლევთ მთელი თქვენი საქციელით საბაბს ყოველგვარ კონტრრევოლუციურ გაიძვერებს მიუთითონ თქვენზე, გიყოლიონ სახეში და რამდენადმე იქონიონ თქვენი იმედი. ასეთ პირდაპირ კითხვებზე ამხ. რიკოვმა და ტომსკიმ ვერაფერი დამაჯერებელი ვერ სთქვეს, მათ გაიმეორეს ძველი არგუმენტები იმის შესახებ, რომ მათ არ მოუხდა გამოსვლა, რომ არ იცოდნენ სად და როგორ გამოსულიყვნენ, რომ დაემტკიცებიათ თავიანთი ერთგულება პარტიისადმი და სხვ. თითქოს ამაში იყოს საქმე. თითქოს ეხლა საკმარისი იყოს მარტო გამოსვლა და ცარიელი დეკლარაციები იმისათვის, რომ გაიმართლო თავი პარტიის წინაშე? შეიძლება გამოხვიდე ყოველდღე ყველგან და ყოველთვის და მაინც დარჩე მემარჯვენე ოპორტუნისტად. შეიძლება გამოხვიდე პარტიის გენერალური ხაზისათვის და ამავე დროსვე შთაუნერგო იმედი ანტიპარტიულ ელემენტებს. **საჭიროა არა მარტო გამოსვლა, საჭიროა ბოლშევიკური მუშაობა, საქმით, პრაქტიკული მუშაობით პარტიის გენერალური ხაზის გატარება მუდამ და ყოველთვის.** ამაშია საქმე, ეს არის მთავარი, ამას მოითხოვს პარტია და ცეკა.

იმედი ვიქონიოთ, რომ პლენუმის მიერ მიცემული გაფრთხილების შემდეგ, ამხ. რიკოვი და ტომსკი შეცვლიან თავიანთ ტაქტიკას და დაიწყებენ ბოლშევიკურად მუშაობას, თუ ისინი ნამდვილად ორივე ფეხებით დგანან პარტიულ ნიადაგზე.

პლენუმმა დასახა სოციალისტური მშენებლობის შემდგომი განვითარების გზები და დაამტკიცა 1933 წლის ძირითადი დავალებანი. პლენუმმა მოიწონა და დაადასტურა პოლიტბიუროს გადაწყვეტილება პარტიის წმენდის შესახებ. დიახ, პარტია საჭიროებს წმენდას, მისი რიგები კვლავ უნდა იქნას შემოწმებული, ვინაიდან მთელი ჩვენი გამარჯვებანი ემყარებიან ერთ საფუძველს—ჩვენი პარტიის რიგების სიმტკიცეს, მის მონოლიტობას, მის ლენინურ მთლიანობას. პარტიამ მოიგერია ბატონ ტროცკების, ზინოვიევების, კამენევების იერიშები. ყველა უკანასკნელი დაჯგუფებანი—რიუტინ-სლეპკოვის, ეისმონტ-ტოლმაჩევის და სხვ. გვიჩვენებენ პატარა მუწუკებად ჯანსაღ ბოლშევიკურ სხეულზე. მათ არ შეუძლიათ შეუქმნან საფრთხე პარტიის სიმაგრეს და მთლიანობას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ შეგვიძლია უზრუნველყოფილი ვიყოთ და მივეცეთ მოსვენებას. მუდამ ცდილობდენ ჩვენი პარტიის შიგნიდან აფეთქებას. ყველაზე უფრო საშიში მტერი—მენშევიკები, ესერები, ანარქისტები და მით უმეტეს ყველა ჯურის თეთრგვარდიელები კი არ არიან, ესენი არიან აშკარა მტრები, მათ ყველა ხედავს. საშიში მტერი—პარტიის შიგნითაა, მტერი, რომელსაც ჯიბეში უდევს პარტიული ბილეთი. ამიტომ პარტია უნდა გაიწმინდოს ყველა მიტმასნილ, უცხო, გადაგვარებული ელემენტებისაგან, რომლებიც მოვიდნენ პარტიაში არა იმისთვის, რომ ჩადგენ პროლეტარული საქმისათვის მებრძოლთა რიგებში, არამედ იმიტომ, რომ გამოიყენონ იგი თავიანთი პირადი ინტერესებისათვის, რომ ზიანი მიაყენონ პარტიას, გაადიდონ მისი სიძნელეები და დახმარება გაუწიონ ჩვენს კლასობრივ მტრებს.

ცეკას და ცენტრ. საკ. კომისიის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილებანი შემდგომი სოციალისტური მშენებლობის ხაზითაც და პარტიის რიგების განმტკიცების ხაზითაც, რაც უზრუნველყოფს ჩვენს ძლევამოსილ წინსვლას. ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, ამხ. სტალინის ნაცადი ხელმძღვანელობით პარტიის სიმტკიცისა და პირველი ხუთწლედისათვის გადამწყვეტ ბრძოლებში, იმ კაცის ხელმძღვანელობით, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს, მთელ თავის ძალას და ენერგიას თავდადებულად ახმარს სოციალიზმის საქმეს და რომელიც ლენინურად ხელმძღვანელობს ლენინის პარტიას, მისი წინამძღოლობით,—მტკიცე ბოლშევიკური ნაბიჯით, მწყობრი რიგებით, წინ ახალი და ახალი გამარჯვებებისაკენ! (მქუხარე ტაში).

თბილისის პარტაქტივის კრება

ინფორმაციული ცნობა

26 იანვარს საღამოს, რუსთაველის თეატრში შესდგა თბილისის პარტორგანიზაციის აქტივის კრება.

პარტაქტივის კრებამ მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მდივნის ამხ. მეერზონის მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის იანვრის გაერთიანებულ პლენუმის შედეგების შესახებ. ამხ. მეერზონის მოხსენების გარშემო გაშლილ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. **ბარსკიმ.** (კალინინის სახ. ქარხანა) **კლავცოვმა,** (ორჯონიკიძის სახ. ქარხანა) **გულბანმა,** (საგარეუბნო რაიონი) **წითლიძემ,** (საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი) **შიფრესმა,** (კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პოლიტსამმართველოს უფროსი) **მამულოვმა,** (ფეხსაცმელების ფაბრიკა) **აივაზოვმა** (ნავთის საბურღი მანქანათა ქარხანა) **მაჩაიძემ,** (თბილისის საბჭოს თავმჯდომარე) და სხვებმა.

ამხ. მეერზონის მოხსენების გამო პარტაქტივის კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც ესალმება საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებებს.

პარტაქტივის კრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ამხ. **სტალინს.** (ადს.)

ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობებამდე საგაზაფხულო სამარცვლეულო კულტურების თესვის გეგმის მიწვდენის წესის შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

„1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესახებ" გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. იანვრის 19-ის დადგენილების განსავითარებლად („კომუნისტი"-ს 1933 წ. მე-18 №-ი) — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სასოფლო საბჭოებს დაუწესონ საგაზაფხულო სამარცვლეულო კულტურების (ხორბალი, ქერი, სიმინდი, შვრია, ფეტვი, ასლი და სხვ.) თესვის მტკიცე გეგმები თვითეული ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობისათვის.

ხელმძღვანელობის გაწევა ამ ღონისძიებისათვის და მეთვალყურეობა მისი განხორციელებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს.

2. მიენდოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, განსაზღვროს სამი დღის ვადაზე საგაზაფხულო სამარცვლეულო კულტურების თესვის მტკიცე გეგმა — განწესის ერთიანი ფორმა ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობებისათვის და მიაწოდოს ეს ფორმა რაიონებს.

სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა იხმარონ ღონისძიებანი ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობებისათვის აღნიშნული გეგმა — განწესების ჩაბარებისათვის არა უგვიანეს 1933 წ. თებერვლის 10-სა.

3. მიენდოს საქართველოს სსრ შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, უზრუნველყონ ამა დადგენილებაში აღნიშნული ღონისძიების განხორციელება ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
გ. მგალობლიშვილი.
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
რ. შომახია.
1933 წ. იანვრის 26.
ტფილისი.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის 26 იანვრის ნომერში მოთავსებული საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის დადგენილების სათაურში დაშვებულია კორექტურული შეცდომა. სწერია: 28 იანვრის დადგენილება. უნდა იყოს: 23 იანვრის დადგენილება. იმავე დადგენილების ქვესათაურში და ტექსტში 9 წლედის ნაცვლად უნდა ეწეროს 10-წლედი.

ჟურნალ „რაბოტნიცა"-ს იუბილეისათვის

ამხ. სტალინის მისალმება

მხურვალედ ვესალმები „რაბოტნიცა"-ს მისი არსებობის ათი წლის თავზე. ვუსურვებ მას წარმატებებს ქალთა პროლეტარული მასების აღზრდის საქმეში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლის საფუძველზე, ჩვენი მასწავლებლის—ლენინის დიადი ანდერძის განხორციელების საფუძველზე.

ი. სტალინი.

ამხ. კალინინის მისალმება

ათი წლის თავზე მხურვალე პროლეტარული სალამი ქალთა მასების „რაბოტნიცა"-ს, მის აქტივს—მუშკორებს და მკითხველ ქალებს.

მ. კალინინი.

ჟურნალი „რაბოტნიცა"

1932 წელს პარტიამ დაიწყო ოთხი მასიური ჟურნალის გამოცემა. „რაბოტნიცა", „კრესტიანკა" (საკ. კ.პ. (ბ) ცეკას გამოცემა), „დელეგატკა" (მოსკოვი), „რაბოტნიცა ი კრესტიანკა" (ლენინგრადი). დაიწყო რა გამოსვლა 1923 წელს ჟურნალის ტირაჟი იყო 7—10 ათასი, 1933 წელს ჟურნალი გამოდის 360 ათასიანი ტირაჟით. მრავალი ნომერი გამოვიდა ნახევარმილიონიანი ტირაჟით. (ადს).

თესვის საქმეთა კომიტეტის მოწყობის შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე 1933 წლის საგაზაფხულო სასოფლო -სამეურნეო კამპანიისათვის უშუალო ოპერატიული ხელმძღვანელობის გასაწევად, ამ კამპანიასთან დაკავშირებული ყველა მიმდინარე საკითხის გადასაწყვეტად და იმ საჭირო ღონისძიებათა განსახორციელებლად, რაც უზრუნველჰყოფს საგაზაფხულო სასოფლო - სამეურნეო სამუშაოების წარმატებით და თავის დროზე ჩატარებას,-მოწყობილ იქნეს თესვის საქმეთა კომიტეტი ამხ. მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით და ამხანაგთა ლ. ბერიას, შ. მათიკაშვილის, ტ. ლორთქიფანიძის და ვ. ბაქრაძის შედგენილობით.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე:
გ. მგალობლიშვილი.
საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი: **პ. აღნიაშვილი.**
1933 წ. იანვრის 26.
ტფილისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

სია 31 იანვრის და 8 თებერვლის პარტდღეებისათვის მობილიზებულ მომხსენებლებისა საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის იანვრის გაერთიანებული პლენუმის შედეგების დასამუშავებლად

ლენინის რაიონში — რ. აგამალიანი, ბედია, სტ. ბაბაიანი, ვარდენგი, გვანცელაძე, დ. გვაზავა, გ. გიორგობიანი, გოდაბრელიძე, გუგუშვილი; მ. ჯაში, მეტონიძე, ი. პეტროვი, ფანცულაია, ოლინი, სმოლინი, მელაძე, ხარაბაძე, არ. წითლიძე, შოგირაძე, ნ. ცხაკაია.

სტალინის სახ. რაიონში — სტ. აკოპოვი, ბაქრაძე, ბოგატუროვი, ბლუაშვილი, ველიშკოვი, ე. გორდელაძე, გ. გოგიაშვილი, ღლონტი, იმოშინი, კუდრიავცევი, ო. კიდაიში, ლუსკინი, ლიუდვიგოვი, ა. მდივანი, გ. მზარეულიშვილი, მიქელოვი, ფანცხავა, რ. რემიხანოვი, ო. პოლიევა, ტაუტიევი, ხასკევიჩი, ცატუროვი, შარია ნიკიტინი,

ორჯონიკიძის სახ. რაიონში — ბრომიკერი, ს. ბუაჩიძე, ამ. ბრეგვაძე (ცეკა), ბუჯრეევი, ვეზიროვი, დოლიძე, (ფინ. ინსტ.). ქ. დვალი, (სახ. სამ. აღრ. სამმართველო) ერქომაიშვილი, ერემიანი, ქ. დემეტრაძე, ქურულორია, კალაძე, (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტ.), კვირიკაშვილი, ყურულაშვილი, კიკაბიძე, მინდაძე, კაცერმანი, პორტნოი, გიორგი სტურუა, სიხარულიძე, თათარიშვილი, ტოროშელიძე, ურუშაძე, წილოსანი.

„26" კომუნარის სახ. რაიონში — ამათუნი, ამირაგოვი, სერგეი არუთინოვი, გარსევანოვი, გიორგაძე, (ცეკა), გრიგორიანი, ვორონოვი (ცეკა), დეკანოზიშვილი, ჯუღელი, ეკავიანი, კორსაველი, კამკამიძე, ლაქტიონოვი, მათიკაშვილი, მელნიკოვი, მირზაბეკიანი, პოლოსოვი, ფირუმოვი, რაგიმოვი, კ ორაგველიძე, ვ. სააკიანი, ფოლიანი, შახსუვაროვი, ს. შავერდოვა.

პარტიის რაიკომებს წინადადება ეძლევათ დაუყოვნებლივ გააბან კავშირი მომხსენებლებთან და მიამაგრონ სათანადო პარტუჯრედებთან.

თბილისის კომიტეტის მიერ გამოყოფილმა მომხსენებლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ უჯრედების მუშაობაში ერთიანი პარტდღის მომზადების და ჩატარების ხაზით.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სამდივნო.

—:—

27 იანვარს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტში ამხ. პ. მელაძის კაბინეტში შესდგება თათბირი საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და თბილისის კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის მიერ სტუდენტობის კულტურულ - საყოფაცხოვრებო მომსახურების გარშემო მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ. ამ თათბირზე სავალდებულოა ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების დასწრება: ამირაგოვი, ჰიჩინაძე, მეძმარიაშვილი, ქურულორია, ვაშაყმაძე, ღლონტი, ვარნაზოვი; ბრეგვაძე; ქუთათელაძე, ქეიენაძე, კოპაშვილი, აირაპეტოვი; რაზმაძე; რობაქიძე; აგრეთვე შემდეგ ორგანიზაციების მმართველნი: საქ. მავნებლებთან მებრძოლი საზოგადოება, ა. ქ. ახალ სართავ კულტურების ტრესტი, სატყეო მრეწველობის სახკომისარიატი, ა. ქ. რწმუნებულის სამმართველო, სახკინმრეწვი „რაუ", აგრეთვე შემდეგი ინსტიტუტების დირექტორები. ქიმიკურ-ტექნოლოგიური, სამთო, ფინანსიურ-ეკონომიური, პედაგოგიური, საექიმო, სასოფლო-სამეურნეო.

—:—

სტალინის სახელობის რაიკომის კულტურის და პროპაგანდის განყოფილება აუწყებს რაიონის ყველა პროპაგანდისტებს, რომ 27 იანვარს საღამოს 7 საათზე რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება ყველა ტიპის პოლიტსკოლების პროპაგანდისტთა სემინარი. მორიგი თემაა „საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის იანვრის პლენუმის შედეგები" ხელმძღვანელი საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კულტურის და პროპაგანდის განყოფილების გამგე კარლო ორაგველიძე.

—:—

ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის კულტურის და პროპაგანდის განყოფილება წინადადებას აძლევს რაიონის ყველა პარტუჯრედებს საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის იანვრის გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებათა დამუშავება მასიური პარტკრებების მთელს ქსელში გაატარონ 28 და 29 იანვარს და 2 თებერვალს. დამუშავების გეგმა დაგზავნილი აქვს უჯრედებს. 28 იანვრისათვის მასალების მიღება შეიძლება რაიკომის პარტკაბინეტში.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კულტურის და პროპაგანდის განყოფილებაში გამოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები: ა. ჩიჩუა, პ. ბარამიძე, ს. სიგუა, ი. ძიძიგური, შახოვი, ჯაველესიანი, შეროზია ხავთასი და გაჩეჩილაძე.

—:—

ხ. ორჯონიკიძის სახ. რაიკომი 27 იანვარს საღამოს 7 საათზე რაიკომის პარტკაბინეტში იწვევს რაიონის ქვედა პროპაგანდისტთა რაიონულ კონფერენციას; დღის წესრიგში სდგას: „საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის იანვრის პლენუმის შედეგები". სავალდებულოა ყველა პროპაგანდისტების დასწრება.

ხელის მოწერა „კომუნისტზე"

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „კომუნისტ"-ზე

1933 წლის თებერვლისა და შემდეგი თვეებისათვის

1 თვით	2 მან	50 კაპ.
3 „	7 „	50 „
6 „	15 „	—
1933 წლის დამლევამდე	27 „	50 „

ცალკე ნომრის ფასი 1-ლ თებერვლიდან 10 კ.

ვინც ხელი მოაწერა გაზეთზე ამ განცხადების გამოქვეყნებამდე, ვალდებულია, არა უგვიანეს ა. წ. 5 თებერვლისა შეიტანოს განსხვავება, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა შეუწყდება თებერვლის შუა რიცხვებიდან.

ოპერა
27 იანვ მე-7 აბ მე 6 არმ — ჰოფმანის ზღაპრები
28 იანვარს 14 აბ მე 6 წარმ — ქეთო და კოტე
29 იან 16 აბ 6 წ — გუგენოტი
[illegible] თეატრალს ლადო კავსაძის არტისტული მოღვაწეობის XXV წლი [illegible] ბილეთების წინასწარი გაყიდვა [illegible] 1-ლ თებერვლისთვის აღებული ბილეთები ძალაშია
ნ. 106

სახელმწიფო დრამა კოტე მარჯანიშვილის [illegible]
27 იან 5 აბ 5 წ — ოტელო
28 იანვ 3 აბ 5 წ — [illegible] საქართველოში
29 იანვ 9 აბ 5 — ურიელ აკოსტა
10 თებერვლამდე უნდა იყოს შეტანილი აბონემენტის მე 6 გადასახადი.
ნ. 107

[illegible] მუსიკალური თეატრი
27 იანვარს — ქართა ქალაქი
30 იანვარს — ლამარა
31 იანვარი — სალტე
ამ დღეებში შილერის პრემიერა „in tirannos" ქი-3, მე 4 და მე-5 წარმოდგენაზე ბილეთები იყიდება სალარო № 2. სალარო ღიაა დღ 11—2 ს., აღ 6—9 ს-მდე დასაწყისი სრულ 8 საათზე.
ნ. 108

სახკინმრეწვის კინო-თეატრები
[illegible] კინო ოქტომბერი [illegible] 5. 7 50. 9. 10 50 — [illegible] ხმოვანი [illegible] ფილმი შემხვედრი [illegible]
ოქტომბერი დღისით 12 1 50 — ამერიკული ფილმი ჩიკაგო პრ. გარ. სოიუზკინოს ჟურნალი № 43
დამკვრელი სეან. დას 7 40 9-20. 11 — [illegible] ფილმი დეკაბრისტები პრ. გარ. „სოიუზკინო ჟურნალი" № 43
საბავშო კინო დამკვრელთან სეანს. დას. 12. 2 — მხატვრული ფილმი ფრიც ბაუერი
ტეხპროპაგანდის თეატრი დამკვრელთან სეანს. დას. 7 8-30 — ინსტრუქტიული ტექნიკური ფილმი მადნიდან ლითონისაკენ
კინო დარბაზი დას 6-30. 8-30. 11 — მხატვრული ფილმი ბავშვისთვის
რ. ლიუქსემბურ. სახ კინო [illegible] 5, 7, 9 11. — მხატვრული კომედია პაპიროსის გამყიდავი ქალი მოსსელპრომიდან [illegible] № 44
რ. ლიუქსემბურ. სახ დღისით — კომედია ქარგალი ტორჟკიდან

[illegible]
სევერიანე ალექსის-ძე ელიავას
უეცრად გარდაცვალებას. 417

[illegible]
მაშო და ლიზა თარგამაძის
უდროოდ გარდაცვალებას. 425

[illegible]
მართა იოაკიმეს-ას მელიქსეთ-ბეგის
გარდაცვალებას [illegible] 28 იანვარს [illegible] 420

[illegible]
ბეჟანის
უდროოდ დაკარგვას [illegible] 29 იანვარს [illegible] 41[illegible]

[illegible]
თინა (პინა) კვიკვიძის
უდროოდ გარდაცვალებას დაკრძალვა 24 იანვარს სოფ. [illegible] (ოზურგ.). 41[illegible]

ღრმა მწუხარებით [illegible]
ოლიას
უდროოდ დაკარგვას გამოსვენება 27 იანვარს 5 ს [illegible] № 5. დაკრძალვა [illegible] 28 იანვარს. 422

[illegible]
სტანისლავ მიხეილის-ძე ციციშვილის
[illegible] 4 ს. [illegible] 428

[illegible]
მინადორა ლომიძის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება 27 იანვარს 6 ს. [illegible] № 6 ვერის სასაფლაოზე. 419

[illegible]
ავთანდილ ქუთათელაძის
[illegible] 4[illegible]

[illegible]
მაქსიმე მანჯავიძის
გარდაცვალების გამო. 421

[illegible]
გიორგი კობახიძის
გარდაცვალების გამო. 421

[illegible]
ვლადიმერ სიმონის ძე ხუციშვილის
გარდაცვალებას დაკრძალვა 27 იანვარს ბორჯომში. 423

[illegible]
ფანცქალა გოგიტაშვილის
გარდაცვალებას. [illegible] 424

[illegible]
ზოგუცა (ქსენია) ჩხეიძის
უდროოდ დაკარგვას დაკრძალვა [illegible] 29 იანვარს. 426

დამწუხრებული მშობლები: ირაკლი და თამარა ნიბლაძეები [illegible] შვილის პატარა
ზაური ნიბლაძის
უდროოდ გარდაცვალებას [illegible] 27 იანვარს. 421

[illegible]
ვარლამ ნიკიფორე ძე მჭედლიძის
დაკრძალვა ს. ბოსლევში 29 იანვარს. 42

[illegible]
თეოფანე ჩიხლაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა [illegible] 26 იანვარს.

[illegible]
კოლია ბესარიონის ძე [illegible]
[illegible] 42[illegible]

[illegible]
შალვა ჩომახიძის
უდროოდ გარდაცვალებას [illegible] 28 იანვარს [illegible] 4 საათზე [illegible]

[illegible]
ამხ აკაკი ნესტორის-ძე ცხვედია[illegible]
[illegible] 424

[illegible]
რაფიელ დიანოზის-ძე მეგრელიშვილის
[illegible] № 12 4 ს 30 წ. [illegible] ვერის სასაფლაოზე. 41[illegible]

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქუჩა № 6
მთავლიტის რწმუნებული ა 1265